ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲘᲞᲘᲡᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲐ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ
11

บันทึก

การจัดการเรียนรู้

คณิตศาสตร์ปฐมวัย

ปีที่

๑๑

ภาคเรียนที่ ๑/๒๕๖๖

წიგნში ავტორი პოეტური ფორმით გვიზიარებს თავის ორიგინალურ და საინტერესო მიგნებას ქართული ქარაგმის გახსნისა. ცდილობს ქურუმთა ხელით დამალული იგავების დედააზრის მოტანას, გენიოსთა იდუმალი ხელის გამოჩენას.

მანამ მდუმარებას მიეცემოდა, ქორბუდას ფსევდონიმით ლექსები და იგავები დაუწერია დაბელსა, იგივე ივანე ჩორჩანელსა. იოანე ზოსიმე დაურქმევია რუსთველსა.

ქარაგმების გაშიფრვის ხერხის მიგნებამ, ფარდა ახადა დაფარულსა. ქარაგმა მთავარი ხერხი დამალვისა.იბერიელი და ქართველი მოღ-ვაწენი ქარაგმის სიღრმით აფასებდნენ კაცის ხელსა.

შრომა არ ითვლებოდა ღირებულად,თუ ვერ დამალავდა ბევრად მეტ სათქმელსა ავტორისა.ქარაგმა ერთგვარი გზაა გადარჩენისა.

რუსთველი ვერ იქნება უიმედოდ შეყვარებული პოეტი. დიდია ტვირთია კაცისა. მიწას მოწყვეტილი,ვერ დასძლევს სიმძიმეს ვეფ-ხისტყაოსანისა.დაუჯერებელია უკვადავება ხელმოცარული კაცისა.

ვინ გაიგონებს ხმასა პოეტის ხელისა.გულიდან ამოსული ხმა უკვდავია. დაელოდება მეორედ მოსვლასა.არ განუცდია გულსა, ვერ უკარნახებს ხელსა. ვითა ია გაზაფხულისა, დაიკარგება უგული სიტყვა პოეტისა.

ძნელია არ დაეთანხმო ავტორსა: იწყება ახალი ერა იბერიელ ქურუმთა ხელის შემეცნებისა.

რედაქტორი: **ვაჟა შუბითიძე**

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ბადრი ცხადაძე**

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

პაპა ხევისპირელი.ტბილისი 2023

გამომცემლობა "ივერიონი"

ISBN:978-9941-8-5820-8

რუსთველის პოემის ერთ-ერთი მთავარი არსი მოტანა,გადმოცემა შენახული ამბისა.იგივე შაირობა.ხერხი გადმოცემისა. ორი მთავარი ნიშანი მოშაირისა:"გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისა" და „ვერას იტყვის ვინცა გრძელად".

ეფრემ მცირეს სახელით უთარგმნია ზაქსა შრომები ფსევდო დიონისე არიოპაგელისა. მთარგმნელმა მიანიშნა ავტორის სხვა შრომების შესახებ. მეცნიერთა ცდა არიოპაგელის სხვა შრომების პოვნისა,არ გამართლდა.გამოთქვეს ვარაუდი:შრომები სხვა სახელით მოიხსენიაო.

თურმე იოანე ზოსიმეს გვიან მიუგნია შრომები პეტრე იბერიელისა.უთარგმინია.არ დასცლია.დაუმალია ხელნაწერები. მიუგნია რუსთველსა.ვითა ხელსა ზაქისა,გადაუწერია.დაუმალია ამბავი დაბელი ბერისა.იგივე ზაქისა.თურმე მანამ მიეცემოდა მდუმარებასა ბევრი ნაშრომის შექმნა მოუსწრია ივანე ჩორჩანელსა.დაბელი მრავალმხრივ განათლებული ყოფილა."ეზროს" რუსთველის ქარაგმით ბერძენი მეიგავე ეზოპეა.მინიშნება დაბელის იგავებისა.სხვა შრომები ქარაგმაა ქურუმთა ხელისა. ეფრემ მცირე ხელი დაბელისა.შაირობა ძველი ხერხი ამბის შენახვისა. "ვერას იტყვის ვინცა გრძელად" ხერხი გადმოცემისა.სხვა შრომები მინიშნებაა მათივე დაფარული ხელის ღვაწლისა.

ვინ დაიჯერებს ვეფხისტყაოსანის შემქმნელმა მანამდე არ შექმნა ბალადა ვეფხის და მოყმისა.დაუმალია რუსთველსა.ქარაგმით უთქვია ქება დაბელის დაბელი ბერისა.

ცივილიზაციის ცნება გაშლაა დროისა.საფეხურია განვითარებისა. უწყვეტი ჯაჭვი ცოდნის გადაცემისა. პეტრე იბერი თაღია ახალი იბერისა.რუსთველის ვეფხისტყაოსანი თაღი საფეხურისა. ასომთავრული კალენდარი ძირია, ქართული კალენდარი თაღია იბერიული აღღიცხვისა. ტბელის ახალი კალენდარი მწვერვალია კალენდარული აღრიცხვისა.თაღი ცივილიზაციისა. რუსთველი ბოლო ქურუმი ყოფილა იბერიული სკოლისა. მონღოლთა შემოსევამ წერტილი დაუსვა ჯაჭვსა ცოდნის გადაცემისა.ჰქონია

რუსთველსა მიზეზი ამბის დამალვისა.დიდი ფასი გადაუხდია. ხარკი მეფის და ქვეყნის ერთგულებისა.

პ.ს.მეცნიერები ორი სამი ათასი წლით გასცდნენ,ქრისტემდე ეძებენ ფესვებს იბერიელთა წინაპარისა.ხერხი მიგნებისა "შაირობაა". იქნებ იგივე ხერხი გამოდგეს,დადგინდეს ავტორი ვეფხისტყაოსანისა.

ქართველი მეცნიერები იკვლევენ იოანე ზოსიმეს ქებას ქართული ანბანისა.

დაბელი ბერის განმარტებით:დრო კაცის მოგონილი ყოფილა. გარდაცვალება სიცოცხლის არახორციელი ფორმა,სხვა განზომილება.ამის დასტურია:ქებაᲝ და დიდებაᲝ ქართულისა ენისაᲝ.

დასაბუთდა ავტორობა ძეგლისა.იოანე ზოსიმეს ხელიაო. თითქოს საეჭვო არაფერი ჩანდა.

მერე ღვაწლმოსილ მეცნიერთაჯგუფმა სიფრთხილე გამოაჩინა. თქვა: ძეგლის ავტორი უცნობიაო.

გამოჩნდა:ხელია რუსთველისა.რუსთველი ხელია დაბელისა. ორივე ხარი იბერისა.

ძეგლის თარიღი (1245) წელია.ასაკი ტბელის კალენდარისა (12). ასაკი ქართული ლასისა (ქორონიკონი)166.ასაკი დაბელისა (214). ასაკი იბერისა (782).ასაკი ასომთავრული ნი-შანისა და ქარაგმისა: (742) და (716).ასაკი ქართული კალენდარით აღღიცხვისა 465 (463;2). ასასაკი ტბელისა (94).ასაკი მეფე თამარისა (79).ასაკი მეფე ლაშას გამეფებისა (32).დავით ულუსა (28).ასაკი მეფე თამარის სიკვდილისა (30).....დროის დამარცხება ხელია მოძღვარისა.იოანე ზოსიმეს სიკვდილის მერე გასულა (127)წ.მისივე ხელით დაწერილა ქება ქართული ენისა და ანბანისა.(905) წელი დღემდე. გადარჩენილა ხელი ივანე ჩორჩანელისა.დაუცვია ზაქის ხარსა, რუსთველსა.

*„ქებაᲝ და დიდებაᲝ ქართულისა ენისაᲝ“-სახელი ფორმოულაა. საბუთი ქართული ქარაგმის სრულყოფილებისა.სხვათა აღმატებულისა.სახელის სიტყვების ნიშანთა ოდენობა მიმდევრობით: (**527**)*

*(5;2;7) და **96**(9;6).პირველი თარიღი იბერისა,ვითა პატრიკიოსისა. მეორე სხვაობა წლებისა ქართული და ბერძნული აღრი-ცხვისა: (5604;5508).(თ;ვ)ტბელის კბალით თვის ნახევარი (15) **(ჲ)**. სახლის სამი (ჲ)ას მნიშვნელობა (45).და(5).ერთად (455) და (545). ორივე სიმბოლო პეტრე იბერისა.*

ქორბუდას ასი იგავი მოკრძალებული ცდაა დაბელის ხელის გადარჩენისა.მადლიერება მისივე ღვაწლისა.

ძნელია მოკვდავი მისწვდეს ხელის სიმაღლესა ზაქისა.მასვე უთქვია:ქისა ვერ შეცვლის ოქროს ფასსო.მთავარი აზრია იგავისა. ვეცადე მეპოვა ნააზრევი დიდი მოაზროვნისა.ქართველთა მოამაგისა.

ასი იგავი ერთგვარი ხარკია,ცდა მისივე სახელის დაფასებისა.

დიდება სახელსა შენსა უფალო,ამინ

ზიქურათი ურისა-*იგივე შუამდინარეთის ქურუმთა სახლი.ხელი ხეთთა მეფისა,მურსილისისა.თარიღი (1612)წ ქრისტემდე.ძველი ზიქურათი თავიდან (4) სართული ყოფილა.სიმაღლე (20) ფორმა წაკვეთილი პირამიდა.პირველი (8).(5),(5) და (2)მ თავი ზიქუ- რათისა. (8;5; 5;2). სიგრძე დიდი კედლისა (64)მ,პატარა(46).*

სართ	*სიმაღლ.*	*განი*	*სიგრძ*	*პერიმ.*	*ფართ.*
თავი (85)		***10***	***20***	***60***	***200***
4	*2*	*32*	*50*	*164*	*1600*
3	*5*	*34*	*52*	*172*	*1768*
2	*5*	*40*	*58*	*196*	*2320*
1	*8*	*46*	*64*	*220*	*2944*
მიმდევრ ობით.	***8552***	***152***	***224***	***752***	***8632***
	8637	***162***	***244***	***812***	***8832***

ხეთთა მეფე დამარცხებულა.დაუძლევია ფარაონსა.ზავის პირობა ტოლი ყოფილა მონობისა.ვითა ხიზანი ჩუმად მისულა ზანთა მეფის მიწასა.ფარაონის ბრძანებით დაუქცევიათ ზიქურათი. ქრისტემდე (1262)წელი.თავის ზომები ქარაგმაა თარიღისა:1(10), 2(20), 6(60), 2(200).თავის ორი კედლის ქარაგმა (პირ)ია. პერიმეტრი (60) ხი,სახლი ხარისა.(200) იგივე (ორ ას) სახლი ორი კაცისა.

კიბის სიგრძე(შიგა ნაწილი) ქარაგმაა ძველი ზიქურათის თარიღისა.სიმაღლე (20),ძირი (32).კიბე მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზა=37,73(59).დასაბამიდან (3774) ქრისტემდე (1830) წელი. თარიღი პირველი კავკასიელის, ქართლოსის, მოსვლისა.კიბის გარე ნაწილის სიგრძე (24,26).ჯამი 62(37,74;24,26).კიბის ქარაგმა ზეცას მიმავალი კაცი (28;34).

*კიბის წარმოსახვითი სამკუთხედის ქვედა გვერდი 58,68(62^2-20^2). ძველი ზიქურათით 68(2*34) იგივე ორი (ცი).ქარაგმა სიცოცხლე ორი კაცისა.კაბალა 14(სად),იბერის ქარაგმით (კარ).კაცის ქარაგმა 28(2*14) ორი კარია.მოსვლა და წასვლა.(58) თავი, ზეციური სახლი კაცისა.კიბის გარე ნაწილი (24;26).ქარაგმა (50) ძირია.ფართობისა*

და ძველი ზიქურათის თარიღის სხვაობა 5058(8832:-3774).ქარაგმა ძირთა.იგივე დასაწყისი და დასასრული.



ძველი ზიქურათის დასავლით (1300)მ-ის დაშორებით სურათია დიდი ზაქის თავისა.ძირი,აღმოსავლეთით (463)მ.თავი (411).გვერ დები (203) და (208).

(411) და (463) თარიღები იბერისა:ასომთავრული და ბერძნული აღრიცხვით.

*ზანთა ენას (**ᲖᲐᲜ**) რქმევია.იგივე ჩემი.იბერის ქარაგმით (20),სიმაღ-ლე ურის ქურუმთა სახლისა.*

იგავი მონისა და ბატონისა

ბატონის სახლი დიდია, ქონება გაუზომავი,
გვარითა მოსდგამს სიმდიდრე, ფასია აუწონავი,
ზვარი და წყალი მამულის, სასახლე შესამოსავი,
მოდის ალაფი უზომო, მოსდის ბეგარა მოსავლის.

მონათა მბრძანებელია, პატრონი ბევრი მონისა,
ფასსა დასდებენ ქარვასლას, საქონელია დახლისა,
მივა ბატონი იყიდის, გაყიდის მონას სახლისა,
ვინა თქვას მონის სათქმელი, უტყვია დახლსა კაცისა.

უთქმელი კაცი პირუტყვი, ვინ იტყვის ფასსა კარგისა,
მოკვდება არვინ იგლოვებს, მონა ქათმისა ფასისა,
სამარხსა ცალკე გათხრიან, ვით უპატრონო ძაღლისა,
ჭიქასა არვინ წაუქცევს, შესანდობარსა კაცისა.

თურმე ბატონმა იკისრა, ცოდვანი თავის მონისა,
ბატონმა კაცი იყიდა, მონას სულია უფლისა,
ხორცი ბატონმა წაიღო, წაიღო სული კაცისა,
მონისა ცოდვა ვინა თქვა, ფასი ჰქონია ქათმისა.

მონა ბატონმა აცდუნა, აცდუნა აზრი კაცისა,
სულისა ფასი დიდია, ფასი ათასი ზაქისა,
ბატონმა ხორცი იყიდა, ფასი გაიღო ქათმისა,
მონამან ცოდვა იტვირთა, იტვირთა ცოდვა კაცისა.

იგავი შინაური ქათმის სახლისა

საქათმე ქათმის სახლია, სახლსა მამალი კაცია,
ქათმისა მოდგმა ძველია, კაცსა დეზები აცვია,
სახლსა კაკანი დაიწყეს, მამალმა ფრთები ასწია,
პატრონის ფასი დიდია, კაცსა სათქმელსა აცლიან.

ძნელია კაცის ცხოვრება, საქათმე ქათმის ფასია,
კაკანმა თავი ატკინა, მოსპო ოჯახის კაცია,
მამალი გარეთ მიიწევს, მოსწყინდა ჯდომა სახლშია,
ეზოსა ღობე გადავლო, მიემგზავრება, გზაშია.

მივა შარაგზას გასცქერის, დიდია სოფლის ტრამალი,
კაცსა საქათმე აღარ სურს, გზასა დგას ეზოს მამალი,
იფიქრა გზანი არჩია, წასვლაა მგზავრის წამალი,
მეზობლის ღობეს მიადგა, ზედა ზის კაცი მთავარი.

პირველი გზაა მგზავრისა, გზას ბევრი გადასატანი,
ჰკითხა ღობესა მჯდომარეს: გზის დასაბამი სად არი?
ძმობილო გზას თუ მასწავლი, ქალაქსა მივა მამალი,
დაღამებამდე მივასწრო, ვერ ვიცდი მიმაქვს ამბავი.

დეზი აწია მამალმა, კაცი გზის მცოდნი ის არი,
შორი გზა გამოგივლია, კიდევ ბევრია სავალი,
ქალაქსა მარტო მიდიხარ, მე აქ დავბერდი საწყალი,
შენი მეგზური ვიქნები, მოჭირნახულე მთავარი.

ორმა მამალმა იარა, ორღობის გზანი გალია,
ორივე სახლსა მოშორდა, მიდიან ორნი ძმანია,
სოფლისა ბოლოს დაღამდა, იჩინა შიშმა თავია,
გზას სიარული გაჭირდა, ბნელსა უჩვევი თვალია.

სოფლისა ბოლომ შეცვალა, ორი სახლისა მამალი,
დაღამებამდე კაცები, დაღამდა იწყეს კაკანი,
ერთურთსა ბრალსა დასდებენ, მშიშარა კაცის ჯავარი,
საქათმეს დეზებიანი, სოფლისა ბოლოს ქათამი

იგავი ქათმის სახლია, მამალი სახლის კაცია,
ეზოს გაზრდილი მამალი, კაცი ეზოსა ფასია,
გზას გავა შეეშინდება, აკაკანდება გზაშია,
სახლს მივა ყივილს დაიწყებს, სახლსა დეზები ასწია.

ხარი ეზოსა ნაჩვევი, ფასი ექნება მამლისა,
გზას გავა შიში ჯაბანის, მოძებნის გზასა სახლისა,
ზვარი უხნავი დარჩება, ფასია ხარის გაზრდისა,
ზაქი ყინვასა გაზრდილი, კაცია მთების გვარისა.

იგავი კაცის შვილისა

კაცმა თქვა: ბევრი ვიწვალე, მინდოდა ყოლა შვილისა,
მომასწრო, კაცი გავზარდე, კაცი მსგავსია გმირისა,
ზაქისა გაზრდა მინდოდა, გაზრდა ვარჩიე შვილისა,
კაცია ზაქის სადარი, პატრონი ღირსი ზვარისა.

ნაქები კაბით შევმოსე, ხმალი ვაჟკაცის დარისა,
მოვძებნე ქალი თავადის, საკადრი ჩემი გვარისა,
მეზობლად ეზო სახლ-კარი, დავურგე ნერგი კაკლისა,
ჩრდილსა ლომაა ნაგაზი, დარაჯი დიდი სახლისა.

ქერობა დადგა ვიხარი, ვიჩქარი დახვნას ზვარისა,
მარტო მივედი, დავხედე, ხელსა ითხოვდა კაცისა,
გახარებული ვიჩქარდი, სახლსა ჩემივე გვარისა,
ნაგაზმა ჩუმად დამყეფა, მამცნო ხმაო ქალისა.

მომესმა კაცი ამბობდა: ბრალი არისო მამისა,
ქალისა შერთვა მირჩია, ძებნა თავადის გვარისა,
მერჩივნა სახლსა დარჩენა, შერგება ჰურის ჭამისა,
დედისა სითბო წამართვა, ზამთარს ბუხარი ღამისა.
... ...
მეგონა შვილი გავზარდე, კაცი იმედი მამისა,
მზვარსა ხელკავი მეგონა, უღელსა მხარი ხარისა,
კაბა ჩავაცვი ლაჩარსა, დავიდე ცოდვა ქალისა,
ქერობას მარტო დამტოვა, ამკიდა მოდგმა თავისა.

მეგონა კაცი ვიყავი, ვიღვაწე მქონდა სახელი,
შვილმა სახელი წაიღო, გულსა გუბეა ნაღველის,
ქალი მართალსა მეტყოდა, გერქვასო ხარის გამზრდელი,
ზაქისა გაზრდას მირჩევდა, დადგმასა ბეღელ-საბძელის.

კაცმა თქვა: ბოლოს ვინანე, ტაძარს წავართი სანთელი,
მოყვარე ქალი მყოლია, შვილი მტერია, რას ველი?
მარტო დამტოვა, გავიდა, წამართვა კაცის სახელი,
ზვარი უხნავი დამირჩა, ურგო ვარ გარჯას ნაჩვევი.

იგავი კაცის მოძმისა

მოკეთე კაცის მოყვარე, მოკეთე კაცის მხარია,
სიკეთე კაცის მადლია, მადლი მოყვასის ჯვარია,
ხარი მიათრევს ჭაპანსა, ხარისა მოძმე ხარია,
გაიზიარებს უღელსა, ტოლსა დაუდგეს ვალია.

კაცი მარტოკა შობილა, ბუნების კენტი შვილია,
სოფელი ხალხით სავსეა, კაცი უდაბნოს მწირია,
სოფელსა მივა სტუმარი, მერე სოფლისა გზირია,
სოფლის თავს ლხინის სუფრაა, სოფლისა ბოლოს ჭირია.

კაცსა მოკეთე სჭირდება, აწვევს სუფრასა ლხინისა,
კაცი მოყვასსა დაეძებს, მოზიარეს ხდის ჭირისა,
მოკეთე კაცის კაცია, კაცი მეგზური გზირისა, ,
კაცი მოძმესა იპოვის, მესაიდუმლეს გულისა.

მოკეთე კაცის მხარია, უღელსა ტოლი ხარია,
ჭირსა და ლხინსა იყოფენ, ძველთაგან კაცის ვალია,
ლხინსა მოკეთეს კაცია, ჭირსა მოყვასის თვალია,
ლხინი და ჭირი ჩაივლის, კაცი მდინარის წყალია.

კაცი მდინარის გუბეა, თურმე მცირე ხანს ყოვნდება,
გუბე ეზოა კაცისა, მივა მოკეთეს შორდება,
მდინარეს ბევრი გუბეა, ივსება, არა ჩერდება,
მოძმე მდინარის ჭალაა, თუ რჩება ჭალას ბერდება.

წყალი ბალახის სარჩოა, მორწყავს მოძმისა წყალია,
ფერდსა ბალახი ხუნდება, მოძმე არა ჰყავს, მშრალია,
ჭალას ბალახი ბიბინებს, ფერდსა დახუჭა თვალია,
ბალახს თიბავენ, მოკვდება, მოძმესთან კვდება წყალია.

კაცსა მოშურნე ბევრი ჰყავს, მოკეთე კაცის მხარია,
მოშურნე მტერი კაცისა, მოკეთე მისი ფარია,
კაცსა მოკეთე სჭირდება, კაცის სულს მოძმის წყალია,
ბალახი წყალსა ინახავს, მკვდარი მოძმისთვის მკვდარია.

იგავი უმეცარისა

კაცსა სიცოცხლე ებოძა, დიდია უფლის წყალობა,
გზა ასარჩევი ბევრია, არჩევანს მოგცემს ძიება,
ძიება კაცის გაწვრთნაა, მოკვდავის მეცნეირება.
გზას მიმავალმა შესცოდა?, ითხოვოს მიეტევება,

კაცის სიცოცხლე მოკლეა, წამი ოქროსა ფასია,
კაცი მოშიში უფლისა, ძიება კაცის გზაშია,
კაცი ბუნებით ზანტია, მძებნელი თავის წვრთნაშია,
მოკეთე გზასა აჩვენებს, მტერი კაცისა თავშია.

მტერსა გაწვრთნილი ამარცხებს, უწვრთელი ბედის ცდაშია,
მოკეთის ნიღაბს მოირგებს, მტერი დახვდება გზაშია,
უწვრთელსა გონი გასწირავს, მტერთან იქნება ვალშია,
მოკეთის გზასა დაკარგავს, მტერსა მიიყვანს სახლშია.

მტერი ცბიერი, მოშურნე, კაცსა დაუგებს ხაფანგსა,
კაცისა სახლსა დარჩება, კარსა გაუღებს მპარავსა,
კაცი მძინარე იქნება, გონება გასცემს მთავარსა,
ციხესა შიგან მტერია, სახლსა ვინ დაიფარავსა?.

დილასა გამოიღვიძებს, ამბავი დასცემს თავ-ზარსა,
მოკეთეს სახლსა მიაგნებს, ეტყვის: ივიწყებ ამაგსა,
მამამ მოკეთე გამაცნო, შენ მიმალავდი მპარავსა,
ოჯახის მტერი ყოფილა, არ მიყვებოდი ამბავსა.

მოკეთე რჩევის მიმცემი, ამძიმებს ჭირი კაცისა,
კაცი მამისა მოკეთე, დარჩა მოკეთე შვილისა,
შვილო მოშურნე ბევრია, მოკეთე მტერი მტერისა,
შენი ვალია ეძებო, მერე შველაა ხელისა.

მოკეთის გზები დაკარგე, იპოვე გზანი მტერისა,
მამამ ქონება დაიცვა, ისწავლა გზანი ბრძენისა,
მოკეთის გზასა იცავდა, შენ გიძებნია ბედისა,
მტერი მოყვარედ გიცვნია, ფასია შენი ქცევისა.

მოკეთის გზასა დაკარგავ, კერძი გახდები მტერისა,
კარი მპარავსა გაულე, გატყდა საკეტი მცველისა,
მოკეთე შენი თავია, თავსა სადგომი მგელისა,
უმეცრებაა ბურუსი, ფუჭი გზა ბედის ძებნისა.

იგავი ქრთამისა და ჯოჯოხეთისა

სინათლე უფლის სანთელი, ნათელი უფლის თვალია,
თვალის სინათლე ჩინია, მოგვეცა ძღვენი ჩვენია,
ცა დედამიწას ანათებს, მზის სხივი უფლის ხელია,
მთვარე მნათობი ღამისა, უმზეო ღამე ბნელია.

კაცისა სულის საოხი, სულსა სჭირდება სანთელი,
მორწმუნე კაცი ღამესა, ბნელსა გაიღოს სარკმელი,
ღამესა მთვარე ანათებს, კაცსა გონება ნათელი,
მორწმუნე კაცის გონება, ლამპარი მოძღვრის სახელი.

უფალი მბრძანებელია, პატრონი დღის და ღამისა,
კაცსა სიცოცხლე ებოძა, კაცი შვილია მამისა,
ცა დედამიწის სანთელი, კაცისა აღზრდა ბრძენისა,
გაწვრთნა, გონების სინათლე, გონება მძლევი ბნელისა.

სამოთხე უფლის სახლია, სინათლე უფლის მადლია,
ქვეყანას კაცი მორწმუნე, მიწას სანთელი ანთია,
გაწვრთნილი კაცი შუქურა, ტაძარი უფლის სახლია,
მიწასა მოვა მადლია, ხელაპყრობილი კაცია.

დასაბამიდან ასეა, სინათლე მოაქვს სანთელსა,
ბევრია დაბადებული, ცოტა მოიმკის ნათელსა,
მორწმუნე კაცი, გაწვრთნილი, მოვა დატოვებს სახელსა,
სახელი მოდგმის მეგზური, მისდევს კვალს დანაბარებსა.

ცა დედამიწას დარაჯობს, კაცის სიცოცხლე წამია,
მიწასა მამის შვილები, მზერა, მახვილი თვალია,
მადლი სანთელსა მოიმკის, ქრთამით იმკიან ბრმანია,
სანთელი სულსა ანათებს, სულის წაწყმედა ქრთამია.

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, სატანას მოგონილია,
ოქრო წყეულის კვერთხია, ქრთამი კვერთხისა ძირია,
ქრთამი შეშასა მოიტანს, ჯოჯოხეთს ცეცხლი სჭირია,
ცოდვილი სულსა წაიწყმედს, სატანის შეშა სულია.

იგავი ორი მოკეთისა

კაცმა თქვა: კაცსა ვეძებდი, ბნელსა ვეძებდი ნათელსა,
მტერი მოკეთე მეგონა, ვარქმევდი კაცის სახელსა,
კაცის სახელსა ვეძებდი, ვეძებდი მოდგმის გვარებსა,
ჭაობში წყაროს რა უნდა?, ფარას ვერ ჰპოვებ ხარებსა.

კაცი მოდგმასა ეძებე, მოკეთე კაცის სახლსაო,
ფარასა ყოჩი იქნება, ხარი იქნება ზვარსაო,
მოკეთე ზვარის ხარია, საქმე გაჩვენებს კაცსაო,
თავისა ზვარსა მოუვლის, ხელს შეაშველებს ძმასაო.

მოკეთე გამრჯე კაცია, ბეღელსა ავსებს პურითა,
კაცისა გული დიდია, სიტყვასა გეტყვის გულითა,
მოვა მოიტანს სითბოსა, მოგცემს მალამოს წყლულისა,
კაცსა სიკეთე ამაღლებს, მტერი ეცემა შურითა.

ორი მოკეთე ვიპოვე, მოკეთეს ხელი მჭირდება,
ზვარსა მოვიდა მიშველა, მეორე მოსვლას მპირდება,
კალოსა პური გავლეწე, შრომას დალოცვა სჭირდება,
მოკეთე სუფრას მიუჯდა, პირველი ზვარსა ირჯება.

მადლობა შემომითვალა, თურმე ვერ მორჩა შრომასა,
დილასა ადრე მივედი, არ დაველოდე მოსვლასა,
გაულეწავი კალოსა, სჯობია ზვარსა ქონასა,
უღელსა ხარი სჯობია, სხვისი ნახირის ყოლასა.

ჭირნახულისა დალოცვა, წესია მამა-პაპათა,
მოკეთე სუფრის თავსა ზის, მოკეთის სუფრის თამადა,
პური, მარჯვენა დალოცა, სიტყვა თქვა ჯარის-ჯარადა,
გათენებამდე ლოცავდა, დილასა მორჩა თამადა.

ორი მოკეთე ვიპოვე, ორი მყავს ბევრი წელია,
პირველი ზვარსა მშველოდა, კალოსა ჰქონდა ხელია,
მეორე სუფრის დარაჯი, თამადის სიტყვა გრძელია
ორი მოკეთე ვიპოვე, კაცისა პოვნა ძნელია.

იგავი ორი ზაქისა

ზვარმა თქვა: კაცის მარჯვენა, ვლოცავო გარჯას კაცისა,
პაპისა ოფლსა დავთესავ, მოვიმკი მადლსა ზაქისა,
ვაზი ქარვისფრად ელვარებს, პურია ოქროს ფერისა,
ზამთარსა ხარი ისვენებს, მესმის დალოცვა პაპისა.

კაცმა თქვა უფლის მოშიშმა: ყველგან უფლისა ხელია,
კაცმა გულითა ევედროს, უფალმა მისცეს ძღვენია,
ძღვენი დიდია კაცისა, უფლისა მადლიერია,
კაცი მონაა უფლისა, უფალი მბრძანებელია.

ზაქმა თქვა: უფლის ხარი ვარ, კაცი სახლია უფლისა,
ზვარი სარჩოა კაცისა, რწმენა ზვარია სულისა,
უფლისა ნებას ვასრულებ, მოვედი ნებით უფლისა,
კაცისა ზვარსა დავიცავ, საზრდოსა მივცემ სულისა.

ზვარი პურისა ყანაა, პური სარჩოა კაცისა,
უფალი ზაქსა მოუვლენს, ზაქი ხარია უფლისა,
თუ კაცის ზვარი დიდია, საზომი ორი ზაქისა,
კაცი სარჩოსა მოიმკის, მოიმკის მადლსა სულისა.

იგავი მინდვრისა და ჭრიჭინასი

ჭრიჭინა მინდვრის კალია, ამბავი ძველზე ძველია,
მინდორი დიდი ვაკეა, ჭალასა ბევრი მწერია,
მთელი ზაფხული ჭრიჭინებს, ბალახსა მოძოვს კალია,
ზაქისა ჭალა დიდია, ვერ სწვდდება მწერის თვალია.

მწერისა თვალი მოკლეა, შორსა ვერ ხედავს ჭრიჭინა,
მინდორი დიდი ეგონა, იმხიარულა იცინა,
მინდორის თავსა დაიწყო, ზამთრამდე ასე ირბინა,
ბოლომდე ვერ მიაღწია, აცივდა, თითსა იკბინა.

ზაქი მოვიდა ჭალასა, დახვდა კალია მძინარე,
დილამდე ჭალას გაჩერდა, დილას მივიდა მდინარეს,
გამოეღვიძა კალიას, მზის სხივი ნახა მცინარე,
გაიგო ზაქის სტუმრობა, იწყინა, გახდა მჭმუნვარე.

ზაქისა ნახვა მინდოდა, ველოდი დავრჩი ჭალასა,
პურისა ზვარი მინდოდა, ველოდი ვჭამდი ბალახსა,
ზაქის ბუნება მთვარეა, დილასა არჩევს ტალახსა,
დილას ჭრიჭინმა დამღალა, ზაქი მესტუმრა მძინარსა.

დილამდე კიდეს მისულა, უპოვა მინდორს სასრული,
მინდორის გულსა მივედი, მოვუნდი მთელი ზაფხული,
ზაქისა ხილვა მინდოდა, დავრჩი პურისა ნატრული,
ზამთარი კარსა მოსულა, მოსულა მტერი ზაფხულის.

ჭრიჭინა კაცი პატარა, მინდორი დიდი ჰქონია,
ზაფხული ზამთარს ავიწყებს, ზაფხული სახლი ჰგონია,
ჭრიჭინებს, ღამე იძინებს, ყბედისა სარჩო ჭორია,
ზაქი მთვარეა ღამისა, მკალსა სტუმარი ჰგონია.

იგავი შაბათისა

კაცმა თქვა: ზაქი ისვენებს, უქმე ბევრი აქვს, შაბათი,
ზარმაცი ძილს მიეცემა.იტყვის მერგება დაღლათი,
კაცი ჯაფასა მკვდარია, დღე-ღამ შრომით და გარჯათი,
ზაქი ექვსი დღე ისვენებს, მოირგო ექვსი შაბათი.

ზაქმა თქვა ზაქის სათქმელი, უფლის ხარი ვარ მამისა,
კაცს სამდურავი უთქვია, უმადურობა ხარისა,
ზაქი ექვსი დღე ისვენებს, ერთი დღე დახვნა ზვარისა,
სამი შაბათი მერგება, ერქვას უქმენი კაცისა.

მდუმარე უფლის ხარი ვარ, მდუმარედ მიმაქვს ჭაპანი,
ხარისა ტვირთი დიდია, სამდურავს ეტყვის ჯაბანი,
შაბათი ზვარმა გაზომოს, ვითა ზომავდნენ პაპანი,
კაცი მარტოკა მივიდეს, გავზომავ კვალსა გატანილს.

დახნას, დათესოს, მოიმკას, კაცმა მოზიდოს კალოსა,
კალოსა მარტომ გალეწოს, ხარი არ მიეხმაროსა,
პური ბელელსა მიზიდოს, მერე მივიდეს წყაროსა,
თუნდა მდინარეს შევიდეს, თუნდ ინებივროს ჩეროსა.

კაცის სამდურავს არ ვიტყვი, მივალ შევუქებ ამაგსა,
დავლოცავ, ვიტყვი ღირსია, კაცმა გაუძლო ჭაპანსა,
ხარისა ტვირთი იტვირთა, ვერავინ ჰკადრებს ჯაბანსა,
ძილსა დავიცავ კაცისა, მივცემ ზაქისა შაბათსა.

კაცმა თქვა: ზვარსა მივედი, დამღალა ზაქის დევნამ,
ქერობას კავი ავიღე, თიბათვე მამცნო ჭალამ,
მკათათვე გამომრჩენია, ენკენს დამცინა ყანამ,
ბელელმა მომცა ჭრიჭინა, ზამთარი ზაქის წყენამ,

დამძლია უმადურობამ, ზაქს ჩავუდექი ჯიბრშია,
კაცი ზაქისა პატრონი, კაცი ვარდება ხიბლშია,
ზაქის აუგი ვიკადრე, ხარს ვაღვიძებდი ძილშია,
ხარის შაბათი დავთვალე, ზვარი გავხადე სხვისია.

იგავი კოშკისა და ღამისა

კოშკმა თქვა: ცა დავიხურე, თავსა დავიდგი ქუდადა,
მწვერვალი ფერხთა მოვისვი, ლამაზი ქალი სტუმრადა,
დილას მზის სხივი მეწვევა.საღამოს მთვარე ძმურადა,
სტუმარსა მზესა ვუმალავ, ვუფრთხი მოექცეს მტრულადა.

დილას მზის სხივი მიცინის, მაძლევს სითბოსა გულითა,
ზამთარს და ზაფხულს მეხვევა, მხურვალედ, ენა ტკბილითა,
დაისსა თვალსა ჩამიკრავს, ბრუნდება ადრე დილითა,
ქალის ამბავი არ იცის, ვიცი გასკდება შურითა.

ქალი ღამესა ვუჩვენე, ვითა მოძმესა მთვარისა,
მთვარეა ცისა მნათობი, ქალი მნათობი ღამისა,
ორივე დღესა ეკრძალვის, ორივე ბნელსა მოდისა,
კოშკსა ქალია ლამაზი, მთვარეს და ღამეს ელისა.

მზე მოვა სითბოს მოიტანს, ათბობს კედელსა კოშკისა,
ღამე სიცივეს მოიყვანს, ვერ მათბობს შუქი მთვარისა,
კოშკსა ქალი მყავს ლამაზი, სხივია სითბო ღამისა,
დილას მზის სხივი გამათბობს, ღამესა სითბო ქალისა.

კოშკი ვარ ქვითა ნაგები, სამოსი კლდისა სალისა,
მწვერვალი ცასა კიდია, კოშკი კიბეა ღამისა,
მზის სხივი ღამეს აშინებს, ელის მოსვლასა მთვარისა,
ღამე კიბესა მოიტანს, ტკბება ხილვითა ქალისა.

იგავი ზღვათა მეფისა

ზღვა ხმელეთზედა დიდია, სახლია ზღვათა მეფისა,
ხელმწიფე ხმელის პატრონსა, არ ჰყოფნის ზომა ხმელისა,
გრძანა ხომალდის აგება, ხილვა მინდაო ზღვებისა,
ხმელი ანდერძით მეგოძა, მინდა მეფობა წყლებისა.

დიდი ხომალდი მჭირდება, გემი საკადრი მეფისა,
მეფის მხედრობა დიდია, ნავები დაცვა გემისა,
მივიდეთ ზღვათა სამეფოს, ვაჩვენოთ ძალა ხმელისა,
ხმელეთი ხელსა მიპყრია, ვიწყებ მეფობას ზღვებისა.

წყალი დიდია ხმელზედა, ვიქნები მეფე ზღვათაო,
სასახლე მეფის ხომალდი, მხედრობა მუდამ გზათაო,
ხმელეთი სარჩოს მომიტანს, ზღვისგან ავიღებ ხარკსაო,
ხმელი და წყალი მქნება, გავეჯიბრები ცასაო.

ხომალდი ზღვასა შევიდა, მიჰყვა მხედრობა მეფისა,
ხმელი თვალთაგან მოსცილდა, დადგა დრო სველთა ცქერისა,
უშიშრად გულსა მიმართა, ჰქონდა იმედი გემისა,
ხელმწიფე ხმელსა ნაჩვევი, ვით სცნოს ბუნება წყლებისა?.

მეფე ზღვის გულსა მისულა, დანებდა გემის რწევასა,
თურმე ნებივრობს, ერთობა, მისდევს მეფისა ჩვევასა,
ზღვასა ნადიმი გამართა, აპირებს სხვათა წვევასა,
ჰგონია ღვინის ბრალია, გემმა უმატა რხევასა.

მოსულა ზღვათა ხელმწიფე, ტალღა მეფისა ჯარია,
შუადღეს მაცნე მიგზავნა, ტალღა პატარა წყალია,
საღამოს განრისხებული, მივარდა ზღვათა ქარია,
დაულეწია ხომალდი, დაუხოცია ჯარია.

ზღვათა ხელმწიფეს უთქვია, ჩემი სამეფო წყალია,
ზღვის გულსა ჩემი ტახტია, ტალღები მეფის ჯარია,
სამეფოს ზღვარი ნაპირი, ტალღა პატარა წყალია,
ტალღა ნაპირსა ჩერდება, ხმელსა არ მივა, ზღვარია.

სტუმარს ხვდებიან ნაპირსა, გულსა მისული მტერია,
ჯერ მივუგზავნი მაცნესა, ტალღა პატარა ჯარია,
დაღამებამდე დრო გქონდა, მოგესწრო, გეხსნა ჯარია,
ვითა ხელმწიფე დაგინდე, გაჩვენე სხვათა ზღვარია.

თუ მიხვალ ნაპირს გაჩერდი, წყალი ნაპირსა წყნარია,
ვითა სტუმარსა მიგიღებს, ნაპირსა მცირე ჯარია,
დაღამებამდე გაბრუნდი, მისული გზასა მგზავრია,
ზღვათა ხელმწიფე დიდია, არავის მონებს წყალია.

იგავი მთის და ბარისა

ციმა თქვა: თავი დამარქვეს, ბარი ვუწოდე კასაო,
ბარი კაცისა ხორცია, სულის სადგომი მთასაო,
მთა-ბარსა კაცის ქარაგმა, ცივისა ზაქის სახლსაო,
კაცი ცოცხალი მიწასა, ვაცი ზეციურ გზასაო.

ცი მქვია, სულთა სახლი ვარ, ბარი სადგური ხორცისა,
ბავ-ი პატარა ხარია, ლა სახლი ზაქის სწორისა,
ლაბა დიდი და პატარა, რი სახლი ოთხი ტოლისა,
ხი სამოცია, ზაქია, ცი ხანი გზასა მდგომისა.

მთა თაბორისა წმინდაა, ქარაგმა ფერის ცვალება,
მთა სადგომია სულისა, გზის ბოლო-გარდაცვალება,
თაბ მთაა ლაბა ხარისა, ბა ზეცას მიემგზავრება,
ბათ თავი ორი ხარისა, ტანი თას მიეფარება.

თა-ბარი კაცის სახლია, სახლი სულის და ხორცისა,
ბაკთა ზოსიმეს სახელი, სახელი მთის და ბარისა,
სამოცი ხარის სახლია, ექვსია ზანთა კაცისა,
ბაკო სახლია კაცისა, სახლია ზაქის ხარისა.

მთა ცივი ზანთა ზღვარია, სახელი სახლის ნაერთი,
ვი სახლი ორი ხარისა, ცივი-ა სამოცდაერთი,
ბაკოსა სამოცია-ა.სახლი ხარისა და ერთის,
ოცი ფასია ერთისა, სამ-ოცი სამის ნაერთი.

ცივი, ჭანჭახი რქებია, გოდერძი ხარის თავია,
ცი-სა სახელი თა-ს ჰქვია, ცივი თა დასაცავია,
ჭანი ხარია მარტორქა, ჭა-ხი ხარისა წყალია,
ჭა ხეთეგისა რუს ერქვა, წყალი ზღვას მისატანია.

მდინარე საზიდარია, ჭა ჭარი სახლის ძირია,
მდინარე ზღვათა შეერთვისა, მდინარე ზღვისა პირია,
რუ მდინარისა ხევია, თავი და შერთვა გზირია,
გოდერძი ზაქის თავია, მტკვარი რუს გასაჭიმია.

ბაკთა კაბისა თავია, ბაკო კოშმარი ხანისა,
მთა ხიხანისა ზურგია, ქარაგმა ზაქის ტანისა,
აღმოსავლეთი ხარია, დასავლით სახლი ქალისა,
ანბანი გზაა ხარისა, ზურგია მოსატანისა.

ძინძე, გოდერძის ძირია, ხიხანი თავი მტკვარისა,
კვარიათია ქარაგმა, ამბავი თაა კვარისა,
გზის დასაწყისი წყალისა, რუ დაბლობია ღრმანისა,
შესართავს გზაა კაცისა, ურ დასასრული მგზავრისა.

*იორამის ციხე **რა-ბა-თი,** ქურუმთა ხელით დავარქვი,*
***ძინ-ძე** და **ბა-თა** ინახავს, **ხილ-სი** კაბაა ქარაგმის,*
ორ-თა, ორ-ცი-ხე ხარ-ორი, ფერთა ცვალება მარადის,
რამი დევი და ხარია, ხორ-ცია კუბოს კარამდის.

იგავი კავისა

ზაქმა თქვა თავის სათქმელი, მთავარი კაცის თავია,
თა იყო მთისა სახელი, ბარი კაცისა ტანია,
ხარისა სახლსა ვი ერქვა, თავი მთა, ორი ხარია,
კავი ზვარისა სახნისი, კაცი და ხარი კავია.

მთასა ვიქნები ხარი ვარ, ბარსა კავი ვარ ზვარისა,
კავი კაცისა ცერია, ხელია ზანთა კაცისა,
კა ზანებისა კაცია, ვი სახლი ორი ხარისა,
უღელსა ორი ხარია, კა პატრონია ზვარისა.

ზვარსა მთავარი ხარია, ჭაპანით მიაქვს კავია,
ბარი ტანია კაცისა, მთავარი კაცის თავია,
მთა პატრონია ბარისა, თავსა მიჰყვება ტანია,
თავი ზანების ქარაგმა, ქარაგმა: მთისა ხარია.

ცერმა თქვა: მამა კავია, ხარი კაცისა ხელია,
ძირი ვარ ცი-ს და ერისა, ერი იბერთა ძველია,
ცი საზომია დროისა, საზომი ასი წელია,
ზანთა და ხეთთა მოდგმისა, იბერი ზანთა ცერია.

მთავარი კაცის თავია, კაცის სიცოცხლე ხელია,
კაცი სული და ხორცია, მთავარი კაცის სულია,
ხორცი მგზავრია სოფლისა, ცი სიცოცხლეზე გრძელია,
კა მოკვდავისა ხორცია, ათი ხარისა წელია.

ძიმ თქვა: ძირისა სახელი, ძირი ყოველთა დამარქვეს,
კაცის ძე კაცის ძირია, კაცისა მოდგმას დაარქვეს,
ხა სახელია ხარისა, ძველთა დამალეს არა თქვეს,
კარი კაცისა სიტყვაა, ბაკურის სახლსა დაარქვეს.

კაცის პირობა სიტყვაა, სიტყვასა ჰქვია ზეპირი,
რი საბუთია ხელისა, ნათქვამი ზეცისა პირი,
სიტყვისა ძალა დიდია, პირობა ხელი კა-პირი,
პი პირველია მუდმივა, მერე დარქმია ნა-პი-რი.

კა-სა კაბალა ერთია, რიცხვი ასაკი ხორცისა,
ცი-ასაკია კაცისა, რიცხვია ორი ზაქისა,
მთავარი კაცის სიტყვა, სიტყვა ფას-ია კაცისა,
სიტყვა მუდმივა ყოფილა, პირი საზომი ფასისა.

თასი-ს ნიშანი სამია, ნიშანი სამი სახლისა,
თა-მთასა სახლი კაცისა, პატრონის ორი ხარისა,
თას სიცოცხლეა სამისა, კაბალას ფასი ძირისა,
სამასთოთხმეტი მუდმივა, მუდმივა კაცის პირისა.

კაცის სიცოცხლეს კა ერქვა, ვი ნახევარი კავი-სა,
მთისა სახელი თა იყო, ქარაგმა კაცის თავისა,
ოცდამეშვიდე ნიშანი, ასაკი ორი ხარისა,
მთავარი კაცის თავი-ა, ქარაგმა ზანთა კაცისა.

თაკარა კაცის თავია, სამარე ზანთა კაცისა,
სამარე სულთა სავანე, თაკარა მთები ქვებისა,
სამის ნიშანი თას-ია, არ-ი სახლია კაცისა,
ე(რ)-ისა რიცხვი ოთხია, სამარეს ფასი თავისა.

ქერმა თქვა ზვარი ჩემია, ზვარსა მთავარი ხელია,
პირველი კაცი ქართლოსი, მითქვია დამიწერია,
ქარ-ი ხელია პაპისა, ქარი ზანების ქერია,
ქართლოსი ზანთა პაპაა, კაცი სახელზე ძველია.

ქართველი მოდგმა იბერთა, იბერთა პაპა ზანია,
ქართლოსი ზანთა თავია, პირველი სახლი რანია,
მეორე პაპა ხეთია, დაურქმევიათ ხანია,
მესამე სახლი იბერთა, თურმე სახელი ჰანია.

ქართველთა მოდგმა ძველია, თავი ასაკი მოდგმისა,
კავკასიონი დაარქვა, ვინცა პირველი მოვიდა,
კავი, კაცი და სახლია, ნიშანი სახლსა დგომისა,
კ-ა-ს სახელია პირ-ველი, მუდმივა სახლის ქონისა.

ელი ელინთა კაცია, ელის კაბალა გველია,
კეკროპი კაცი პირველი, პელაზგი ბევრად ძველია,
ქართლოსი ზანთა კაცია, ათასი წელით ძველია,
ელინი მოდგმის კაბალა, თურმე თარიღი სწერია.

ზანთა ქურუმი ხარია, მოქვა სახელი ბრძენისა,
ქვა ზანებისა თავია, თაკარა მთები ქვებისა,
ვა ზეციური სახლია, ქერი სარჩოა ზაქისა,
მირ ერქვა კაცის თაკარას, სახლია დიდი ხარისა.

მა ზანებისა მამაა, ძმა ძეა ზანთა მამისა,
ძი მემკვიდრეა, ძირია, ძე ძირი დასაბამისა.

იგავი ხილსისა

კაცმა თქვა კაცის სათქმელი, კაცისა სიტყვა მთავარი,
მთა-ვარო სიტყვის ქარაგმა, კაცი ყოფილა თა-ბარი,
თა ზანებისა მთას ერქვა, ქარაგმის აზრი თა-არი,
ვა ზეციური სახლია, არ-ხორცი კაცისა, ბარი.

მთავარი კაცის სიტყვაა, სიტყვა პირველი ყოფილა,
სიცოცხლე წარმავალია, სიტყვა მუდმივა ყოფილა,
სიტყვა პირია კაცისა, პიროობა ვალი ყოფილა,
სიტყვათა კრება სახლია, სახელი ხილსი ყოფილა.

ხილსი სახლია სიტყვისა, ზე-პირი ზაქის პიროობა,
პი საზომია სიტყვისა, დრო დიდი არა მციროობა,
ცი თქვა ადამმა პირველი, ცი სიცოცხლისა ძვიროობა,
პიროობა ზეცის სიტყვაა, მიწას მარხია ცილოობა.

ძირი ხორცია კაცისა, რი საბუთია ხელისა,
ხელის საბუთი საქმეა, სიტყვა სახელი პირისა,
კაცისა საქმე მიწასა, ცას პირი აღვლენილისა,
ზეცასა სიტყვის კრებაა, გამქრალის, დაკარგულისა.

ხმაა სათქმელი ზაქისა, საბრძანებელსა მამისა,
მეხის ხმა ცასა მოისმის, ხმა ჯვარის გადაწერისა,
მე ზანებისა ქალია, ხი ხარი ზანთა კაცისა,
ხარი მდუმარე კაცია, ხარის ხმა მეხი ზეცისა.

ქარი სიოა, ნიავი, ქერი ქოჩორი ზვარისა,
ქოჩორი თმაა კაცისა, ქარი ძირია ქალისა,
ნაზი ალერსი სიოა, ქარ-ბუქი რისხვა ქალისა,
ქალი ადამის ტოლია, სამარხი სახლი ძვალისა.

ისიდა ზანთა ქალია, დაბა და არი ბარისა,
ოსი-რის ორი სახლია, რი საბუთია კაცისა,
ისიდა ზანთა კაბალა, ერქვა დას ოს-ირ-ისისა,
და ცოლი ზანთა კაცისა, ფარდა ელინთა თვალისა.

ზანთა კაბალა სახლია, სახლია ზანთა ხარისა,
კაბალას სიტყვა მარხია, სიტყვა პირია კაცისა,
ცი-ალი დასაბამია, გ ზის დასაწყისი მამისა,
ხილ-სი სახლი სიტყვისა, ხაქისა დასაცავისა.

იგავი მომდურავი ძმისა

ძველი იგავი გვასწავლის, ერთობა გიჯობს ბრძოლასა,
„სჯობს უყოლობა მოყვრისა, მომდურავისა ყოლასა“,
მტერი ციხესა მოგივა, ცხენი არჩიე რბოლასა,
ძმა მომდურავი გაუშვი, სახლსა მიგაჩვევს წყრომასა.

კაცი ერთგული არჩიე, დიდი მამულის ქონასა,
ძმისა მტერობა გერჩივნოს, ციხესა შიგნით ყოლასა,
ურიცხვი მტერი სჯობია, ერთი მოშურნეს ძმობასა,
ქალისა ნდობა არჩიე, ძველი მტერისა ნდობასა.

ცხენსა რბოლასა გამოსცდი, ხარი გასწავლის შრომასა,
ფარსა მტრის ხმალი გაზომავს, მტერი გამოგცდის ბრძოლასა,
ჭირი მოყვარეს მოგიყვანს, ლხინი წაგართმევს ძმობასა,
ვაშლი მიგორავს ვარგია, ჩერდება იწყებს ლპობასა.

ცხენის ბუნება რბოლაა, თავლასა იწყებს წოლასა,
პატარა ხარი არჩიე, ზანტი ზაქისა ყოლასა,
მტრის მეზობლობა არჩიე, სახლსა გაზრდილსა მონასა,
მტერი ურიცხვი სჯობია, მოშურნე ძმისა ყოლასა.

ციხე გალავნით ფასდება, გალავანს ებრძვის მტერია,
სალი კლდე, კირის დულაბი, ციხის დაქცევა ძნელია,
ციხეს კარები ჰქონია, კლიტენი ძმასა სჭერია,
ციხეს შიგნიდან გატეხა, მომდურავისა ხელია.

იგავი ცოდვისა

ადამის მოდგმა ასეა, სიბრძნე მცირე და ძვირია,
კაცის ბუნება პატარა, მშიშარა ცოდვის შვილია,
რწმენა კაცისა ძალაა, საქმენი დალოცვილია,
პატარა კაცი შესცოდავს, მონანიება რთულია.

კაცი მორწმუნე გულითა, ცოდვასა მოერიდება,
დილას ადიდებს უფალსა, ვედრებით დაეძინება,
მადლი კაცისა ძღვენია, ძღვენსა სიფრთხილე სჭირდება,
სატანა გზასა იპოვის, სატანას ცოდვა სჭირდება.

კაცის გონება დუნდება, ფიქრობს ვერიდე ცოდვასა,
რწმენასა გულით ვატარებ, ვძლიე სატანის ძალასა,
უფალთან პირნათელი ვარ, მადლი მივაგე მამასა,
ტაძარს სანთელი დავანთე, ხარი ვაწვიე ყანასა.

უფალი მბრძანებელია, ყველგან უფლისა ხელია,
ცხოვრება ბეწვის ხიდია, ხიდი ცოდვაზე გრძელია,
ბევრად დიდ ცოდვას დაიტევს, ადგილი კიდევ ბევრია,
ხიდი ხიდადვე დარჩება, უცოდველობა ძნელია.

კაცის ბუნება პატარა, ხიდი ბეწვისა დიდია,
ადამის მოდგმა გაივლის, კიდევ იქნება ხიდია,
კაცსა ცოდვები ამძიმებს, ცოდვითა ხიდსა მიდიან,
მორწმუნეს მადლი ჰგონია, ზურგზედა ცოდვა ჰკიდია.

სატანა განსწავლულია, კაცის სისუსტე ცოდნია,
ხიბლსა წვეთებად მიართმევს, კაცსა წყალობა ჰგონია,
ხიბლისა გემო ტკბილია, დათვრება კაცის გონია,
კაცი მადლისთვის იღვწოდა, ნაღვაწი ცოდვა ჰქონია.

პატარა კაცმა შევცოდე, ჩემმა სისუსტემ მაცდუნა,
მამა ზეციერს ვეველრე, სიმხდალემ ცოდვა მარგუნა,
უფლისა ძალა დიდია, სისუსტე ჩვენივ სამხილად,
მადლისა ხიბლსა ჩავარდნას, ცოდვებმა გადამარჩინა.

ვიცოდი ხიბლი ცოდვაა, წაწყდება სული კაცისა,
უფალმა ძღვენი გვიბოძა, მოგვცა გზა ცოდვა-მადლისა,
კაცისა ხორცი შესცოდავს, ცოდვა ტვირთია მგზავრისა,
ძეხორციელი ცოდვილი, ცოდვა მტერია ხიბლისა.

იგავი ზაქის ქარაგმისა

თაკარა კაცის თავია, სამარეს ქვათა დიდება,
ცოცხალი კაცის ტანია, თავზედა დიდი იზრდება,
მთავარი კაცის თავია, ცოცხალსა თავი სჭირდება,
კაცი მოკვდება, იხრწნება, თაკარას ქვები რიგდება..

კაცისა თავი აზრია, აზრი ცოცხალსა სჭირდება,
ცოცხალსა თავი პატარა, ტანი აქვს, გაგიკვირდება,
ტანის საკვები იზრდება, თავის საკვები მცირდება,
მთავარი კაცის გონია, ტანი მოზვერსა სჭირდება.

აზრის საკვები აღზრდაა, აღზრდასა წრთობა სჭირდება,
ფასი კაცისა გაწვრთნაა, ზაქსა გახედნვა სჭირდება,
გაწვრთნილი კაცი აზრია, ტანი პატარა სჭირდება,
თაკარა კაცის თავია, მცირე თქვას გაგიკვირდება.

იგავი კაცის ხიბლისა

უფალი ქრისტე ღმერთია, დედა ღვთისაა მარიამ,
ღვთისა მოშიში ბევრია, მორწმუნეს გამცნობს ჟამია,
იბერთა მოდგმა ძველია, წილხვდომით ერგო მარიამს,
მეორედ მოსვლას შეხვდება, მთას ჯვარი მისატანია.

მორწმუნე კაცი გულია, გულით სიკეთე სწყურია,
რწმენასა კაცის სულია, კაცისა ხვედრი რთულია,
სიკეთის ნაკლსა ჩივიან, გეტყვიან უმადურია,
მომდურავს სძლია ბოროტმა, ბოლომდე კაცის შურია.

კაცის გონება ზღვარია, გონება ბრძოლის ველია,
გონება გულით მორწმუნე, კაცი სატანის მძლევია,
მცირედ მორწმუნე ბევრია, მოვა ბოროტის ხელია,
სასტიკი ბრძოლა გრძელდება, მძლევის დაძლევა ძნელია.

კაცსა სიცოცხლე ებოძა, კაცსა მიეცა გონია,
არჩევანია კაცისა, კაცსა უფლება ჰქონია,
კაცის ვედრებას შეისმენს, იღებს გულითა მდომია,
წყალობა უფლის ძღვენია, კაცსა „მომკილი“ ჰგონია.

კაცი „მომკილსა“ ეჩვევა, მომკილი სარჩო ტკბილია,
სარჩოსა უნდა პატრონი, პატრონსა მშვიდი ძილია,
გონება მომკით კავდება, მომკასა ფიქრის სჭირია,
კაცმა გარჯითა „მოიმკა“, თურმე „მომკილი“ ხიბლია.

გარჯა კაცისა უფლება, წყალობა უფლის ნებაა,
წყალობა უფლის ძღვენია, „მომკილი“ უფლის გმობაა,
ძღვენის მომცემი უფალი, ძღვენი კაცისა წრთობაა,
პატარა კაცი „მოიმკის“, მომკა ხორცისა თრობაა.

ძღვენი მადლიერს ეძლევა, კაცმა გაუძლო წრთობასა,
კაცი გულითა მორწმუნე, ლოცვითა იწყებს შრომასა,
კალია ზვარსა იხილოს, პატარა იწყებს წყრომასა,
მორწმუნე დიდი კაცია, გონებას მართავს ბრძოლასა.

ქალმა თქვა

ქალმა თქვა თვალებ ჟუჟუნამ,
მთას გადავივლი ჭიუხსა,
ჯიხვის სადგომსა მიუვალ,
მონადირესა, მთიულსა.

სიტყვასა ვეტყვი, დავკოდავ,
დავკრავ ისარსა ტრფიალსა,
ქარაფსა დავემალები,
დავუფრთხობ ჯიხვსა ტიალსა.

კოკითა წყალსა მივუტან,
ღვინოსა ვასმევ დოქითა,
მძინარეს გავეპარები,
სურვილ ვერ მაჰკლას თოფითა.

ძღვენი მადლიერებისა

ცასა ფრინველთა ნავარდი, ზღვასა თევზისა ჯარია,
მონადირისა ისარი, მეომარისა ფარია,
მეთევზის ბადე ბევრია, თევზი ბადესა ძღვენია,
თევზი მეთევზეს ერგება, უფლისა მადლიერია.

დასაბამიდან ასეა, საქმე კაცისა ხელია,
მეთევზე მებადურია, მეთევზის სარჩო თევზია,
ბადესა ისვრის მეთევზე, ჰგონია ბადეს ბედია,
ჰგონია ადგილს მონახავს, თევზი მიუვა ბევრია.

ბადის გასროლა ხელია, თევზისა მოსვლა ბედია,
დაღამებამდე უცქერენ, ბადის შერხევას ელიან,
საღამოს გულნაკლულია, თევზი არ იყო ჰგონია,
მეორე დღესა მოელის, ფიქრობს მოსვლისა ჯერია.

დილა ადრიან ნაპირსა, მივა გაისვრის ბადესა,
ხელმოცარული ვიყავი, ვერ დავიძინე ღამესა,
ბადე პირველმა ვისროლე, მინდა წავიდე ადრესა,
დღეს ბედნიერი ვიქნები, ბედი პატივსა დამდებსა.

მოდიან მებადურები, ისმენს გუშინდელ ამბებსა,
ხელმოცარული ჰგონია, თევზი არ შეხვდა ბადესა,
ერთმა თქვა მადლიერი ვარ, სარჩო არგუნა ბალღებსა,
დღეს ვეველრები მარგუნოს, ვუმადლი ბედის დამდებსა.

სხვამა თქვა: ბევრი წავიღე, დავბერდი მებადურია,
ვიცი დღეს მეტსა წავიღებ, ვიცი გექნებათ შურია,
მესამემ იწყო წუწუნი, ბედი მყოლია მტერია,
მეათე დღეა მოვდივარ, ერთი არ დამიჭერია.

პირველმა გაცლა არჩია, თქვა ხალხი უმადურია,
სარჩო მადლიერს ერგება, მეგადურს მომკა სწყურია,
თევზი ძღვენია გადისა, უძლური მეგადურია,
სარჩოს მომცემი უფალი, ვერ ჰპოვებს უმადურია.

ქვეყანა დიდი წყალია, კაცი მეთევზე გადითა,
თევზი სარჩოა კაცისა, გადესა მივა მადლითა,
მეთევზე ბევრი მოიმკის, ჰგონია ერგო გარჯითა,
მომკა გამოცდა ყოფილა, ცდუნება თევზი გადისა.

იგავი შურისა და მოშურნისა

სოფელი ასე ყოფილა, მაღლა ცა დაბლა ქვეყანა,
ცას საფეხური ჰქონია, პირველი მიდის ცხრათანა,
მიდიან კაცთა სულები, მათი ნაღვაწი მათთანა,
ცის საფეხური კიბესა, სული ზის თავის მსგავსთანა.

სულსა სიმძიმე ჰქონია, სიმძიმე ზომავს სამყოფსა,
ცის საფეხური ხესა ჰგავს, კიბე მოიღებს ნაყოფსა,
კენწეროს დიდი ასხია, ზომას სიმაღლე გაყოფსა,
ნაღვაწი ხის ნაყოფია, საფეხურებად დაყოფსა.

თურმე ქვეყანა კიბეა, ბარსა მოჰყვება ზეგანი,
ზეგანსა მთები დასცქერის, კიბის ბოლოსა მწვერვალი,
კაცისა ხორცი მგზავრია, ზევით და ქვევით მავალი,
ბევრი მწვერვალსა მიაღწევს, ბარს დაეშვება მრავალი.

ქვეყნისა კიბე დიდია, მგზავრნი ადიან, ჩადიან,
ხორცის გზა არჩევანია, დაბლასა მაღლა სწადია,
კიბესა ასვლა ძნელია, მწვერვალი კაცის ხვედრია,
მწვერვალი კაცის ღვაწლია, ღვაწლი მოღვაწის ბედია.

მოშურნეს დაუყბედია, მე ბედი არა მქონია,
კაცი სიმაღლეს მიიწევს, მე ვერაფრითა მჯობია,
ბედი თავიდან ჰქონია, ბედსა არჩევა ცოდნია,
მე მერგო ბარსა დარჩენა, დავრჩები ჩემი ბედია.

შური მოშურნეს მტერია, შური კიბისა ძირია,
გზა არჩევანი კაცისა, ასვლასა გარჯა სჭირია,
ბრალი ჰგონია ბედისა, მისი ნაღვაწი მწირია,
კენწეროს ასვლა ძნელია, წვერსა ნაყოფი ძვირია.

შური მოშურნეს დაამცრობს, მთას მყოფი დაბლა ეშვება,
შური მიათრევს პატრონსა, კაცი სიმძიმეს ნებდება,
მგზავრს მიმავალსა იხილავს, შური და ბოღმა მძიმდება,
კენწეროს ტანი სუსტია, მძიმესა გაუჭირდება.

იგავი გაქცეულისა

უფლება კაცის ვალია, ვალსა მოითხოვს პატრონი,
მოვალე მოვა დაგიდგენს, დროს მისხალ-მისხალ აწონის,
ჟამია გასტუმრებისა, მოგთხოვენ ზუსტად გაზომილს,
დადგენა შეუვალია, ზომავენ თქმულს და გაგონილს.

ძველი ანდაზა ასეა, წყაროსა კოკა სავსეა,
წყარო წყურვილსა მოგიკლავს, კოკა იცლება გზაზეა,
თუ კოკა გზასა გაუტყდა, წყურვილი მგზავრის წაქცევა,
ქვეყანა გზაა ქარავნის, ზოგს ურჩევნია გაქცევა.

მგზავრისა გზაა ულევი, ათასი მარათონია,
გაქცეულს კვიცის ხვედრია, მდევარი დედა ჰგონია,
გზა გაქცეულსა მოაშთობს, გაუსწრებს ქარავანია,
მისი სახელი გაქრება, მოკვდება, დასანანია.

ბრძენისა სიტყვა ასეა: ადგილს ნებდება მდევარი,
კურდღელსა რბოლას მოუგებს, ადგილის მცოდნე მწევარი,
მტერი ადგილსა იძლევა, ქვა ადგილისა მძევალი,
თავის ადგილსა მოსწყდება, მონა-ყმა, სხვისი მხევალი.

მთასა მთიელის სახლია, მთასა პატრონი ლომია,
თავისა სახლსა მოსწყდება, გარსა სასახლის მდომია,
ადგილი მტერად ექცევა, ურქენს შარასა მდგომია,
მთასა ამაყი, გოროზი, გარსა ბარდებსა მძრომია.

ამბავი ძველზე ძველია, გაქცეულს დაძლევს მძლევია,
კაცი ადგილსა ლომია, აფთარი ვერ მორევია,
გაქცევა ბევრსა უცდია, გზას დაცემულა ბევრია,
ადგილის ქვა და მწევარი, შენი მტერისა მტერია.

ადგილმა შვილი დაგარქვა, სხვასთან მისული გერია,
ადგილის მადლი დიდია, შვილი ტაძრისა ბერია,
ფუძის ანგელოზს ეტყვიან, ფუძესა პაპის ხელია,
თუ ფუძე კაცმა დაიცვა, მას მტერი ვერ მოერია.

იგავი მოღალატისა

მომაკვდავის ხმა ისმოდა, ბოლო სიტყვასა ითხოვდა,
თხოვეთო მიქელ-გაბრიელს, მომცესო სიტყვის უფლება,
მერე მომკლასო უთხარით, სამართლიანი იქნება,
მანამ მივალო იმ ქვეყნად, სათქმელის ტვირთი მიმყვება.

უცვნია მიქელ-გაბრიელს, ვიციო კაცის ამბავი,
ოთხმოცი წელი იცოცხლა, არ ენდობოდა არავინ,
სიტყვასა ერთსა იტყოდა, პირის გატეხა მრავალი,
ვაცალო მოღალატესა? რაც იყო კაცი ის არი.

ხარკის წამღებსა უთქვია, კაცსა მივეცი შანსიო,
დაასრულე შენი სათქმელი, სულსა ამოგხდი გზაშიო,
შენი ამბავი იციან, გელის განკითხვა ცაშიო,
ვის სჯერა შენი ნათქვამის, არ იცი სიტყვის ფასიო.

კაცსა უთქვია იცითო, მუდამ გამტეხი ფიცისო,
ვინცა გაიგო დამშორდა, დამჯერი თავთან მიზისო,
პირობის დაცვა მინდოდა, არ მაცლის გარეთ მიცდისო,
არ მაცლის, პირსა გავტეხავ, ახლა მიზეზი იცითო.

ყველა პირობა მახსოვდა, მინდოდა დაცვა სიტყვისო,
მინდოდა ცოტა მეცხოვრა, მეცხოვრა ფიცით მტკიცითო,
მე მოღალატე მიწოდეთ, კაცი გამტეხი პირისო,
სიტყვისა დაცვა ფასია, გატეხვა ფასი ძვირისო.

მე მოღალატე დამარქვით, თქვენსა სიხარბეს სტირითო,
ვისაც პირობა სჭირდება, ის კაცი ბევრსა იხდისო,
ვინც მეტი გადაიხადა, იცოდა ფასი პირისო,
მისი ერთგული ვიყავი, ვიცოდი ფასი ძვირისო.

იმ კაცმა მართლა მიგლოვა, ნახეთ გოლმოსკვნით ტირისო,
ერთგული კაცი დაკარგა, ხედავს რომ მისგან მიდისო,
მოვიდა, მთხოვა დარჩიო, გადამხდელი ვარ ძვირისო,
მიქელ-გაბრიელს მიჰყვები, მითხარი რამდენს გიხდისო.

იგავი შიშისა

მთას შავი ნისლი ჩამოწვა, მოძვრება ვითა გველია,
დაბნელდა ცისა ქვეშეთი, გზისა გარჩევა ძნელია,
დათვმა ბუნაგი დატოვა, ველს მოთარეშე მგელია,
მესმის კივ-კივი აფთრისა, გარშემო შიშის ფერია.

კაცი მარტოკა მხეცია, მხეცი დაეძებს სარჩოსა,
ირემი ჭალას ბალახობს, დათვსა სურს მიეპაროსა,
დათვი ნარჩენსა დატოვებს, მგელს, ტურას მიეხმაროსა,
აფთარსა წილი ჰქონია, სხვა ვერვინ მიეკაროსა.

სამყარო გაყოფილია, პატარა კიბის ძირშია,
სარჩო ზომითა იყოფა, პატარა დიდთან წილშია,
ლომი კურდღელსა არ ერჩის, იცის პატარა სხვისია,
სამყარო სარჩოს დაეძებს, მუდამ შიმშილის შიშია.

კაცსა გონება რგებია, მაღლა ასულა მხეცია,
სამყარო დაუჭერია, არ დაუცვია წესია,
მწვანესა არქვა მწვანილი, გამხმარი ხორცი ლეშია,
ლომსა ირემი წაართვა, კურდღელი იმის ხელშია.

სამყარო გადაიკიდა, მხეცმა დაირქვა კაცია,
ტყე და მინდორი წაიღო, თავის მამულად აქცია,
ტურა და მგელი მშიერი, ლომსა გაუწყდა ქანცია,
მთას შავი ნისლი ჩამოწვა, შიმშილი დაძრწის მთაშია.

შიშმა მოიცვა სამყარო, თავი და ბოლო შიშია,
მდიდარსა ძილი უკრთება, მშიერი დასდევს ძილშია,
ხახა გახსნია სამყაროს, აქეთ ვაი იქით ვიშია,
კაცი სამყაროს ხახაა, ხახასა შავი ნისლია.

იგავი სიბნელისა

ბნელი უკუნი ღამეა, ღამეს სანთელი მთვარეა,
ცის კაბადონსა კიდია, მისი მოძულე ღამეა,
სიბნელე მხეცთა საფარი, მხეცნი იყოფენ არეალს,
გათენებამდე დაძრწიან, გარშემო კვნესა მწარეა

სიბნელე მხეცთა სადგომი, მათი ტახტი და საჯდომი,
ბნელსა მიელტვის ვერაგი, მსხვერპლია მისი საზომი,
მსხვერპლსა სიბნელე აშინებს, სუსტსა სჭირდება პატრონი,
ბნელისა მძლევი სინათლე, სინათლე ძალის გამზომი.

მხეცისა ძალა ზომაა, დიდისა დიდი ტორია,
მსხვერპლსა სიდიდით გაზომავს, მორევა ზომა ჰგონია,
პატარამ ხერხი იხმარა, გახდება მხეცის ტოლია,
თაგვი სპილოსა წააქცევს, პატარა დიდის ტოლია.

ყვავმა კაკალი იპოვოს, გატეხვა გაუჭირდება,
კაკალსა იცავს ჯავშანი, მორევას ღონე სჭირდება,
ქვა მოერევა კაკალსა, აწევა გაუძნელდება.
ყვავისა ხერხი გონია, სიმაღლლე კაკალს ჰპირდება.

დიდ მხეცსა მსხვერპლი პატარა, დასაგამიდან ომია,
პატარა ხერხსა მიმართავს, იცის პატრონი გონია,
მხეცი მშიერი დარჩება, ყველა მდინარეს ფონია,
ყვავისა კაკალს წაიღებს, თაგვს სორო ახლოს ჰქონია.

პატარა დიდსა ასწავლის, კატის გაზრდილი ლომია,
კატა თაგვებსა დარაჯობს, ლომსა საფარი ჰქონია,
ირემსა უდგას დარაჯი, დარაჯი მისი გონია,
ირმისა ხერხი დაძლია, ახალი მოუგონია.

მხეცსა სიდიდე აცდუნებს, მაცდური მისი ტორია,
პატარა ხერხსა მიმართავს, ხერხი ღონისა მჯობია,
დიდსა მიგნება სჭირდება, მიგნება ხერხის ტოლია,
დასაბამიდან ასეა, სამხეცეს მუდამ ომია.

თაგვი სპილოსა გამოზრდის, კატის შეგირდი ლომია,
ომი სიბნელეს იწყება, მხეცი და მსხვერპლი ორია,
მტაცებლის ძალა ტორია, მსხვერპლს ხერხი მოუგონია,
სპილოსა თაგვი ამარცხებს, ბნელსა სინათლე გონია.

იგავი პირველი მოკვდავისა

კაენმა მოკლა აბელი, სიკვდილს დაერქვა სახელი,
პირველი შური კაცისა, პირველი მსხვერპლი აბელი,
ძმა ძმისა მტერი შეიქმნა, ძმა გახდა პირველი მკვლელი,
მიწას პირველი სამარე, ძმის სისხლსა გასვრილი ხელი.

მოირწყო მიწა სისხლითა, ძმამ ძმისა სისხლი იტვირთა,
აბელის ხორცი მიწასა, კაენს მოხედა რისხვითა,
მოგიკლავს შენივე ხორცი, ძმა გაიმეტე შურითა,
დარჩები მიუსაფარი, დაწყევლილი ხარ მოდგმითა.

მიწა ქალია აბელის, მიწა მოიღებს ნაყოფსა,
მიწის ნაყოფი შვილია, მსხვერპლი უნდოდა კაენსა,
არ შეიწყალა უფალმა, არ მოინდომა გაყოფა,
ბატკანი შრომის ნაყოფი, მოგცემს უფალი სამყოფად.

დასა მარხია ქარაგმა, და ძმისა ცოლსა რქმევია,
დე ერქვა მიწას დათესილს, ნაყოფი მიწის ძღვენია,
ქალი აბელის მიწაა, მიწას კაენის თესლია,
შვილი მიწისა ნაყოფი, მიწას დარჩენა წესია.

მიწა ხორცია კაცისა, აბელი მიწას მარხია,
მიწა ნაყოფის მომცემი, მიწის ქარაგმა ქალია,
მიწის მუშაკი კაენი, უფალმა მოგცა ძღვენია,
შესაწირავი ბატკანი, ნაყოფსა იმკის ხელია.

უფალი მოგცემს წყალობას, გარჯა კაცისა ხელია,
მადლიერს ძღვენსა მიართმევს, უფლისა ძღვენი შვილია,
შვილი ნაყოფი მიწისა, უფლისა ბოძებულია,
ძღვენი მიწასა დარჩება, მისი შეწირვა კრულია.

იგავი ცბიერთა ქალაქისა

მოვძებნე ერთი ქალაქი, ვიპოვე ერთგული კაცი,
ძვირი მივეცი გავსარჯე, ვთხოვე ეწმინდა ქალაქი,
მოვიდა წვიმა და თქეში, მოზიდა ქვა და ტალახი,
კაცმა თქვა: ძვირი მინდაო, დარჩეს, ამოვა ბალახი.

მივეცი სხვა გზა არ მქონდა, გასაწმენდია ქალაქი,
გაწმინდა კაცსა ვუთხარი, ახლა მოგიკლებ ჯამაგირს,
კაცი ცბიერი გამოდგა, ჩუმად მოზიდა ტალახი,
მერე ორმაგსა ითხოვდა, თურმე მოტანა-გატანის.

მოუყვანია კაცები, მთვრალი და მობარბაცენი,
მოუზიდიათ ქვა-ღორღი, მოუცდენიათ ხარები,
ასამდე კაცი მომადგა, მემთვრალე ქუჩის კაცები,
ქალაქი გასაწმენდია, უნდა გაზიდვა ნარჩენის.

ქალაქის თავი ვიყავი, ქალაქის ბედი მებარა,
ერთი ერთგული ვერ ვპოვე, ცბიერი გადამეყარა,
გამოვაცხადე ამბავი, ცოტა მქონია ბეგარა,
თქვენივე კაცი მოძებნეთ, მივდივარ, ვტოვებ ქვეყანას.

ტალახი ასმა მოზიდა, ასმა მოზიდა ნაგავი,
კაცსა ერთგულსა ვეძებდი, ვძებნე ვერ ვპოვე ვერავინ,
ქალაქი ნეხვით გაივსო, გაწმენდა არ სურს არავის,
ჩაძირულია ყელამდე, ხელხვავად გადმონაყარი.

ასი ცბიერი ქალაქსა, მოაქვთ ტალახი გოდრითა,
არავის გაუტანია, რაც ასმა კაცმა მოზიდა,
ცბიერთა სამართალია, თურმე მათი დრო მოვიდა,
მართალი ისა ყოფილა, ვინც სხვაზე მეტი მოზიდა.

დათმობა დასათმობისა

რქასა აქებენ ხარისა, მთასა ელტვიან ბარისა,
თხისა რქა ბევრად დიდია, ვერავინ იტყვის ხარისა,
ბალანი თხისა საპალნე, მატყლი ჯობია ცხვარისა,
ძველი ანდაზა გვასწავლის: ბეკეკა იხდის მატყლითა.

ძროხას ინახავს პატრონი, რძესა ითხოვენ ფურისა,
ზვარსა მანამდე დახნავენ, ელიან მომკას პურისა,
მოზვერსა არავინ გაზრდის, უნდათ კისერი ხარისა,
ცხენი, ვირი და აქლემა, ზიდავენ ტვირთსა თავისა.

ბეკეკას მატყლი კარგია, ზომავენ ერთი ცხვარისა,
ჯორი ვირი და აქლემი, ტვირთია მათი ზომისა,
მხედარი ცხენის ტვირთია, არ ჰყოფნის ძალა ორისა,
ფური დიდი და პატარა, იძლევა ერთი ფურისა.

ზვარსა თავთავი ბიბინებს, სამკალი ზომა ზვარისა,
მზისა სინათლე დიდია, ღამე სამყოფი მთვარისა,
ზომავენ მთისა სიმაღლეს, ძირი სიმაღლე ბარისა,
ზაქისა სარჩო დიდია, მიაქვს ათისა ხარისა.

თუ ფურსა ცური გაუშრა, დარჩება ფასი ტანისა,
თუ ტვირთი ვერ აიკიდა, ფასი საზომი მგელისა,
ცხენი ჯორი და აქლემი, ფასდება მათი შრომითა,
ზაქისა ფასი დიდია, ფასდება ათი ხარითა.

ქვეყანა ბოძებულია, ფასია ბინადარისა,
ზვარი მომცემი პურისა, გაიღებს ფასსა ზვარისა,
ირემი თხა და ქურციკი, გასცემენ თავის გვარისა,
ქვეყნისა ფასი დიდია, ითხოვს საფასურს ხარისა.

დიდება ბოძებულისა, ბუნება მრავალგვარია,
წყალი და სითბო სამყოფი, წვიმასა მოსდევს დარია,
მიწასა კაცის სახლია. ზაქი კაცისა ხარია,
დათმობა კაცის წილია, თავის წილს იხდის ცხვარია.

იგავი კაცის ბოლო გზისა

გზათა გამრიგეს უთქვია, გზასა სავალსა მოგცემო,
გზა გასავალი შენია, ზომასა მე დავადგენო,
შენ არჩევანი გექნება, შენი გზა მოვა შენკენო,
გზა გასაყარი იქნება, ბოლო გზა მოდის ჩემკენო.

გზაა დიდი და პატარა, შენთვის მოკლე და შორია,
ბოლომდე მგზავრი იქნები, გზები მრუდე და სწორია,
თვალი და გონი მოგეცა, არჩევა თანასწორია,
გზასა ბნელი და ნათელი, ცხენი, აქლემი, ჯორია.

ბოლოს ყველა გზა სრულდება, დადგება გასაყარია,
ცხენი და ჯორი ჩერდება, გზასა ეყრება მგზავრია,
სრულდება წუთისოფელი, ბოლო გზა ძალზე შორია,
შენი გზა ბნელი, ნათელი, შენი გავლილის სწორია.

მგზავრსა ჰგონია იღლება, გზაგასაყარსა ჩერდება,
მთას ბობოქარი მდინარე, ბარსა ნელდება, ბერდება,
ხევები უკან დარჩება, დუნე კალაპოტს ნებდება,
მდინარე ზღვასა შეერთვის, შორი გზა მერე იწყება.

მოკვდავის სული მგზავრია, ხორცი ცხენი და ჯორია,
მგზავრისა ცხენი ვარდება, გზასა დარჩება მძორია,
ცხენთა სიმრავლე ვერ დასძლევს, გზას ბოლოს გასაზომია,
სული სამყაროს მგზავრია, უფლის გზა ბევრად შორია.

იგავი ზაქის ტანისა

ქალთა ბუნებას ცოდნია, დღე და ღამ მოლოდინია,
კაცი საფეხურს გადავა, ამბავი მოტანილია,
ქალის ბუნება ძაღლსა ჰგავს, ის მუდამ მაძებარია,
ახლოსა მისვლას ვერ ჰგუობს, მოსვლამდე მაქებარია.

დედისა ძუძუმ გამზარდა, დედა კაცობას მაჩვევდა,
ვითა დარაჯი კაცისა, ნაკლსა უმალვე მამჩნევდა,
ვით მაძებარი ეძებდა, კაცსა გუმანით არჩევდა,
მეტყოდა კაცის ზრახვასა, მეც მაძებრობა დამჩემდა.

თურმე კაცისა ბუნება, დაბადებიდან ზანტია,
თუ ქალმა არ დაიჩემა, დაეკარგება ფასია,
კაცის ბუნება დუნდება, ძილს მიეცემა გზაშია,
ქალი ფეხია, სახსარი, ქალი აბრუნებს სახლშია.

ზაქის ბუნება კაცია, ქალის ბუნება ზვარია,
ზაქი ბუხარი სახლისა, ქალი ბუხრისა კვარია,
კაცი ტაძარი უფლისა, ქალი ტაძრის თავს ჯვარია,
დედათა წესი ასეა, ზაქი არჩია ქმარია.

ქალი ფეხია ზაქისა, კაცის კისერი ქალია,
ფეხი, კისერი ქალისა, ზაქისა დარჩა ტანია,
ტანის ბუნება ზანტია, ზვარამდე მისატანია,
დედამ მაძებრად მაქცია, ვეძებ ამდენი ხანია.

იგავი პირისა

თამა თქვა: კაცი გავზარდე, კაცსა მომესწრო შვილიო,
მეგონა გამომაჩენდა, მეგონა დავეც ჭირიო,
თოვლმა და ყინვამ დამღალა, ახლა გაზრდილსა ვსტირიო,
ძემ მომიძულა დამტოვა, სხვისკენ იბრუნა პირიო.

დედამ მითხრა კაცისა, მაკადრა სიტყვა ძვირიო,
გეგონა ცხენი გაზარდე, ძუასა ათრევს ვირიო,
წავიდა გარსა დასახლდა, მთამა დაკარგა შვილიო,
მერჩივნა ვირი გყოლოდა, ცხენის ჰქონოდა პირიო.

მამა ვარ ბევრსა გავუძლებ, დედის ამაგსა ვსტირიო,
შვილმა დამარხა იმედი, განა იმედსა ვჩივიო,
გარს მისულს თასა არქმევენ, ცხენი ჰგონიათ ვირიო,
მთისა სახელსა კარგავენ, ვირსა დაერქვა გმირიო.

მტერისა ხრიკი ასეა, თასა უცვალოს სახელი,
უვიცსა ცხენი ჰგონია, მამა ჰგონია სახედრის,
გარსა მისულსა მთას არქმევს, მთასა ვერა სცნობს გარელი,
სახელსა კლავენ ცხენისა, ვირი გახადეს აქლემი.

მთის კაცმა პირი იცვალა, გატეხა კაცის პირია,
გარისა მთობა არჩია, მთასა ყინვა და ცივია,
დაეცა მთისა სიმაღლე, სახელსა იცვლის შვილია,
ცხენისა ფასი ვინ იცის? ძუას მიათრევს ვირია.

მთამა თქვა კაცი დავკარგე, შვილმა იცვალა პირია,
ზაქის სახელსა კარგავენ, ხარი გახადეს ვირია,
ცხენისა ძუას უცქერენ, ვირის სიმდაბლეს სტირიან,
ზვარსა მიდიან ვირითა, ზაქისა ფასი ძვირია.

დედამ შვილი იგლოვა, ჩაეკრა მთასა ცივსაო,
მთასა სიკვდილი არჩია, აღარა მკითხავს შვილსაო,
მამა ვარ გული მომიკლეს, ენა ვერ იტყვის ძვირსაო,
კაცმა სახელი დაიცვას, პირობა ჰქვია პირსაო.

იგავი ბნელისა

რას მარგებს ბევრის მოყვრობა, თუ მოყვარე მყავს ბნელია,
მინდოდა კაცი გვერდითა, რომ გამემართა ხელია,
მინდოდა ნდობა მოყვრისა, ვძებნე ამდენი წელია,
მოყვარედ ბევრი გამეცნო, ბევრი გამოდგა მტერია.

თურმე რუსთველსა უთქვია: უმოყვროდ ყოფნა ძნელია,
„მოყვარე მტერი ყოველთა, მტერთაგან უფრო მტერია“,
მტერთა სახელი შევიტყვე, შევიცან მათი ხელია,
ერთგული გამოვარჩიე, მოყვარე შემხვდა ბნელია.

მტერი ვერაგი მერჩივნა, მტერთან ფრთხილობა მჩვევია,
ვიცი ზრახვანი ქვენა აქვს, ვიცი დაცემას ელიან,
მოყვარე ბნელი ყოველთა, უკუნზე უფრო ბნელია,
დათვურ სამსახურს ვინ იტყვის, სიბნელე ბევრად ძნელია.

თუ კაცი ბნელსა ეჩვევა, სარკმელს არ გაუწევია,
მოყვარე ბნელსა გაზრდილი, მტერზედა დიდი მტერია,
თუნდა სანთელი დაუნთე, მოკვდება რჩება ბნელია,
გავნებს, დაგაქცევს, გამოგთხრის, ბნელსა მიენდო ძნელია.

ძველთაგან გამიგონია, კაცმა ეძიე ნათელი,
მოყვარე ნათელს ეძიე, მძებნელს მიეცი სანთელი,
მოკეთეს გონი არჩიე, ჰკითხე სოფელსა სახელი,
ძუნწი მდიდარი ჰგონიათ, ბნელმა დაზოგა სანთელი.

დაღამებამდე მზეს დარჩი, დილამდე გენთოს სანთელი,
გზას მიმავალმა იხილოს, იხილოს სახლი ნათელი,
ღამე სანთელსა დაზოგავს, დილამდე ბნელსა სახელი,
კაცი სიბნელეს ეჩვევა, ძნელდება ძებნა ნათელის.

იგავი ჩუმი კაცისა

მეზობლად ჩუმი კაცია, მდუმარე კაცი მეგონა,
მეგონა კაცის ღირსება, უფლის მოშიში მეგონა,
მის სახლსა მუდამ სიჩუმე, ბალღის ხმა არ გამეგონა,
სტუმრად არავინ სწვევია, კაცი ობოლი მეგონა.

კრძალვით იტყოდა სალამსა, ჩუმად აღებდა კარებსა,
გვეგონა ზრდილი კაცია, იცის სძინავთო ბალღებსა,
მისსა გამზრდელსა ვლოცავდი, ვეძებდი მაგის გვარებსა,
დღე და ღამ ხალხი ხმაურობს, ვერ ნახავ ამისთანებსა.

თურმე სახესა მალავდა, ვაქებდი მოძალადესა,
კაცი ლაჩარი ყოფილა, შიშით აღებდა კარებსა,
ქალსა და ბალღსა დასძლია, შიში ჰქონიათ ქალებსა,
გარეთ კურდღელი მშიშარა, შინ არისხებდა ზარებსა.

კაცი უტყვი და უთქმელი, გულსა ინახავს ბოღმასა,
გულსა საზომი ჰქონია, ველარ დაიტევს წყრომასა,
ლაჩარსა შიში შინ მიაქვს, გარეთა უფრთხის გმობასა,
სუსტსა იპოვის ხელდება, იწყებს ღონითა ტკბობასა.

მშიშარა კაცი ლაჩარი, შინაურს უწყებს მტრობასა,
გარეთ ფინიას ლაქუცი, სხვას ეფიცება ძმობასა.
ნაგაზი კაცი ამაყი, ბალღს არა ჰკადრებს წყრომასა,
ეზოს დამცავი დარაჯი, გარეთ გამართავს ბრძოლასა.

იგავი შურისა ქარაგმისა

თურმე ქართველი ტიროდა, თავის გაჩენას ჩიოდა,
ეგონა ბედმა გასწირა, თვალთაგან ცრემლი სდიოდა,
ამბობდა უსამართლოა, შარშან ზამთარსა ციოდა,
თურმე ზაფხულსა ცხელოდა, გარეთ ვერ გამოდიოდა.

ზვარსა ბალახი ხარობდა, მომკასა არა ჩიოდა,
ძმა ვარო მამა ერთია, სამკვიდროს გამოდიოდა,
უფროსმა ძმამა დამასწრო, ზვარი ახლოსა მინდოდა,
ძმის ზვარსა თურმე გრილოდა, მასთან მზე ამოდიოდა.

მანამ მივედი ზვარსაო, გადავეყარე ძმასაო,
თურმე მიესწრო. დაეხნა, ჩრდილს ასვენებდა ხარსაო,
თვითონაც დასძინებოდა, ძმა არა მცემდა ხმასაო,
ჩემს ზვარსა სიცხე თაკარა, ვერ გავიმეტებ თავსაო.

უსამართლოა სამყარო, ჩრდილი მიეცა ძმასაო,
ჩემს ზვარსა სიცხე თაკარა, ვერ ვბედავ ამის თქმასაო,
ბედმა მოშურნედ მაქცია, ვუცქერ სამკვიდრო ზვარსაო,
ზამთარს მშიერი დავრჩები, დამარქმენ უსაქმურსაო.

ბედმა მუხთალმა გამწირა, ქვეყანა ხედავს ამასო,
ძმის ზვარსა ჩრდილი მიეცა, მე მომამდურა მამასო,
კაცი მოშურნედ მაქცია, მამადლის, სარჩოს მალავსო,
სხვისი ხელისა შემყურეს, მკიცხავენ, მარქმენ ზარმაცსო.

ძმამან აუგი მაკადრა, მთხოვა იფხიზლე ღამესა,
ჩემს ზვარსა ერთად მივიდეთ, დილამდე დავხნავ დარესა,
მზის ამოსვლამდე მოვრჩებით, ჩრდილს დავასვენებ ხარებსა,
დაღამებამდე იძინე, შენს ზვარს მივასწრებ მთვარესა.

თუ ბედმა ერთხელ გაგწირა, დღედა მოაქცევს ღამესა,
შენივე მოდგმა გაგკიცხავს, ძმისა მოშურნედ გაქცევსა,
წუთისოფელი ასეა, თაკარა სიცხე ზვარებსა,
მერე ზამთარსა მოიყვანს, მშიერს რა გაგახარებსა.

იგავი ხარისა მორკინალისა

ხარმა თქვა კაცი გავზარდე, მომესწრო მამა მქვიაო,
რქები აქვს ორი ხარისა, სახელი შარა ჰქვიაო,
პაპის სახელი დავარქვი, თურმე შარს გადაჰყრიაო,
მოშარის რქასა მოუკლავს, ვიხსენებ, დღემდე მტკივაო.

დილას ადრევე იღვიძებსა, გავა დადგება შარასა,
კივის, მორკინალს მოუხმობს, გამოცდა უნდა ძალასა,
მეამყება მამასა, დავა გოროზი ჭალასა,
ხარნი შარასა უფრთხიან, პატრონთა მიჰყავთ ყანასა.

რქასა მოშურნე ბევრი ჰყავს, არ დაინდობენ რქიანსა,
მამა შვილითა ამყობს, დაუბნელებენ მზიანსა,
უთქვიათ პაპის ამბავი, მოდგმას ნახავო ტყიანსა,
პაპისა შური იძიე, გეტყვიან სახელიანსა.

გასცლია შარას მისული, ტყეს დაუწყია კივილი,
მტერისა მოდგმას ეძებდა, ახრჩობდა სისხლის ყივილი,
თურმე ჭალასა ისვენებს, ზაქს მივარდნია ყვირილით,
ზაქს რქები დაუმტვრევია, დადგა, დასჩემდა ტირილი.

მამა მომიკლეს ვიგლოვე, შვილი გავზარდე შარასა,
ზაქისა მტრობას ერიდეთ, ნუ გამოაჩენთ ძალასა,
ნუ გააღვიძებთ მძინარეს, ვერავინ დაგიფარავსა,
მერჩივნა ხარი დამერქვა, ყანა მერჩივნა შარასა.

იგავი კუზიანისა

თურმე აქლემსა უთქვია, ზურგითა დამაქვს კუზია,
გზა ქარავნისა დიდია, დღე და ღამ მიმაქვს ტვირთია,
ბაღდადს ხალიფას ვესტუმრე, ვნახე დამასკო, ლიბია,
ინდოეთამდე მივედი, უკან ეგვიპტე მიდია.

ქარავანსა ვარ მეფისა, მცოდნე ვაჭართა გზებისა,
ვიცი ხალიფას სურვილი, ფარჩას ყირმიზსა ელისა,
ბაღდადსა შახის სახლია, პატრონი ჰარამხანისა,
ფერუმარილსა მივართმევთ, ქალისა ჰინდისტანისა.

ყაენი, შახი, ხალიფა, მეფე, ქურუმი შორს მდგარი,
ხაფეზი, დიდი აშული, მოგვი და ბერი მდუმარი,
ქარვასლა დიდვაჭარისა, ქალაქს ამირა უმარი,
სასახლეს ციხის კოშკებსა, ვარ სასურველი სტუმარი.

მეფის ქალწული მომელის, დარი ვარ უფლისწულისა,
ლამისა გულსა ჩამიკრას, გამანდოს ხვაში გულისა,
ხალიფა თვითონ მეახლა, ვეზირი კვდება შურითა,
აქლემსა კუზი მამშვენებს, მპყრობელი ქალთა გულისა.

კუზის აუგი ვინა თქვა, ვინა თქვა კუზის მგმობელმა,
აქლემის კუზი შარმია, დამცინოს ხეპრემ, რეგვენმა,
ოქრო და ვერცხლი ულევი, ვერ შემაჩეროს ზღუდემა,
ქალთა სურვილი დავიპყარ, მათივე გულის მპყრობელმა.

იგავი ქალთა ბუნებისა

კაცსა უთქვია რეგვენსა, დიდი სამეფო ჰქონია,
სრა და სასახლე ბევრი მაქვს, ოქრო ვის აუწონია?
სპათა ურიცხვი ჯარია, ვასალი ბევრი ჰყოლია,
ცა დედამიწა მეკუთვნის, ვერავის გაუზომია.

ათასი ქალი სასახლეს, სასახლეთა ვარ პატრონი,
ათიათასი მხევალი, მიყვება თქმულს და გაგონილს,
ამბავი ჭორი, მართალი, სახლის, სასახლის, სადგომის,
მანამ სტუმარი მომივა, მოაქვთ ამბავი საწოლის.

ათასი ბრძენი შევყარე, ათასი მოგვი, ქურუმი,
ათასი წიგნი მომართვეს, ყველა ნათქვამი ურუმის,
ყველა ნაფიქრი განსჯილი, ეგვიპტის, ყარაყორუმის,
ყველა ზემდგომის, ქვემძრომის, სასახლის, სახლის, გომურის.

მინდოდა ახსნა მეპოვა, გამეგო ქალთა ბუნების,
მეგონა ქალი ხარბია, მორჩილი ოქროს ცდუნების,
კაცის მხარ-ბეჭი აცდენდა, ლაქუცი მხდალთა გუნების,
კაცი დევგმირი მოსწონდა, კაცი ჰერაკლეს ბუნების.

ბრძენმა იფიქრა განსაჯა, მეორე ქალმა დასაჯა,
ოქრო და ძღვენი მიართვა, ქალმა მონასთან დახარჯა,
სახლსა დევგმირი კაცია, ჩიას გახადა ფარაჯა,
სასახლის ბატონ-პატრონი, ქოხსა დაუდგა დარაჯად.

ქალმა თქვა მეფე დაგარქვეს, თურმე ვერ დაგიდგენია,
სამყაროს გონი ვინ მისცა, მოცდა ამდენი ბრძენია,
ქალთა ბუნება იცვლება, იცვლება დრო და დღენია,
ხვალე მონასა მიუვა, დღეს შენთან დარჩა, შენია.

ქალთა ცდუნება ბევრია, ვერავის დაუდგენია,
ვირსა აირჩევს ჯაგლაგსა, არ მოუნდება ცხენია,
აქლემს გაჰყვება, დატოვებს, კუზისა აღმომჩენია,
სრა სასახლესა იპოვის, მოძებნის ქოხსა კერიანს.

იცოდე ქალთა ბუნებას, მაძებრის სენი სჩვევია,
მთასა დაიპყრობს მწვერვალსა, ტყე მოუნდება ხევია,
გაიყოფს მეფის სარეცელს, მერე ქოხმახსა სწვევია,
მაძებარია ბუნებით, მწევარი ვერ დასწევია.

იგავი კაცის მცნებისა

უფლისა მცნება ათია, კაცთათვის დაუდგენია,
მცნება კანონი უფლისა, კანონი ჩემი, შენია,
ცხოვრება გზაა, კორტოხი, სიფრთხილით გასავლელია,
ბეწვის ხიდია მაღალი, მუდამ დაცემას ელიან.

გზად მეგობარი შემოგვხდეს, გაივლი გხვდება მტერია,
იხილავ კაცსა დაცემულს, ნახავ მეორეს ჯერია,
კანონი ბეწვის ხიდია, ბეწვისა ხელით სწერია,
მიდიან გზასა ცოდვილნი, თავის გაჩენას სწყევლიან.

ხიდი ბეწვია ტიალი, ცოდვათა ორომტრიალი,
კაცსა მოყვასის იმედი, გულსა გულისა ტრფიალი,
ხელს ჩაეჭიდოს ხელია, შეწყდეს გულისა ფრიალი,
კაცი ცოდვილი უმწეოა, გზასა დგას ვარამიანი.

თუ მეგობარი გარგუნა, გზასა მეგზური შენია,
ეკედრე მამა ზეციერს, ხიდსა გარგუნოს გრძენია,
ბეწვის ხიდს ბევრი ცოდვაა, მგზავრსა ბევრი ჰყავს მტერია,
თუ მეგობარი დაეცა, მარტო დარჩები, ძნელია.

უფლისა მცნება წმინდაა, კაცს გაუწოდა ხელია,
კაცსა სისუსტე აცდუნებს, ბეწვის ხიდს სუსტი წელია,
სუსტი მოიმკის ცოდვასა, სიმძიმე დასაძლევია,
თუ მოგცა ძალა უფალმა, მარტოკა გასავლელია.

თუ მცნების გზასა მიჰყვება, გზასა მოყვასი შენია,
შენი მაშველი იქნება, ხელს ჩაკიდული ხელია.
თუ დაეცემა მოყვასი, ეცადე იყო გრძენია,
გზასა მეგზური გიყვარდეს, მოყვასი განსაცდელია.

იგავი პირის პირისა

პირია სიტყვის იგავი, კაცისა სიტყვა პირია,
ბრძენმა დუმილი არჩია, თქვა: ავირიდე ჭირია,
არა ვთქვი სიტყვა უთქმელი, არ მისი დაცვა მჭირია,
პირი შევკარი პირისა, სათქმელი პირის პირია.

ენასა დიდი ურდული, სიტყვასა იცავს პირია,
კაცის სიცოცხლე ჭიდილი, განსაცდელ-გასაჭირია,
დაძრული სიტვა დოქია, დოქს სახელური სჭირია,
თუ შეხვდა მარჯვე ოსტატი, ფასი დოქისა ძვირია.

მიდის და მოდის თქმულია, იცლება დოქი ღვინისა,
ღვინო ძველია, შეირგებს, დალოცვას დოქის პირისა,
შეხვდება, ურგო, უგვანო, დალევს ძმარს გასაჭირისა,
ათასგზის პირსა გადმოვა, ნათქვამი პირის-პირისა.

ნუ დაძრავ სიტყვას ქებულსა, ნუ გახდი გადაგდებულსა,
წმინდაა სიტყვა უთქმელი, თქმა გახდის დამდაბლებულსა,
ოსტატი ხელსა მიაკლებს, ღვინოსა დამადლებულსა,
ათასჯერ პირსა გადავა, დაამცრობენ ამაღლებულსა.

ძველია ძმაო იგავი, პირის პატრონი იყავი,
ენას ურდული არჩია, არა თქვა დაუწმინდავი,
განკითხვა სიტყვით იწყება, დარჩები განუკითხავი,
პირსა პირია მთავარი, ამას გვირჩევდა წმინდანი.

იგავი ნდობისა

ვის ვენდო, საკითხავია, ვის ვანდო გულთა ნადები,
ვის შეუძლია გაუძლოს, დაიცვას ხვაშიადები,
ვის შეუძლია ზიარი, ვიხარო. გავახარებდი,
ასეთი კაცი მეპოვა, ნიავს არ მივაკარებდი.

სატრფოს ამბავი ვუამბო, მოვუყვე დანაბარები,
გული დახშული კარია, შიგან პატარა კარები,
საცავი კაცის ვარამის, გატეხილ-განაბზარები,
მოსიყვარულე, მომლხენი, დამძლევი-განახარები.

ცხოვრების გზანი გავლილ, ვერავინ გამოვარჩიე,
სარჩევად ბრძენთან მივედი, ვსდიე მისანს და მარჩიელს.
მტერი დავძლიე ვხარობდი, გაზიარება ვარჩიე,
ველოდი გაიხარებდა, მოშურნე გამოვაჩინე.

შავი დღე მქონდა, მტკიოდა, დარდისგან დაჭრილ-დაკოდილს,
მივედი შვებას ველოდი, არ ვენდე ადრე გაგონილს,
ვაი-ვიში გადმომაყარა, ჰგავდა შორიდან გასროლილს,
მეგობრის დარდსა იცავდა, ჩემგან ნაწამებ-დაგმობილს.

ბრძენი მოვძებნე, მივედი, მითხრა: გირჩევო ბატონო,
ეცადე შენი სისუსტე, მინდორს არ გამოაჭენო,
ძალა დამალე გოდრითა, სუფრასა დადგი კოვზითა,
შენში მოშურნე დაძლიე, დაზოგე ძალა ცოდნითა.

იგავი ხელკავისა

თა და ბარია სიცოცხლე, აწევ-დაწევის იგავი,
კაცი იზრდება მთას მიდის, მაღლა აწევა მიზანი,
მთას ავა დაბლა ეშვება, მიექანება, იჩქარის,
ბარსა სიცოცხლე ჩერდება, წყდება სიცოცხლის ტრიალი.

ახალგაზრდობა ჯავშანი, შუბი, აბჯარი ხმალითა,
ბერდება, ძალა ეცლება, რჩება მარტოკა კაბითა,
მთისა დანახვა უნდება, მიწასა უცქერს დაბლითა,
ახალგაზრდობა ჯაჭვია, დრომ მისხალ-მისხალ დაფლითა.

გარდასულ დღეთა იგონებს, მისტირის დროსა ბეჩავი,
ოცნებას უკან ბრუნდება, ერთხელ მომცაო ნეტავი,
ადრე აბჯარი მემოსა, დრომა შემმოსა წელკავით,
ბედაურს მივაგელვებდი, ახლა ჩანჩალი ხელკავით.

მიმავალს წამომეწევა, იცის სუსტი ვარ, ბებერი,
კაცი ზრდილია, ჩერდება, გზასა მომივა მეშველი,
მისი ხელკავი წამიღებს, მაბრუნებს გზასა გათელილს,
ბარისკენ მივექანები, მთასა მიმათრევს გაბერილს.

მხედარი გზასა ჩერდება, ხელი ჰგონია ხელკავი,
ხელჯოხი ჩემი მეგზური, სამოსი ჩემი წელკავი,
გზა მიმავალი ორია, მაღლა მთას, დაბლა ბეჩავის,
ბებერსა მიეშველება, უკან მიათრევს მხედარი.

იგავი ორაგვესა

ამბავი ქრისტეს მონისა, ამბავი მოვლენილისა,
მოთარეშეთა ამბავი, იგავი ორი გველისა,
ორი მშიშარა კაცისა, ორივე ორაგველისა,
დავითის დიდი საქმენი, დაძრულა თასა კველისა.

გურ სახლი დიდი ბერისა, გურსა მახვილი უფალის,
ორაგვეს ტყესა ხანძარი, დამწვარი გველთა უბანი,
მოთარეშეთა ბანაკი, ძალით მოსული სტუმარი,
ათასი სული დამწვარი, ტყესა ხმა თავისუფალი.

აღმოსავლეთი აიკლეს, მოკლეს, დასწვეს და წაიღეს,
მერე დასავლეთს მისულან, ნაფუზარს სახლი აიგეს,
თავიდან თარეშს არჩევდნენ, მერე ამბავი გაიგეს,
ქართველთა მეფე დანებდა, დასცეს, ფარდაგი დაიგეს.

თა კველს ბანაკი ჰქონიათ, მისულან დედა-წულითა,
სახლის პატრონი ხიზანი, წასვლა გზით დაფარულითა,
მეფეს უამბეს ამბავი, შიშითა დამარხულითა,
დავითი მოვლენილია, კაცნი უცვნია გულითა.

უთქვია: კაცნი მოსულხართ, გქონიათ სახლი სოფელი,
მოთარეშენი მოსულან, დაგიცავთ მეფის სახელი,
მეფესა ხალხი სჭირდება, ხალხი სახლისა დამცველი,
გიბრძანებ სახლსა მიხვიდეთ, მიხვიდეთ მეფის სახელით.

სოფლის თავს გველის თავია, თავსა დაუნთეთ ხანძარი,
მთელი მთა ცეცხლსა მიეცით, მიწა იწვოდეს დამპალი,
ნაფეხურები იწვოდეს, მთასა გაჰქონდეს ზანზარი,
შიშითა ძრწოდეს ბანაკი, გველსა დაეცეს თავზარი.

კაცნი მთას მიაშურებენ, იწყებენ ხანძრის ქრობასა,
ბანაკი დაუცველია, ელის თქვენივე მტრობასა,
თავლასა თივის კოცონი, ჭიხვინი დასთესს ძრწოლასა,
გველის თავს მთელი ბანაკი, ელის მეფისა ბრძოლასა.

მთას მოუარეთ შორიდან, სოფელს ნუ მიეკარებით,
ცხენთა, ნაგაზთა არ გიგრძნონ, ვით გველი მიეპარენით,
გველის თავს მეფე დაიჭერს, კუდსა თქვენ მიეყარენით,
თქვენივე წყალს და მიწასა, ვით კაცნი მიებარენით.

უგვრძნია კაცსა მოვლენილს, ვერ მივლენ გულით მყარითო,
მშიშარა კაცი მტერია, მტერი სახლით და გვარითო,
სოფელსა მივლენ მშიშრები, ამბითა გასახარითო,
ჰგონიათ მტერი დაინდობს, მისვლამდე შეიპყარითო.

გველის თავს მეფის კაცები, გაუჩენიათ ხანძარი,
გზას შეუპყრიათ ორგულნი, მეფე გამოჩნდა მართალი,
მთელი ბანაკი მისულა, დაცლილა სახლი საფარი,
ვით ჯოჯოხეთი კველის თა, ხორცი და ძვალი ნაცარი.

სოფელს ორაგვე დავარქვი, ვით სახლი ორი გველისა,
სოფლის თავს ნახანძრალია, დღემდე კვალია წყევლისა.
ვერი და სამი ნიშანი, ქარაგმა თისა კველისა,
უფლისა გზანი ვინა ცნას, საქმენი საკვირველისა.

იგავი განკვეთილისა

გარეთ მზე, ვითა საგანი, მიწას ჰქონია საფარი,
მზის სითბო დილას მახურავს, ღამე სახლისა საგანი,
ქვეყანა კაცის სახლია, მიწა სახლია ადამის,
მიწასა ბოლო სახლია, სრულდება აქ დასაგამი.

ადამი დიდი ყოფილა, კაცი საზომი დევისა,
მიწა და წყალი ჰქონია, პატრონი მთის და ხევისა,
ადამის მოდგმა გადარჩა, გაიყო წილი ქვეყნისა,
წილი უდაბნო, ბაღნარი, მოყვარე მტერის მტერისა.

გაიყო ადამის სახლი, დასახლდა მტაცებელია,
დღეს ერთმა სძლია მეორეს, მძლევი და დაძლეულია,
ადრე გაყოფილს იყოფენ, ათასჯერ გაყოფილია,
სიხარბე მძლევის მძლევისა, ძლეულთა დაგმობილია.

დასძლია მადა ხარბია, ძლეული განკვეთილია,
დაკარგვა სახლის, სადგომის, ცხოვრება გაკვეთილია,
განცხრომა მძლევის გამოცდა, ძლეულსა წრთობა ძნელია,
სიხარბე მძლევსა დაამცრობს, ძლეული გამოზრდილია.

განკვეთა სოფლის სამსჯავრო, ბრმა, უსინათლო თვალია,
კაცისა გაზრდა აშინებთ, ამა სოფლისა ბრალია,
პატარას დარჩა სოფელი, დიდსა ვერ ჰგუობს, მხდალია,
თუ ბალღსა მოიკვეთავენ, ბევრად დიდ გაზრდას აცლიან.

დედათა წესი ასეა, შვილსა პატარას შველიან,
პატარას გაზრდას ლამობენ, გაზრდილი მათი შვილია,
შვილი დაკარგა დედამა, სხვა გაზრდის, სხვისი წილია,
ბალღი სხვის ხელსა გაზრდილი, ვერ მიენდობა, ფრთხილია.
განიკვეთავენ, კარგავენ, გაზრდიან სოფლის შვილია.

იგავი შინაური ქურდისა

ქრება სანთელი, ბნელდება, დაღლილი ძილსა ნებდება,
დილამდე გამოძინება, გონება დაიფანტება,
ღამე ძილია მთავარი, გონსა ღრმა ძილი სჭირდება,
მძინარე კაცი ვით მკვდარი, დილამდე გაირინდება.

კაცი დილიდან ირჯება, ძალა წვეთ-წვეთად იცლება,
ფიქრი, ზრუნვა და ფუსფუსი, ღამდება გაუკვირდება,
გამრჯე სახლს მივა ისვენებს, ძილი ძალასა ჰპირდება,
უქნარა, ქურდი იღვიძებს, ქურდს ბნელი ღამე სჭირდება.

ქურდსა მიპარვა სჩვევია, დაძლევა მარჯვე ხელია,
კარსა საკეტი დარაჯი, სახლსა სიფხიზლე მტერია,
გარეთ სიბნელე დამცავი, სახლსა გამცემი ბევრია,
კარი, სიფხიზლე იცავდა, შინაურს ვერ მოერია.

ქურდი უქნარას მოძებნის, გარე და შინა მტერია,
გამრჯე ღამესა ისვენებს, დგება უქნარას ჯერია,
უსაქმურს დიდი მადა აქვს, უქნარა ბევრზე ბევრია,
ქურდი გასაღებს იპოვის, კარს შინაურის ხელია.

ქურდობა დასაგმობია, ამცრობს ნაყოფსა გარჯისა,
დაცვას სიფხიზლეს სჭირდება, წაიღებს ძალას გამრჯისა,
უცხო მპარავსა დახვდება, კარის საკეტი სახლისა,
შინაურ ქურდსა ენდობა, კარგავს უნარსა განსჯისა.

იგავი იბერიელისა

ქართველთა მოდგმა ძველია, გზა გაუვლია ძნელია,
პირველი კაცი იაკობი ძველთა აღთქმასა სწერია,
სამარიელი იოსები ხიზანი ეგვიპტელია,
ძმათა სიმუხთლემ გამოწვრთნა, დასძლია, შურს მოერია.

გაბილონს ერქვა ქალდეა, დე ხეთებისა ქალია,
დე დედა ძველსა ქალდეას, გოდოლსა ქალის ხელია,
მოთავე ქალი ყოფილა, ამგავი ქვასა სწერია,
ზეცას სახლია ზაქისა, კოშკი ქალს აუწევია.

მოთავე ხეთთა ქალია, ზეცასა მისწვდა გოდოლი,
ღვთის რისხვა დაიმსახურა, დაეცა ქალის მოგონილს,
დაიქცა კოშკი ქალისა, კაცი ვერ მისწვდა გაგონილს,
ქალდეა სახლი ხიზანის, ადგილსა ქალის სადგომი.

იოსების მოდგმა ზანია, ქალდეა გასატანია,
ხეთა სახლია სიცოცხლის, გაბილონს მივა ზანია,
დაიქცა ზანთა ხელითა, ვითა ტყვე წაუყვანია,
ქალდეა ზანთა ხიზანი, ზანთა კაცს მიუყვანია.

ექვსასი წელი აგებდა, ხეთა ვით კოშკი აზიდა,
ქალისა კოშკი აიგო, მივიდა წყალთა საზიდარს,
იოსების სახლი გადარჩა, ხეთას საომრად წავიდა,
დაიქცა კოშკი ქალისა, ხიზანმა სახლი გაზიდა.

ზანთა მიწასა გაჩერდა, სახლსა დაერქვა ისიდა,
ისიდა ზანთა ქალია, ქალი ქალის სახლს მივიდა,
დაიწყო კოშკის აგება, ქართლოსი მთასა აზიდა,
ზანისა ქალი შეირთო, დაიწყო კოშკი თავიდან.

იბერთა სახლი დაიდგა, კოშკსა აგებდა ქალია,
მოსულან ბარბაროსები, წაშალეს ძველი კვალია,
ქალდეა სახლსა მივიდა, ხიზანად იქცა ხარია,
კოშკი აიგო, დაიქცა, თურმე ქალდეას ბრალია,

იგავი კოლხთა ქალისა

თურმე ქალისა სახლია, ქარაგმა ბრძენთა ხელისა,
კახი სახლია კაცისა, მიწას სახელი ხერისა,
დედა კაცისა ქალია, ფური სახლია ფეხისა,
ფეხი ტანია ზაქისა, ტანი სახლია ფერისა.

ფერთა სიმრავლე კარგია, ვაკეს ყვავლითა ფერია,
ყვავილი ქალის სახლია, ფერთა ზეკარის მთეგია,
კოლხა ყვავილთა ყანაა, ყანასა ქალის ხელია,
ყვავილთა ყანა ქალია, ზანთა ქარაგმას სწერია.

ფასისი ქალის სახლია, ფასი მდინარის თავია,
ფერსათი ორი ქარაგმა, ორი სახლისა ზღვარია,
დასავლი ყანა ყვავილთა, ზეგანი ზანთა ხარია,
ფაზისი ზაქის ფეხია, სათავე სახლის კარია,
ფასი წყალია ფურისა, ზეგანის წყალი მტკვარია.

კოლა ქარაგმა ქალია, კოლა ნიშანი ზღვარისა,
თურმე ქარაგმა ორია, ქარაგმა ორი ხარისა,
ფაზისი თურმე ზღვარია, აქ და იქ სახლი ქალისა,
ისიდას სახლი ლაზია, კოლხაა ამორძალისა.

იგავი ქარაგმისა ზი

თურმე ქართული ქარაგმა, ნიშანის შინა ზის,
ძერა ფრინველი მეგონა, დათვი ნადირი ტყის,
ღორის ღრუტუნი მესმოდა, კიკინი დედა თხის,
ძაღლი მეგონა მურია, თურმე ქარაგმა ზის.

ზი ქარაგმაა ზანეგის, ქარაგმას ხარი ზის,
ზარი სამრეკლოს დარეკავს, ქარი, გრიგალი ქრის,
მეხის გრუხუნი მესმოდა, თურმე ხარია ცის,
მდინარე გზაა სიცოცხლის, ხიდი ხარია გზის.

თავი კაცისა მეგონა, თურმე თავია მთის,
დარი-ავდარი ამინდი, თურმე სახლია დის,
რუ სადინარი მეგონა, გზა საზიდარი წყლის,
ური დაბლობი ყოფილა, რუ სათავეა ჭის.

კარი სახლისა ვიცოდი, კარი, ჭიშკარი გზის,
კაცის ქარაგმა ყოფილა, ჭიშკარი გზაა ჭის,
ხე მერქანი და შეშაა, თურმე სიცოცხლე ზის,
თურმე ციხეა ქარაგმა, დრო ვითა ქარი ქრის.

ორმოცი რიცხვი მეგონა, თურმე ქარაგმა ზის,
გზა სიცოცხლისა ყოფილა, ზომავს ნახევარს გზის,
ნაზი, ლამაზი ქალია, თურმე ფურია ზი-ს,
ზი ქარაგმა ხარისა, თურმე სახლია ცის.

ურბანი კაბა ყოფილა, სახლი ბარის და მთის,
კაცი სიცოცხლე ხორცისა, ფასი საზომი გზის,
ფასია ოთხი ქალისა, ფასი ოთხმოცი წლის,
თურმე ქარია ქართველი, იბერთა მიწას ქრის.

საფასურს იხდის სამყარო, ფასი მიწის და ცის,
მიწას პატრონი კაცია, იხდის წყალისა, მზის,
ფასს საზღაური რქმევია, დრო მისხალ-მისხალ თვლის,
ქალის ქარაგმა ფასია, კაცის საზღაურს ზრდის.

იგავი წითელი პარასკევისა

შავი ლაქები ბევრია, ლაქა ახალი ძველია.
ძველ ლაქას მტვერი დაედო, ახალი ძველის მტვერია,
დასაბამიდან ფარავენ, ლაქა ადამის ხელია,
ლაქა ლაქასა ედება, სამყარო გახდა ბნელია.

პირველი ლაქა კაენის, კაცმა ძმის სისხლი დაიდო,
ლაქა მიწითა დაფარა, ცოდვა სამარეს წაიღო,
დამალა მისივე მოდგმამ, აბელის მოდგმამ გაიგო,
შური იძია პაპისა, აბელის სისხლი აიღო.

მოდგმა მოდგმისა ლაქაა, ძველსა მალავენ ახალით,
ათასი ფენა დაფარეს, დაბნელდა, გახდა მაღალი,
ზეცას სიმაღლე მოაკლდა, კაცია ბევრად მდაბალი,
შავის და ბნელის ფერია, არ მოიძებნა წამალი.

მიწა გაშავდა ცოდვითა, ლაქით ახალით, ძველითა,
დამძიმდა მიწას უჭირდა, ვერ ძლებდა ცოდვა-ბნელითა,
ძაძა ჩაიცვა სამყარომ, იგლოვა ცრემლით ცხელითა,
წარღვნა მოვიდა გარეცხა, გარეცხა უფლის ხელითა.

ახალი ათვლა დაიწყო, ძველი გარეცხა, წაიღო,
სამ ათას წელსა ავსებდა, კიდევ ორასსა გაუძლო,
ძველი დრო ბევრად დიდია, ათასი წლითა დაიკლო,
ორათას სამასს ითმენდა, მესამე ერა დაიწყო.

სამყარო ისევ დაბნელდა, მიწა პირამდე გაივსო,
უფალმა მოგვცა მესია, ცოდვა იტვირთა რაც იყო,
ძე ღვთისამ მიწა დაიცვა, თავისი სისხლი გაიღო,
ხორცი ვით ლაქა გადარჩა, წითელ პარასკევს დაიწყო.

ჯვარცმა ლაქაა მთავარი, თურმე ქვესკნელი გაიღო,
ცოდვათა ნიაღვარია, სამოთხის ხიდი წაიღო,
ლაქა ძველი და ახალი, ცოდვათა მთები აიგო,
მოეთხოვება გადახდა, მოკვდავმა ვერა გაიგო.

იგავი იბერთა ქურუმისა

ზიქურათია კრებული, ძველთა ქურუმთა კანონი,
ელინი ჰეროდოტეა, ქურუმი იყო სტრაბონი,
კიროსი სპარსთა ქურუმი, რომისა გზას ციცერონი,
ათენს სოკრატე ჰყოლია გამოუზრდია პლატონი.

ქურუმი ხეთთა ბრძენია, გონი კანონი ბრძენისა,
ძველია ბრძენთა კანონი, ცოდნა ქურუმთა ენისა,
პერანი იბერთ ქურუმი, კანონი ფარსმან ქველისა,
მეფე ფარნავაზ, მირიან, სახლია იბერთ ბრძენისა.

დიდი ბაკური დიდია, დაუძლეველი სარდალი,
მამა ქურუმი ჰყოლია, ბაკურსა არ ჰყავს ბადალი,
იბერთა დიდი მეფეა, ანბანს მარხია ამბავი,
ფარსმანი რომსა ეომა, ხმალით ბაკურის ტაძარის.

დასავლით რომი ყოფილა, აღმოსავლეთი პერანის,
დიდი ბაკური ხიდია, ვერ მოარღვია ვერავინ,
ბაკური რომის კველია, იბერთა სახლის მძევალი,
ქურუმი დაბრუნებულა, იბერთა წიგნის მწე ვარი.

ძველთა იბერთა ცოდნაა, ხეთთა ხელია ქურუმი,
ურისა ზიქურათია, ქურუმთა გზაა ურ უმი,
ხეთი იბერთა პაპაა, სიბრძნის ძიება ქურ უმი,
კაცის გზა სიბრძნის ძიება, გზას მიმავალი ხორ უმი.

იბერიელთა ძიება, გზას დიდი ჩირაღდანია,
ზაქი იბერთა ცოდნაა, იბერთა სახლი ტანია,
ზიქურათია კრებული, იბერსა მოუტანია,
ხანძთელი, ზაქი, რუსთველი, მოძღვარსა მოუყვანია.

იგავი შუა ყანისა

ქართველთა მოგვცა სამოთხე, უფალმა გამოგვარჩია,
შუამდინარეთს დაიწყო, კავკასიელად გვაქცია,
შუმერთა, ხეთთა ძირია, მოდგმას ქართველი დარქმია,
ქვეყანა ზაქის სახლია, მიწის პატრონი კაცია.

თურმე ქართლოსმა იცოდა, იცოდა უფლის ძღვენია,
სამარიელი იოსები, გაწვრთნილა მოუთმენია,
ცოდნია ძმათა სიმუხთლე, შურით არ მოუწყენია,
გაწურთნილა იაკობის მოდგმა, ქართლოსი მოუვლენია.

ექვსასი წელი იცავდა, კავკასიონი სჭერია,
კასპიას კაცი ყოფილა, პონტოს ზღვა ზაქის ხელია,
ბარბაროსები მოსულან, კასპია დაუჭერიათ,
საშველად ხეთი უხმია, ზაქს მხარი გამოსჩენია.

ექვსასი წელი მხარდამხარ, ზაქი და ხარი იბრძოდა,
ამირან ზურგით იჭერდა, მთასა ზაქის ხმა ისმოდა,
პაპისა მოდგმას იცავდა, შუმერთა ენა იცოდა,
ხეთთა და ზანთა სახელით, იბერთა მოდგმა იღვწოდა.

ექვსასი გახდა საზომი, ზომავდა მიქცევ-მოქცევას,
ქალდეას კოშკსა აგებდა, მიწა იწყებდა მორყევას,
ექვსასი წელი იღვწოდა, ცდილობდა მტერთა მორევას,
თურმე „ნებაა უფლისა“, ხარბი რომ გამოერევა.

ფარსმანმა გახსნა კარიბჭე, მივიდა რომსა ეომა,
ექვსასი წელი გასრულდა, გაუტყდა ხმალი მეომარს,
ვახტანგის ერა მოვიდა, ქართლი ითხოვდა ძეობას,
მეხუთე სახლი დაიდგა, დრო გაუსწორდა მხნეობას.

აშოტი, ბაგრატ, დავითი, თამარის მოსვლას ელოდა,
ექვსასი კრავდა კამარას, კლავდა ქართველთა ძეობას,
ჯალალსა მოჰყვა მონღოლი, დამპყრობთა მონაცვლეობა,
მეფე ერეკლეს მახვილი, ჩრდილოთა მოძალეობა.

ექვსჯერ ექვსასი გაუძლო, გაუძლო მტერს და მტარვალსა,
ორასი წელი მეშვიდეს, დახვდა მოძულეს მრავალსა,
მიწა სისხლისგან იცლება, მოდგმა ვერ მიხვდა მთავარსა,
სამოთხის ფასსა იხდიან, მადლი აკლია ტაძარსა.

ქვეყანა ქვედა ყანაა, სახლი ურის და ქერისა,
კავკასიონი თაღია, თაღსა თვალია მტერისა,
ზედა ყანაა ზეცასა, ქვეყანას ნაღვაწს ელისა,
შუა ვარჩიეთ უცხოთა, დავამხეთ ფასი ძღვენისა.

იგავი ურისა

თურმე შუმერთა ენასა, დაბლობის ვაკე ურია,
ძველი ხეთების ენასა, შუა დაბლობი შურია,
ზანების კაცი ზაქია, ქალი ზაქისა ფურია,
გი სახლი ხმელის ხარისა, დაბლობი ქვეა, გიურია.

ძველი შუმერი ზანია, ფეხი ზაქისა ფურია,
ხეთი ზანების ხიზანი, პატრონი გახდა მდგმურია,
ქერი ზანების ზვარია, ხეთების გახდა პურია,
ღარი ზღვარია სახლისა, ხიზანმა არქვა ღურია.

კოლხა ვაკეა, დაბლობი, შუმერთა ძველი ურია,
სახლია კოლხი ქალისა, ფასი სახლისა ფურია,
ზეგანი ზაქის სახლია, დაბლობის ხარი გიურია,
იბერის პაპა მისულა, იბერის სახლი გ-ურ-ია.

სახლი ხარისა ხუთია, დაბლობის შუა შურია,
შუ-ხუთი შუა სახლია, იბერი სახლის გულია,
გი-ური კოლხთა ხელია, ზაქმა დამალა გურია,
ბასილეთია პალია, დღემდე დიდება სწყურია.

თაღარა ზაქის ხელია, ღურტას მარხია ღურია,
ფასისი ქალის სახლია, ფურტიო თურმე ფურია,
გური იბერის სახლია, ზაქის თა ნადაბურია,
დაბასა სახლი ზაქისა, კაპანის ხევი შურია.

შუარწყალია ზოსიმეს, რუსთველის შუარტყალია,
შუახევი და შუამთა, შურმული შუმერულია,
შურდო, შუკა და შუბანი, მთავარი შუა, გულია,
შუაწყალს მერე, მარეთი, შუმერი დამალულია.

იგავი კაცის მოცდენისა

მაცდურად მოდის დესპანი, ეშმაკის მოგზავნილია,
მთელი დღეს ეზოს ვიჯექი, არავის გამოუვლია,
დილა ადრიან ზვარს მივალ, ხარი უღელსა ბმულია,
ფინია კარსა მივარდა, ჯაჭვსა ებრძოდა მურია.

მოვიდა სხვისი დესპანი, თურმე გზად გამოუვლია,
თუ მიმასპინძლე.დავრჩები, ვიქნები შენი მდგმურია,
საუზმე ცოტა მეყოფა, ახლა წყალს დავლევ, მწყურია,
კაცის სახელი თუ გინდა, სტუმარს გაუღე გულია.

ვიცოდი კაცი გზასა დგას, უცხოსა უნდა სადგომი,
კაცსა პატივი მივაგე, სტუმარ-მასპინძლის საზომით,
კაკლის ძირს სუფრა გავშალე, დოქითა ღვინო სანდომი,
მეზობლის კაცნი შევყარე, ვლოცავდი ფეხზე დადგომით.

კაცმა შეირგო, გაჩერდა, მასპინძლის ნებას დანებდა,
ხელაპყრობილი მლოცავდა, ველარ ამჩნევდა კარებსა,
მიამბო კაცსა ველიო, მთასა ყოფილა ზვარებსა,
წვიმამდე ბარსა არ მოვა, უნდა გამორჩეს დარებსა.

ზვარი პატრონსა ელოდა, უფალსა ვთხოვდი წვიმასა,
კაცი მაცდური დილასა, ვერაფრით გაველ შინასა,
გაწვიმდა, კაცი წავიდა, მე გამომკეტა ბინასა,
მაცდურმა ზვარი დაკოდა, ველარ წავიდა წინასა.

იგავი შუა კაცისა

სამყარო ბრძოლა, ჭიდილი, მიზეზი იწყებს ბრძოლასა,
დღეს საბაბია ქიშპისა, ხვალ მოგცემს ერთად დგომასა,
მტერი მოყვარე გახდება, მოყვარე იწყებს წყრომასა,
სახლი და ზღვარი ივლება, ზვარსა ომი ცვლის შრომასა.

კაცი მტერისა მტერია, საომრად ლესავს მახვილსა,
მტერი მტერისა მძლევია, ძლეული იცვლის ადგილსა,
თავის დროს დაელოდება, დამალავს ბრძოლის წადილსა,
დრო გაუღიმებს ძლეულსა, მტერს აზღვევინებს განცდილსა.

ყველაფერს თავის ფასი აქვს, ფასი აქვს მტერის ძლევასა,
სასწორი ფასსა გაზომავს, მოყვარეს ჰკითხავს რჩევასა,
ფასი მცირეა ბრძოლისა, ბრძანებს მოყმეთა წვევასა,
თუ ძლევა ძლეულს დაგარქმევს, ჭკვიანი არჩევს თმენასა.

ზავის გზას ეძებს მოძულე, შუა კაცისა ყოლასა,
მტრებს შორის ხიდის გადებას, იწყებს უსისხლო ბრძოლასა.
შუა კაცს დიდი გამოცდა, ბედავს მტერთ შორის დგომასა,
ორივე მხარეს ისარი, ორივე იწყებს წყრომასა.

შუა კაცია მისია, მოძულე უმადურია,
დიდია მადა მტერისა, მტერის დამცრობა სწყურია,
აქლემებს შუა ჩოჩორი, ხიდის საყრდენი შურია,
მოძულეს ნერვმა უმტყუნოს, ხიდ-კაცი დაკარგულია.

იგავი შინა გამცემისა

შიში, შური და სიხარბე, ლტოლვა და ურწმუნოება,
ხორცთა მონება, სისუსტე, მტერთაგან მოძალეობა,
ცხოვრება დიდი გამოცდა, საკრძალის მოკრძალეობა,
დამცრობა, ნების სიმწირე, ჯვარი და მოვალეობა.

დაბადებიდან ჭიდილი, სახლი, სოფელი, სამყარო,
პირველი ბრძოლა მოსვლაა, ბოლოა ხორცს გაეყაროს,
დედის ძუძუა აკვანსა, დაძლევს შიმშილმა დაღალოს,
სოფლის გზას ჩრდილსა დადგება, ეცდება შიში დაფაროს.

სოფელს ოჯახი დაიცავს, ბალღი მოდგმასა ენდობა,
დაიბადება ხარობენ, წავა ეტყვიან შენდობას,
მტერი სოფელი ჰგონია, ღობესა იქით მტერობა,
მამას გაჰყვება სოფელსა, ვითა მონა-სპა, მხედრობა.

ბალღი იზრდება, კაცდება, არჩევს მტერსა და საცილოს,
სოფელსა ზვარი, წისქვილი, ძმანი ითხოვენ საწილოს,
გზა და ორღობე ზღვარია, ეცდება გაინაწილოს,
ბევრი სამკვიდროს სჯერდება, არ უნდა კაცი გასწიროს.

სოფლისა ზღვარი სოფელი, გზა, მინდორი და ხევია,
ზოგან ზღვარია მინდორი, ზოგან მდინარის მდევია,
თავისას იცავს სოფელი, მეზობლად სოფლის მტერია,
სოფელი უმტრობს სოფელსა, ქუდზე კაცი და ბერია.

შინა ქიშპობას ივიწყებს, ერთობა ძალის შეკრება,
იწყება კაცის გამოცდა, სუსტს ასპარეზი ექნება,
სხვა სოფელს გაურიგდება, შეკრებას ძალა ეცლება,
სოფელმა მარცხი იწვნიოს, გამცემსა მეტი ერგება.

ქვეყანა ბევრი სოფელი, ძალა სოფელთა ჯარია,
ჯარი მონა-სპა მეფისა, მხედრობა მხარის მხარია,
წინა მდგომს ხმალი გაჰკვეთავს, ზურგს უკან სხვისი ფარია,
მტერთა ერთობით დასძლევენ, ერთობით რეკავს ზარია.

მთავარსარდალი იმარჯვებს, ჯარსა მიუძღვის ხარია,
ლაჩარი, სუსტი, ორგული, ერთობას ჩნდება ბზარია,
სოფელ-ქვეყანა იქცევა, სულდაცემულის ბრალია,
პატარა სოფლის მოქიშპეს, მტრის ურდო მოუყვანია.

მტერის, მომხვდურის სიმრავლე, შინაგამცემის თვალია,
მძლავრობს, ძალადობს მოსული, იცის ხიდი და წყალია,
ათასწლიანი ტანჯვაა, თავი ორგული, მხდალია,
გმირების მოდგმა მიწასა, გამცემი გამოჰპარვიათ.

იგავი კაცთა ქომაგისა

ქვეყნიერება გარემო, ძველის და ახლის შეკრება,
ახალი ახალმოსული, დაძველებამდე დარჩება,
ძველი ქცეული წარსულად, კაცის თვალს მიეფარება,
ახალი ძველად იქცევა, ძველის-ძველს მიეგარება.

ძველი აგრძელებს სიცოცხლეს, ვერავინ მიეკარება,
ცოცხალსა მკვდარი ჰგონია, სამარეს მიეძალება,
ხორცი მიწაა მიწასა, მიწასვე მიეტანება,
მოკვდავის სული იცოცხლებს, ფარდასა მიეფარება.

ცოცხალის თვალი ფარდაა, სიკვდილმა ჩამოაფარა,
ამ ქვეყნად სული მოვიდა, ხორციელს გამოატანა,
კაცსა მისია ჰქონია, ვით მგზავრი გამოატარა,
კაცის სულისა სამოსი, ხორცი მიწამ დაფარა.

სააქაოსა სამოსით, სული მიწასა ჩამოდის,
გზა დასრულდება მგზავრისა, თქვი განიმარცვა სამოსი,
თითქოს არსაით მოვიდა, წავიდა სხვა სამყაროში,
მოსვლა და წასვლა ხიდია, სიცოცხლე ტანი-სამოსი.

უჩინარ ხიდსა მოდიან, რჩებიან ხიდსა გასვლამდე,
დედის მუცლიდან იწყება, გრძელდება კუბოს კარამდე,
მგზავრისთვის მიწა უცხოა, უცხოა მთიდან ბარამდე,
კაცსა ქომაგი სჭირდება, მგზავრი დაიცვას წასვლამდე.

ორი სამყაროს გამყოფი, ის უჩინარი ხიდია,
მიწას ქომაგი კაცისა, ჯაჭვი ზეცასა კიდია,
მოდიან წმინდა ქომაგნი, მათი ჭაპანი დიდია,
სამყარო უმადურია, ვითა უცხონი მიდიან.

ქომაგი გამორჩეული, უფლისა ხარი მიწასა,
კაცი სუსტია ბუნებით, ქომაგი სუსტსა იცავსა,
დიდია ხარის ჭაპანი, წასვლამდე მარტო ზიდავსა,
ქომაგი უფლის ძღვენია, ქომაგსა ვუძღვნი იგავსა.

იგავი სიხარბის დამძლევისა

ცამ გადმობერტყა მიწასა, თვალ-მარგალიტი ზეცისა,
მიწას მუცელი გახსნია, ჩანთქა სიხარბე ქვეყნისა,
ცის ბოძებულსა დამალავს, ხარბთა ქვესკნელსა ელისა,
სიხარბის მძლევი დარჩება, ხარბი ხახასა შედისა.

სიხარბის თვალი დიდია, ჩანთქვას ჩანთქმულსა მიწისა,
შევა მიწისა ხახასა, სიხარბით სიღრმეს შედისა,
თვალ-მარგალიტი ულევი, თვალი უძირო ქვევრისა,
უძირო არ გაივსება, არ მოშლის ჟინსა ძებნისა.

დიდია ფასი სიხარბის, ვერასდროს აიწონება,
უძირო ქვევრი ივსება, დრო-ჟამი გაიწელება,
გავსებულს ვერვინ იხილავს, ვერაფრით გაიზომება,
ქვევრისა ძირი ქვესკნელი, პატრონსა დაელოდება.

სიხარბე დიდი სენია, ძალასა დაუძლევია,
უძირო ქვევრი ბევრია, სიხარბე ჩაუთრევია,
თვალი ხახაა ქვესკნელი, ახელ-გავსება ძნელია,
ქვევრისა თვალი პირია, თვალისა კარი თხელია.

იგავი კალმოსანისა

აქლემის ტვირთი საპალნე, სამი ჯორისა ტოლია,
სახედარს ჯორი არჩიე, გზასა მორჩილი სჯობია,
ვირის ხმა ესმის სახედარს, ყროყინი ჰანგი ჰგონია,
მიეჩქარება ქარავანს, პატრონსა როზგი ჰქონია.

გაროზგვა ერგო სახედარს, საზურგეს მუდამ ტვირთია,
აქლემი წინამძღოლია, იცის მიტანა მისია,
გზას ქარავანი ჩერდება, აქლემი ძილის ღირსია,
სახედარს შოლტის შიში აქვს, არ ეკარება ძილია.

სამელნე საზიდარია, წამღები სახედარია,
კალამსა ხელი სჭირდება, უწვრთნელი კალმოსანია,
კალმით ნაწერი ტვირთია, აქლემის საზიდარია,
თუ სახედარმა წაიღო, ნაწერი შოლტის კვალია.

აქლემის ტვირთი საპალნე, კალმისა გაწვრთნა ხელია,
ქარავანს წინ მიუძღვება, უდაბნოს გავლა ძნელია,
გზას სახედარი დარჩება, აქლემსა ვერ მორევია,
აქლემსა მუდამ ელიან, უდაბნო დაუძლევია.

სახედრის გზაა ჩახრახი, დიდ გზასა ვერ მორევია,
ადის და ჩადის ჩახრახსა, ყროყინი თანამდევია,
ათი სახედრის ტვირთი აქვს, დათვლი აქლემზე ბევრია,
ჩახრახსა ხმაა ვირისა, თავი ვერ დაუღწევია.

კალმოსანია ჩახრახი, კალამი აუწევია,
აქლემის ტვირთი უნახავს, უდაბნოს გაუწევია,
უდაბნოს ვერ მორევია, ჩახრახსა დაუხევია,
აქლემის ტვირთი ხელია, აქლემსა დაუძლევია.

იგავი ქორბუდა ირემისა

მაღლა მთას ქორის ბუდეა, ქარაფსა ჯიხვის ნაგრამი,
არწივის კლდისა ქიმია, ციცაბო კლდეა მაღალი,
კვარის ტყე დათვის სახლია, მგელი ირმისა მდევარი,
მთასა ირმების ჭალაა, დღე და ღამ დასდევს მწევარი.

ირემი მთისა შვილია, თითქო მოძერწა ბუნებამ,
თოვლი და ყინვა ზამთარსა, არ მისდევს ბარის ცდუნებას,
ბარსა თუ მივა ბალახსა, ვერა ძლებს მთასა ბრუნდება,
შველი ფურია ირმისა, დედოფალს დაეწუნება.

მაღალ მთას ქორის ბუდეა, არიდეს ტოვებს ბუდესა,
ზამთარსა ყინვა ქარბუქი, ქორი მედგარი უძლებსა,
წავა შორს მოინადირებს, თავის ბუდესა ბრუნდება,
ირემი მთისა ქორია, საირმეს დაიბუდებსა,

ზამთარი განსაცდელია, თოვლია ირმის ჭალასა,
ვით ჯიხვი კლდისა ქარაფსა, გადარჩეს, ეძებს ბალახსა,
კლდის ძირსა მგლების ხროვაა, ზემოდან უცქერს ვერაგსა,
კლდესა ყინვა და ქარბუქი, ტიალის გზასა ზვერავსა.

თავიდან ასე ყოფილა, დადის ჭალას და ქარაფსა,
დიდის და მცირეს სამიზნე, უძლებს დევნას და ღალატსა,
ქორბუდა მთასა შეზრდია, მთა ქორის ბუდეს მალავსა,
მხეცის და მონადირისა, სამიზნე დღემდე გადარჩა.

ზაქი მთებისა დევია, ძილი ჭალასა სჩვევია,
დათვი და მგელი გაურბის, ირემი მიუჩვევია,
მძინარე ზაქსა დარაჯობს, ჭალას ბალახი ბევრია,
ორი კაცისა ერთობა, ვერავის დაურღვევია.

იგავი ზეციური ხმისა

ზეცას ხმა ისმის მიწისა, მიწას ზახილი სცოდნია,
მიწასა ქარი, წყალია, მიწასა წყლული გახსნია,
კაცი უფლისა სახლია, ზეცასა მისი მადლია,
ცოდვა მიწასა ტრიალებს, ტკივა სახსარი, ძარღვია.

მიწა ხმაურობს, იზახის, მიწა მოელის შველასა,
ცხოვრების ორომ-ტრიალი, უძლებს ცოდვას და წყევლასა,
მიწასა დიდი ქვაბია, ჰყრიან, დასწვავენ თმენასა,
ქვაბი თანდათან ივსება, ძალა ეცლება რწმენასა.

მწირი უდაბნოს იზახის, მწირის ხმა მიწის ტკივილი,
კაცი ცოდვასა მიათრევს, უდაბნოს ხმაა ყივილის,
ქვაბი ივსება ცოდვითა, ჩანთქა, ვნება და ჩივილი,
მწირი ხარია უდაბნოს, ზეცასა ისმის კივილი.

ხარსა ხმა ესმის ზეცისა, ანგელოზისა ხელითა,
ხარის მისია ჭაპანი, მიაქვს უღელი წევითა,
მიდის მდუმარე ხარია, მიაქვს ჭაპანი ზევითა,
ქვაბი ივსება, გადმოვა, გადმოიღვრება რწევითა.

იგავი შვილის ბედისა

შვილია ძღვენი მშობლისა, გვიბოძებს მამა-უფალი,
მოვა სიცოცხლეს გვახარებს, მამისა სახლსა სტუმარი,
დიდია ფასი ძღვენისა, იზრდება გაუხუნარი,
მადლიერს ღვაწლი ძღვენისა, ლოცვას აღავლენს მდუმარი.

შვილი ძღვენი და გამოცდა, შვილი დარდი და ბალღამი,
შვილი სიცოცხლის არსია, მოდის და მიდის ნაგრამი,
ბედნიერს შვილი ეზრდება, ზრუნვაა მისი მთავარი,
ძღვენსა პატრონი წაიღებს, ტკივილი განუკურნავი..

ასე ყოფილა სამყარო, არსსა ვერავინ გაიგებს,
ძღვენსა არსაით მოიტანს, მოვა არსაით წაიღებს,
დილასა მოსვლას გახარებს, საღამოს ფასსა გაიღებ,
წავა ფასია ტკივილი, დარჩება ვალსა დაიდებ.

ზოგისა ძღვენი ვედრება, ზოგსა ავანსი ეძლევა,
ძღვენი თანდათან იზრდება, კაცი გაზრდილსა ეჩვევა,
მადლიერება ფასია, ფასი ნაღვაწად ექცევა,
ბუნება მბრძანებელია, მიეცემა და ერთმევა.

შვილი მტერი და მოყვარე, შვილი ცოდვა და მადლია,
გამოცდა, განსაცდელია, სიხარულს მოსდევს დარდია,
ჰგონია დაიმსახურა, შვილი ზეცამდე ასწია,
ზარი ჩამოჰკრავს დუმდება, მივლენ ტაძარსა, გადიან.

უფალი მბრძანებელია, კაცი პატარა, სუსტია,
ბოძებულს მალე ივიწყებს, სახლსა ამბოხი, ბუნტია,
უმწეო უმადურია, უმადურობა უთქვია,
უფალო ძალა მოგვეცი, შევირგოთ ძღვენი მუდმივად.

იგავი გაზრდილისა

თმა გათეთრდება, ბერდება, დაღონდება და ძველდება,
თანდათან ფერი ხუნდება, ძველი უღრანი თხელდება,
ადრე გზინავდა, სხარტობდა, სიბერეს სისხლი ნელდება,
თმის ღერი დროსა მიჰყვება, ბუდეს დარჩენა ძნელდება.

თმა თანამდევი კაცისა, ბალღი თანდათან იზრდება,
მოვლა კაცისა პეწია, ხელი, გაკრეჭა სჭირდება,
ბოლომდე საზრუნავია, ძველი ხალასი ხუნდება,
პატრონის საზრუნავია, ზრუნვითა პეწი ბრუნდება.

კაცისა აღზრდა თმასა ჰგავს, გაზრდა კაცისა პეწია,
ბალღისა გაზრდა ძნელია, ხიფათი ბევრზე მეტია,
ხორცი გადარჩეს უზრდელი, უვარგი შარახვეტია,
სულისა გაზრდა, ზრდილობა, მცირესთვის დაუბერტყია.

აღზრდა წრთობაა სულისა, საზრუნავია მთავარი,
თმა გახუნდება იღლება, სული ბებერი ჭადარი,
თმასა მოდრეკენ ხალასსა, მოდრეკენ ფერსა ჭაღარის,
ბებერი სულის მოდრეკა, ცას შეაყარე ნაცარი.

გაზრდილი კაცი ძღვენია, ხალასი თმისა ფერია,
გაზრდილი ქალი შემკობა, ყვავილობს, მრავალფერია,
კაცის ბუნება სუსტია, მხარს კაცი ყავარჯენია,
ბედნიერს ქალის პეწია, უფალსა მოურთმევია.

იგავი ბეჩავის სახლისა

ბეჩავი კაცი ჩიოდა, ზამთარს და ზაფხულს სციოდა,
მუდამ გამჩენსა კიცხავდა, ბედის სამდურავს ყიოდა,
სახლსა უვარგი ბუხარი, გზასა ქვა-ღორღი სცვიოდა,
მუდამ დაღლილი, ნაწყენი, მუდამ სახსარი სტკიოდა,

კაცს საზრუნავი ახრჩობდა, ზვარი და ხარი სჭიროდა,
ზვარისა დახვნას ჩქარობდა, არ ჰქონდა ხარის პირობა,
ხარსა მოცლილსა ნახავდა, ზვარსა ფანტელი სცვიოდა,
ბელელსა კარი არ ჰქონდა, ვითა პატრონსა შიოდა.

ვერ გამიზრდია ნაგრამი, სახლსა სიბნელე დარჩაო,
სანთელი მომიტანია, არ იწუხებენ თავსაო,
სინათლეს ბნელსა არჩევენ, ბნელსა ხურავენ კარსაო,
სიბნელეს ყოფნას მაჩვევენ, არავინ დარდობს ზვარსაო.

ბრძენსა უთქვია შეფარვით, რჩევას ვერ ვკადრებ კაცსაო,
თუ მიიტანე დაგენთო, ეხილა ბნელის თვალსაო,
სინათლეს მიეჩვეოდა, გამოაღებდა კარსაო,
დაღლილსა დაგინახავდა, თვით მოგართმევდა წყალსაო.

ბეჩავის ბედი კრულია, ცხოვრება მუდამ რთულია,
სახლსა ჩამქრალი სანთელი, მოკლავს მეზობლის შურია,
გონება ბინდისფერია, თვალგახელილსა რულია,
დასწყევლის თავის გაჩენას, სხვის წყაროს წყალი სწყურია.

იგავი ზიქურათისა

ზედაზენს ერქვა თაკარა, მცხეთას სოფელი პატარა,
არაგვი ჯიქის წყალია, მტკვარი ზაქია ჭაღარა,
შესართავს ხარის თავია, წყალი მღვრიე და ანკარა,
არაგვი ზაქის მხარია, გაიწვრთნა, ბილწი დაყარა.

მეტეხსა ზაქი ისვენებს, გზამ მიმავალი დაღალა,
მთაწმინდა მთაა ზაქისა, თაბორი ხარი პატარა,
ზიქურათია ხეთების, ბრძენთა მთას თეთრი ჭაღარა,
თაბორი ზაქის ხარია, შუმერთა ენა დამალა.

ქებათა ქება ანბანის, წყალი მტკვარის და არაგვის,
ზანთა და ხეთთა სიბრძნეა, საცავი მთაა ქარაგმის,
ხელი ბაკურის, იბერის, მცველი ღვაწლის და ამაგის,
დაბელის ხელი ქართული, არ ეშინია დაკარგვის.

ქალდეას თაა დაბლობსა, ური მთა ზიქურათისა,
ზაქის თა ზანთა ზეგანი, ქარაგმა კარისათისა,
ფერის თა მთაა ეგრისის, ზეგანს ტბა ფარავანისა,
რუთა თავია წყალისა, რუსთველი ხარი ზაქისა.

იგავი კესარიელისა

ჯვარის ტაძარი გოლგოთას, თაბორის მთაა ნაზარეთს,
სინას თას ბერთა სახლია, კრეტას სამარე დამალეს,
იბერიელთა სავანე, თურმე წაიღეს, დაკარგეს,
დიდი იბერის სახელი, უმადურებმა ალაგმეს.

ფრთამოტეხილი ეგრისი, ვახტანგის მხარსა ისარი,
გაბილონს იბერთ ხარია, ზიქურათია საფარი,
კარი, ანისი წაიღეს, ზარს რეკდა ჯვარის ტაძარი,
იბერთა სულის დარაჯი, თურმე ვერ ჰპოვეს გადალი.

ბერმუხა ხეა ბებერი, ძველი დუღაბი კედელი,
ქურუმთა ხელი ზღუდეა, იცავდა ცოდნას შეძენილს,
ძლევამოსილი ვახტანგის, ხელი მუსრავდა შერცხვენილს,
გაბილონს, შუამდინარეთს, სკოლა შუქურა იბერის.

დიონოსი და გასილი, იბერთა იბერიელი,
ზაქის დაბელი, ზოსიმე, ქართველი ივერიელი,
ბერძენი პალესტინელი, უცნობი ასირიელი,
იბერის ფსევდო სახელი, ფარია კესარიელი.

ფილოსოფოსი, რიტორი, ქტიტორმა ფრესკა დარაზმა,
კონსტანტინოპოლს შედევრი, აია-სოფიას აიაზმა,
წმინდა მთას ქვაბი ბერისა, მუხლი მოდრიკა ქალაქმა,
იბერთა ზაქის სახელსა, ამბობს იბერის ქარაგმა.

იგავი იბერიელთა ქარაგმისა

თბილის ქალაქი ძველია, თურმე ქურუმთა ხელია,
იბერთა ძველი ქარაგმით, ძველი სახელი სწერია,
თბილისი თბილი სახლია, წყალი გოგირდის ფერია,
თავიდან თისი ყოფილა, ქურუმთა დაურქმევიათ.

თი ზიქურათის ენასა, თურმე სახლია ზეგანსა,
სი სახლი ზანთა კაცისა, ფას ერქვა ზაქსა დედალსა,
თიფლისი კაცის ხელია, ვე ერქვა ხეთთა ვერანსა,
ლისი სახლია ლომისა, მთას ჩაუსაფრდა მდევარსა.

წმინდა მთას ზაქი იბერთა, მეფე ვახტანგის ხელია,
დარიალს ჯიქთა მდევარი, აღმოსავლეთი სჭერია,
კოლხეთი ძველი კოლხაა, ეგრისსა დაუძლევია,
ფასისი ძველი ფაზისი, იბერსა გაუწევია.

ასომთავრულის ქარაგმას, სჭედდა იბერთა ბერია,
გოლგოთას ჯვარის ტაძარი, კირქუკს სავანე ძველია,
იბერთა ძველი ნიშანი, დიდი ბაკურის ხელია,
ქარაგმა იბერიელის, ხუთას ოცდაცხრა წელია.

ბარელიეფი ტაძრისა, ფრესკა ამბისა მთქმელია,
ამბავი ტაძრის ამგების, ზოგან ვედრება სწერია,
ქურუმთა სახლის სახელი, ზეცამდე აუწევიათ,
ქვათა ღაღადი ფარია, სიღრმესა ჩასწვდე ძნელია.

მთას დაუბერტყავს ზეციერს, იბერთას წმინდა ხალხია,
წმინდა მამათა სავანეს, ზაქი, იბერი აკლია.
ქართული კაცის ხელია, მდუმარე ბერის სახლია,
მხედრული ხელი რუსთველის, მირონცხებული მადლია.

იგავი ძღვენის ფასისა

ზაქმა სახელი დაიცვა, ამბად ნათქვამი მოვიდა,
ათასხუთასი წელია, თვალი გვიმზერდა შორიდან,
ძღვენი მოიღო.მარგუნა, აქამდე ფარდა მჯობნიდა,
თუ გამოარჩევს უფალი, მკვდარსა მოუხმობს ბრძოლიდან.

გამოცხადება ყოფილა, მერე იბერი მოსულა,
ეგრისის მიწა პატარა, აკვანად გადაქცეულა,
დიდის მისია დიდია, დასაბამიდან ყოფილა,
ბაგასა იშვა იესო, სამყარო მისი ყოფილა.

ანდრია მოციქულია, იბერთას უფლის ნათელი,
პირველწოდებულს უხმობენ, თურმე სახლია პირველი,
კვესი, აბედი ანდრია, ჩირაღდანს პეტრეს სახელი,
ძღვენი მიართვა უფალმა, გამოარჩია დაბელი.

ხუთასი წელი მალავდა, მიწასა სამარიელის,
დიონოს არიოპაგი, დიდება ბიზანტიელის,
ელოდა კაცის მისვლასა, ითხოვდა კესარიელი,
ეფრემმა ჰპოვა მცირემა, ქარაგმა იბერიელის.

ბარაქა მოაქვს ვედრებას, გვარგუნებს უფლის დიდება,
დიდია ფასი ძღვენისა, დაცვას დიდება სჭირდება.

ძუძუ დროისა

ქალმა დაჰბადა ყრმა პირმშო, ქალმა იკისრა მისია,
ათასგზის შობა დედამ, ათასგზის შვილის ღირსია,
მაცხოვრის დედა მარიამ, მფარველი კალთა მისია,
ქალმა იკისრა დედობა, ნაყოფი თურმე სხვისია.

მიწა ნაყოფსა მოიღებს, პატრონი თესლის მპყრობელი,
დედა მიწაა მშობელი, უდაბნოს დამამხობელი,
თესლი ნაყოფსა მოიღებს, ნაყოფი თესლის მშობელი,
დედა ბუნება ქალია, კაცი ხარია მშრომელი.

მოდის მომტანი ამბისა, წყარო მკერდია დედისა,
ნაყოფი ძღვენი განგების, ხელია შემოქმედისა,
თესლი ინახავს სახელსა, ამბავსა წყარო მკერდისა,
ძუძუ წყაროა დროისა, განგება ზეციერისა.

იგავი მკვდართა კრებისა

კაცის სიცოცხლე ასაკი, სიკვდილი ამბობს ზომასა,
ურჩსა მოდრიკავს, ბარდება, წაშლის, დააცხრობს წყრომასა,
დგამენ სასწორსა უცდომელს, ვით ზვარი შემოდგომასა,
სასწორი ულმობელია, მისხალით ზომავს შრომასა.

სამარეს მიაქვთ მძორია, სიკვდილთან თანასწორია,
ყველა სამარხი ივსება, თურმე ასაკი ჰქონია,
ას წელს ივსება, იზრდება, ორასის მიწის ტოლია,
სამარეს, სულთა საუფლოს, შეკრება მოუგონიათ.

კრებას მიდიან სულები, მართავენ, საბჭო ჰქონიათ,
სამარე თავზე დაგვექცა, სხვას სხვისი მკვდარი ჰგონია,
კრებულის თავმა დაიწყოს, ვნახოთ თუ მართლა მდომია,
ბჭობენ, ამბობენ, ითხოვენ, თოხი არ მოუთხოვიათ.

სამარხსა ჭალა ბიბინებს, ნახირსა მოუძოვია,
ათასი კაცი კრებასა, ათასგზის მოუთხოვიათ,
ათიათასი კრებული, სათქმელი ბევრი ჰქონიათ,
საბჭოს ნაღვაწსა ზომავენ, თავი ცოცხალი ჰგონიათ.

იგავი ზორბა ქალისა

თურმე ანგელოზს უთქვია, ქალი ადამის ტოლია,
კაცმა წაიღოს ჭაპანი, უღელსა ქალი ჰყოლია,
ჭაპანსა ხარი დაარქვეს, ფურმა თქვა: დიდი ჭორია,
ხარი უთქმელი წაიღებს, ენა ბეღელსა ჰქონია.

ქონდრისკაცებმა დამცინეს, ზორბა დამარქვეს ქალებმა,
კაცი უქნარა მარგუნეს, შეხედვა დაგეზარება,
ჭაპანი მიმაქვს ხარისა, კაცი თვალს მიეფარება,
ადამის ქალი დამარქვეს, ზორბას ვინ მიეკარება?.

შიში ჰქონიათ ქალისა, კაცისა დასაცავისა,
შეყრილან ქონდრის კაცები, ეძებენ გზასა ზვარისა,
მინდოდა ზაქის ქალობა, დედობა ზაქის დარისა,
ქალებმა ზორბა დამარქვეს, სახელი ზორბა ხარისა.

იგავი კაცის შუკაკისა

ზის და გასცქერის შარაგზას, შარასა ხედავს, არა გზას,
დღე მაცქერალი შარასი, ღამე მიზანსა დაკარგავს,
კაცი დილამდე ისვენებს, დილამდე შარა არა სჩანს,
შარაგზას თვალი სჭირდება, მინდა შუკაკი დავარქვა.

ქარაგმას ხარის კივილი, შუკასა შუა ყივილი,
დასაბამიდან ყოფილა, გზას ესმის შუკას ჩივილი,
შუკასა თვალის სიმოკლე, შუკას შუკაკის კივილი,
შუკაკი კაცის ქეჩოა, დავარქვი ზაქის ტკივილი.

ზაქი გზას ადგას შორეთის, შუკაკის მოუსავლეთის,
გზას დაკარგული ჰგონია, წასული აღმოსავლეთით,
დასავლით მოსვლას ეტყვიან, მოსვლასა, გასვლას მგზავრეთის,
შუკა დიდი გზის ქეჩოა, გასავალ-გამოსავლეთის.

იგავი ლოდების მოლოდინისა

გზას ქარავანი ადგია, დიდი და მცირე ქვა ჰყრია,
კენჭი და ღორღი პატარა, ყორესა დიდის ბარტყია,
გზასა მოიტანს, წაიღებს, შეკრებენ, ყორეს დაყრიან,
ქვასა გაზრდილსა დასძრავენ, ქვის კველსა თავი სახლია.

გზასა მოიტანს წაიღებს, რიყესა ქვათა სახლია,
კენჭი და ღორღი წვიმასა, მდინარე ითხოვს, აკლია,
ზღვას პირი დიდი ჰქონია, დასაგამიდან აყრიან,
მდინარე ბატონს მსახურებს, ზღვასა ვერაფრით გაჰყრია.

ქვათა სიმძიმე ფასია, პატარას მოერევიან,
წყალი მოიტანს, წაიღებს, ძლიერსა ემონებიან,
დიდი ქვა კლდესა მოსწყდება, ლოდია, გვერდსა უვლიან,
ქვათა პირობა დავარქვი, პირი აქვთ, მელოდებიან.

იგავი ავგიას თავლისა

თურმე ქარაგმა თავლისა, თავისა აზრსა მალავდა,
თავლა ჯოგისა მეგონა, ნეხვი მეგონა კარავთან,
მწყემსი პატრონი ჯოგისა, ნეხვსა ვინ მოიპარავდა?
გაივსო თავლა ყელამდე, ჯოგსა ვით დაიფარავდა?

თავლა აზრია კაცისა, სიხარბე თავლას ნეხვია,
სიხარბე ჯოგსა მოიხვეჭს, ნეხვი ჯოგისა ფეხშია,
თანდათან თავლა ივსება, ფუნას და ნეხვის თქეშია,
კაცი სიხარბეს ნებდება, აზრები ბიწს მიეჩვია.

თავლასა უნდა გაწმენდა, კაცის ქარაგმა ავგია,
თავლასა ნეხვი გაივსო, სიწმინდე დაუკარგია,
კაცი ავგიას თავლაა, მუდამ გაწმინდო კარგია,
თუ გაივსება ყელამდე, შავ მიწას დასამარხია.

იგავი უქნარას ფიქრისა

ბრძენსა უთქვია იფიქრე, ფიქრი კაცისა გონია,
მანამ მდინარეს შეცურავ, იფიქრე, ძებნე ფონია,
ცხენი უვიცსა არ ჰგუობს, პატრონი კაცი ჰგონია,
რეგვენსა წყალი წაიღებს, გზა დინებისა შორია.

ბრძენისა რჩევა უთქვიათ, ამბად უთქვიათ ძველია,
ფიქრს მისცემია უქნარა, თურმე ფიქრობდა ბრძენია,
უქნარას ხელი უტყვია, ყბედისა ბერწი ხელია,
ყბედსა ამბავი მისვლია, უქნარა დაუჭერია.

უქნარა ყბედის შვილია, სიტყვითა დაუძლევია,
ბრძენისა რჩევა ცოდნია, დღე და ღამ ფიქრი სჩვევია,
ისმენდა ჭორსა, მართალსა, ხელი არ გაუნძრევია,
სოფლისა ყბედს და უქნარას, ქვეყანა დაუქცევია.

იგავი კაცის მოლოდინისა

აქამდე ასე მეგონა.ვითა ბრმას ასე მჯეროდა,
მზე ამოსულა კაშკაშებს, ბრმა გონებასა ბნელოდა,
ბრმას მოლოდინი იმედი, თვალს კარი გაეხსნებოდა,
თხოვნა დავარქვი მოლოდინს, ელოდა, ევედრებოდა.

თუ გაზაფხული მოვიდა, მოიყვანს შემოდგომასა,
ცასა მზეს მისცა სინათლე, რამდენ ბრმა თვალსა ეყოფა?,
დაღამებამდე ხედავდა, მერე დილამდე ელოდა,
მზე მიეფარა გონებას, მორწმუნეს ასე სჯეროდა.

თვალი სარკმელი თავისა, თუ კაცმა გაითავისა,
მზეს ელოდება დილამდე, სითბოს, სინათლეს თვალისა,
ბრმათა კარები ჩარაზეს, დახშეს მზის სხივი ფარდითა,
თავის გაჩენას წყევლიან, აევსოთ გული დარდითა.

დაღამებამდე სიბნელე, მძინარეს თავთან სანთელი,
მზისა კაშკაში ვერ ნახა, ღამე ვით ნახოს ნათელი?
დაძინებამდე მძინარე, მძინარეს მკვდარის სახელი,
თვალი სიბნელეს ეჩვევა, ბნელისგან კარგსა რას ელი?.

იგავი კაცის მოსავალისა

ზვარი ზამთარსა იძინებს, ზაფხულსა მწვანედ ბიბინებს,
შემოდგომამდე მოიცდეს, ოქროსა ჩამოიდინებს,
ორქოსფერია მინდორი, ბეღელსა ოქროს, სიმდიდრე,
ძილს მიეცემა ყინვასა, თოვლის ქვეშ გამოიძინებს.

ზვარს მოსავალი დაარქვეს, მოუსვლელს ზვარის მოცდენა,
მწყემსი დილასა გარეკავს, საღამოს ფარას მოდენა,
წყაროსა კვალი უცვალე?, ჭალა ისწავლის მოთმენას,
გზას მიმავალსა დაკარგავ, მოსვლასა ჰქვია მოვლენა.

მოსავალს ვარქვი ვედრება, ხელაპყრობილი კაცისა,
ენა ფუჭია, მოცდენა, თუ გზა დაკარგე ზვარისა,
თესლი ბეღელსა მოკვდება, არ ჰქონდეს მადლი ხარისა,
სამრეკლოს დაივიწყებენ, ხმობა სჭირდება ზარისა.

იგავი გზას შუა მდგომისა

ცი დრო ყოფილა ზანების, თურმე საზომი სიცოცხლის,
დაბადებიდან ირთვება, დროს მისხალ-მისხალ გამოთვლის,
მგზავრს საბოძვარი ერგება, ყინვა და ქარი გამოსცდის,
დროსა აქვს თავის დინება, არ შესვენების, არ მოცდის.

ქვიშის საათსა ჰგავს სიცოცხლე, პირქვე დინება არგუნეს,
შორსა წასული ბრუნდება, მოსულსა უკან აბრუნებს,
მცირე გაუძლებს, გაიტანს, ბევრსა მცირედი აცდუნებს,
დრო წინ წასული ჰგონია, ზურგიდან მიუკაკუნებს.

დღე-ღამ სავალი ჰქონია, გზას მიმავალი გარჯილა,
კაცს უღვაწია, უცდია, გზას ჭირ-ვარამი განცდილა,
თავის გზა აურჩევია, ჯილდო ჰქონია, დასჯილა,
შეუწყვეტია დინება, ქვიშა ბოლომდე დაცლილა,

იგავი კაბის ქარგისა

ზის ვინმე ქალი ხულასა, თერძი მთას დაკიდულასა,
მიაქვთ ფარჩა და ატლასი, შალი ნაქსოვი რთულათა,
მიდის და მოდის ეტლები, ზიდავენ ჩალან-ჩულანთა,
ატლასი, ფარჩა, თივთიკი, იქცევა მოქარგულათა.

მეფესა მეფის ხალათი, ვაზირსა კაბა ატლასის,
მსახურთა ჯარი მი-მოდის, დედოფლის კაბა ათასი,
თერძი ზის თავის ხულასა, კარსა მსახური კაპასი,
მეფის ვაზირი მოიცდის, მოქარგეთ მეფის ხალათი.

თერძის სახელი იციან, თერძის წინ კაბას იხდიან,
ატლასის კაბით მალავენ, ჩალან-ჩულანსა იცვლიან,
თერძსა ჰქონია სათქმელი, მეფის ვაზირთა იციან,
თერძის წინ მორცხვი, ჩულანი, შორს წავლენ კაბას იტყვიან.

იგავი კურტიზანისა

დაძველდა ძველი საქმენი, დაკნინდა ძველი სათქმელი,
ზვარი ახალი სჭირდება, გადარჩეს ძველი საბძელი,
მზისა ამოსვლა სჭირდება, ბნელსა ბნელია სარკმელი,
დროთა დინება წყალია, მდინარეს გადასასვლელი.

იცვლება ძველი სამყარო, დახვეჩეს შუბი ისარი,
ტალახის სახლი შემოსეს, ძირსა და თავსა ფიცარი,
თურმე არასდროს იცვლება, ყველაზე ძველი ის არი,
კურტიზან ქალთა სასახლეს, ძველი სამოსი ვიცანი.

იგავი იეზიდი ქალისა

ურია, ქურთი, ხურიტი, ქალები შერთეს, გაყიდეს,
მზითევი სახლის საზომი, გზას მიმავალთა გაზიდეს,
ქალისა ვნება, ტრფიალი, ლექსი და ხოტბა აზიდეს,
გაგილონს მიწა ხრიოკი, ქალის ბაღები დაკიდეს.

ეგვიპტეს პირამიდები, ქალდეას ქალი საჯიშედ,
ასურეთს ბრძენთა სადგომი, კართაგენს რომის სამიზნე,
იეზიდი ქალი ქალდეას, თურმე კოლხებმა გაიგეს,
ისიდა ქალი იეზიდი, კარსა კარები დაკიდეს.

იეზიდთა მოდგმა მცირეა, საჯიჯგნად გახდა ძველია,
ფარსმანის დედა იეზიდი, ქალმა გაზარდა ქველია,
ქალდეა ქალის სახლია, იეზიდთა სამყოფელია,
ეშხი და შარმი მოსტაცეს, ისიდა დაუცველია.

იგავი შავთის სანახისა

ზიქურათს ერქვა თაბორი, თურმე ქარაგმა მთა გორის,
ორი მთა დიდი პატარა, ზანთა ზეგანი, ჭაბორი,
დიდ მთასა ერქვა იბერთა, პატარას იბერთ ნაქონი,
შავთა ფარსმანის სახლია, თურმე სახლია სტრაბონის.

ბერთა ბერეგის მთას ერქვა, შავთასა შავი ბერისა,
სანახი ზაქის სახლია, ქარგი იბერის ხელისა,
„ნახეს და ნახვა მოუნდათ“, თურმე ქარაგმა ტბელისა,
შავი ბერეგის საუფლოს, ერქვა მოხუცის, მღდელისა.

დიდია ძალა უფლისა, დაცვაა დაუცველისა,
ბრწყინვალეგბისა დამთმობი, მცირეის გარდაქცევისა,
„ნახეს“ და ველარ იპოვეს, ინდომეს ნახვა ძველისა,
წმინდა მთას წმინდა მარიამ, ხელია ღვთისმშობელისა.

დიდება უფლის ძალაა, შემკობა მშვენიერისა,
გამოსარჩევი უფლისა, ბრწყინვალეგბაა ხელისა,
უფალო ძალა მიეცი, მიეცი ძალა ძლევისა,
შავთას სანახი დაერქვა, ხილვასა შავი ბერისა.

იგავი კაცის შეძლებისა

გზას ქარავანი აქლემთა, საზიდარს ვარქვი შეძლება,
მდინარეს ყორე ბევრია, განუყრელს ვერ გაეყრება,
მოიტანს ყორეს წაიღებს, ათასი წელი გრძელდება,
მდინარეს სახლი არა აქვს, ვით გზირი დაეხეტება.

სახლის ამგები ხელია, ხელია სახლის შენება,
ყორე და შლამი მდინარის, თავზე საყრელი ექნება,
ვით ქარავანი მოზიდავს, დარჩება არ დაბერდება,
მთავარი უფლის ნებაა, აზიდვას ვარქვი შეძლება.

იგავი ბასილი კესარიელისა

შუამდინარეთს ვეძებდი, ვძებნე ქარაგმას კარები,
თავი და ბოლო დავკარგე, ნებით არ მივეკარები,
მდინარეს მაღლა მივდივარ, პირთავქვე მივექანები,
მთასა მინდოდა, ზეგანსა, დაბლობსა ვპოვე ხარები.

ათასხუთასი გასულა, ასი და ათას წელები,
დავდივარ ბნელსა ბრმა თვალი, ვძებნე სახლი და კერები,
გზა ზიქურათის ვიპოვე, ძველი გზა წმინდა ბერების,
მთა კესარიას დაღლილმა, ჭალას მივუშვი ცხენები.

დილამდე გამოვიძინე, დილასა გამოვიძიე,
ბასილი დიდის სახელი, ვიპოვე, გამოვიკვლიე,
ბერძენთა დიდი წმინდანი, გავიგე, არ შევიმჩნიე,
კესარიელი ყოფილა, მე რისთვის ამოვირჩიე?

ვიწვალე ვქექე ქარაგმა, გზა მაპოვნინეს მამათა,
ზაქმა თქვა ზიქურათისა, გახსნა თავისი ქარაგმა,
პროკოპი კესარიელი, კაცი დამალა ალაგმა,
ბასილი დიდი მე ვარქვი, შოთამ ზოსიმე დამარქვა.

ბერძენთა არიოპაგი, ვით ფსევდონიმი იბერის,
ბასილი კესარიელი, თურმე გზას იბერის ხელი,
ვერ გაუგია პროკოფის, ვერ მიუგნია სახელი,
ვითა დაბელი ზოსიმეს, ვით ტბელსა ხელი რუსთველის.

ქარაგმა იბერიელის, ხელი ზაქის და დაბელის,
ქართული ზიქურათია, ხელი შოთას და შავთელის.
არიოპაგის მოძღვრება, დროს გასცდა სამასი წელით,
კესარიელი უდაბნოს, ომი გოთის და სპარსელის?.

იგავი შინა მღვდელისა

ბრძენსა უთქვია იგავი, იგავი სახლის მცველისა,
კაცი იცავდა თავისას, მდევარი სახლის მტერისა,
იგავი მიუწვდომელის, მიჩვევა სხვისი ქებისა,
ამბავი უცხო მოძღვარის, იგავი შინა მღვდელისა.

ვიდრე მოვიდა ქართლოსი, ყოფილა სამარიელი,
იაკობი დიდი პაპაა, მოდგმაა იაკობინელი,
გასულა ხუთასი წელი, დარქმია კავკასიელი,
ზანთა და ხეთთა ნაგრამსა, უწოდეს იბერიელი.

ძმათა ვერ ჰგუეს იოსები, თავისი ხორცი გაწირეს,
წართმია თვალის სინათლე, თვალთაგან ღვარი ადინეს,
ცოდვა უწიათ პაპისა, კასპიას გაინაპირეს,
არ მოიშალეს ქიშპობა, დამცრობა გაინაწილეს.

უფალმა გამოარჩია, წილია ღვთისმშობელისა,
უცხოთა თესლი გავზარდეთ, დავკარგეთ ფასი ძველისა,
დიდი ბაკურის მოდგმა ვართ, ნაგრამი ფარსმან ქველისა,
მიწა იბერის მშობელი, მშობელი შოთა ტბელისა.

წმინდა მამათა მშობელი, მოდრეკილისა, ხანძთელის,
ბერძენთა დიდი წმინდანი, ვკაწრეთ იბერის სახელი,
ბასილი დიდი დავკარგეთ, წავართვით გვარი ქართველის,
ქართული ენის მეხოტბეთ, ვერ შევამჩნიეთ დაბელი.

ვიცით ბერძენი პროკოფი, დიდია უცხოს სახელი,
თუ ქარაგმასა დამალა, ვითა იბერის სათქმელი,
არა არს დამალულიო, უთქვიათ ქრისტეს სახელით,
რა ელოდება იბერსა, იგავსა ჩვენივე მღვდელის?

იგავი კაცის სენისა

შველს ნუკრი დაებადება, დედას მიჰყვება პატარა,
თურმე იზრუნა ბუნებამ. მგელის კბილს გამოაცალა,
თანდაყოლილსა ცოდნაა, განგებამ გამოატანა,
კაცის ნაშიერს სისუსტე, დგომამდე ფორთხვა ასწავლა.

დაბადებიდან სწავლაა, აჩვევენ თავის გატანას,
ისმენს, ეცნობა, ითავსებს, სამყარო გაზრდის პატარას,
პატრონი აჩვევს სიმართლეს, ტყუილით აცდენს სატანა,
თუ მიეჩვია ავ ზნესა, ბოროტმა გამოატარა.

ავი ზნე ავი ქცევაა, დავარქვი სენი კაცისა,
ვერ დაძლევს დაემონება, ტყვე დაერქმევა სენისა,
თუ სინათლესა ვერ ჰგუობს, არჩევანია ბნელისა,
მიჩვეულს დაემონება, გახდება ხელი მტერისა.

იგავი ომის მოტანილისა

შავის და ბნელის ერთობა, ვერაგი ვერაგს ეტყოდა,
გეგმათა ჯარი ავაგე, მოვიმკათ რა გვერგებოდა,
სხვას წაუღია დაძლევით, სარგებლად სხვასა რჩებოდა,
აქამდე დროსა ვარჩევდი, დაძლევის ძალა მქონოდა.

დადგა, მოვიდა, გაივსო, ვიწყებ მოხმობას ჯარისო,
სისუსტეს გეტყვი მტერისა, მოდი საწილო წაიღო,
ვიცი საკბილო დიდია, გაიზარდა და გაივსო,
აქამდე სხვისი ყოფილა, ახლა ჩვენი დრო დაიწყო.

საგაგის ჰოვნას რა უნდა, ფიცხელი ომი გახურდა,
მზეს უთხრეს ლაქა გქონია, კაშკაში დაცხრა გახუნდა,
მიდის და მოდის ლაშქარი, სახლისა დაცვა გართულდა,
სამოსი შემოეძარცვა, ბრძოლას „მართალი“ დაბრუნდა.

მზის ლაქა ჩამოსარეცხი, ღრუბელი მოვა დასტურად,
ფრონტის ხაზს ლაქას რეცხავენ, იბრძვიან ღიად ფარულად,
ეწირებიან სახლები, პატრონი უცქერს მალულად,
გაინაწილეს ალაფი, მშვიდობამ დაისადგურა.

იგავი ქარბორბალ-ასი

ზღვა ფეთქავს ვითა საგულე, მოიტანს ტალღას, აბრუნებს,
აღელვებული მშვიდდება, მრისხანე ლეწავს სადგურებს,
წამოქოჩრილი ბალანი, გული ასკდება საგულეს,
ჩანთქავს დიდსა და პატარას, ვით მხეცი მსხვერპლსა დაჰყურებს.

არ ცხრება, ბორგავს გოროზი, წყალს ჩანთქავს, ხმელსა გაჰყურებს,
მივა ნაპირსა, ასკდება, კლდეს კარებს მიუჯახუნებს,
ქშენა ღრიალი არ ცხრება, ხმელს შიში დაისადგურებს,
ვითა ისარი გაისვრის, ქარსა ბორბალი აბრუნებს.

მოსრა წაიღო ყოველი, ზედა მფრენი და ცხოველი,
ქარმა ბორბალი იპოვა, მოსრა სახლი და სოფელი,
რისხვა სატანის ბუდეა, ზღვის ხახა, შიშის მშობელი,
ზე აწეულსა დაამხობს, ყოველთა დამამხობელი.

იგავი ძველისა, დაკარგულისა

მზრუნველი დედა მცველია, დამცავი თვალის ჩინისა,
თავის სიცოცხლეს გაიღებს, დაიხსნის თავსა შვილისა,
ვით მეომარი მედგარი, ფარი და ხმალი გმირისა,
დაიცავს გაზრდის ბახალას, არწივი იწყებს ყივილსა.

სხვა ბუდეს გადაფრინდება, სხვა კლდესა ბუდე არწივის,
დედის კალთასა შორდება, სხვა სახლსა მივა გაზრდილი,
დრო მიდის ფერი იცვლება, ცოცხალსა შეცვლის აჩრდილი,
ნასახლარს სახლი ახალი, ძველისა ხსოვნა წაშლილი.

კაცი მიაგნებს დაკარგულს, მზის ნათელია დამალულს,
ახალი ძველსა ივიწყებს, გზა მიიბარებს დაღალულს,
მოდის ახალი, ძველდება, წავა, არქმევენ დაკარგულს,
ძველსა ახალი დაარქვეს, მიგნება ძველსა, დაფარულს.

იგავი საზიდარისა

მიწა და ხმელი დიდია, გზას ქარავანი ხიდია,
აღმოსავლეთის ხალხები, დასავლის გზასა მიდიან,
საჭურველს ეზიდებიან, შინ მიაქვთ, გარე ჰყიდიან,
მიდის და მოდის აქლემი, მოსვლა და წასვლა იციან.

ვით ესტაფეტა გადადის, სამყარო საზიდარია,
წინა ქარავნის მოტანილს, შეკრავენ, გასაყიდია,
მთელი სიცოცხლე იმკიან, ხელცარიელი მიდიან,
ვით ქარავანსა აქლემი, სხვათა სარგებელს იმკიან.

მიბარებულსა იცავენ, მისაბარებლად იცდიან,
ქარავანს დიდი წიოკი, ჯორთა, აქლემთა ქიშპია,
ბჭობენ, საზიდარს ზომავენ, ტვირთისა გაზრდის ჯიბრია,
თუ გაჩერდება აქლემი, ჯორი წაიღებს, სხვისია.

პაპასა პაპის რგებია, მამამ გადმომცა, ჩემია,
გავზარდე, შვილსა მივეცი, შვილები მამას შველიან,
ჩაიბარებენ, გასცემენ, მუდამ სიმცირეს წყევლიან,
მეწველსა შეინახავენ, დარჩება მანამ წველიან.

იგავი ქამარისა

ქა ზიქურათის ქალია, მა მამა ხეთთა კაცისა,
ქამარ-ქარაგმა კავშირი, შეყრა იბერთა ქვებისა,
ქერის ძნა ქერის კონაა, სარტყელი შეკრა ბევრისა,
ქამარი კაცის წელია, ხიდი ახალის, ძველისა.

ქარი ზაქისა ქარაგმა, არი კაცია ქართველი,
ქამარ ქალი და კაცია, მოდგმათა შეკრავს სახელი,
ქა ქალი ზანთა მოდგმისა, ხეთთა მემკვიდრის საფერი,
ქარი იბერთა მოდგმაა, ზანთა და ხეთთა იბერი.

ქამარი სხვისი მეგონა, სხვისი ტყავისა სარტყელი,
ქართველთა კაცმა მოირგო, ზვარსა შეკრიბა სამკელი,
თურმე ამბავსა ინახავს, თურმე შეკრება სახელის,
გამრავლებულა, გაზრდილა დაბადებულა ქართველი.

ზაქსა ცოდნია ამბავი, თურმე იბერის ქარაგმა,
მარი იბერის მამაა, იბერნი შეკრა, დარაზმა,
იბერმა თაღად აქცია, დაბელმა შეკრა კამარა,
თაღი, კამარა ზეცასა, ვერავინ დაასამარა.

იგავი კერპთა ქცევისა

კაცი უფლისა ქარაგმა, მიწისგან შექმნა უფალმა,
ქმნილის ბუნება ორია, მოირგო სოფლის სტუმარმა,
სარტყელის ზედა ზეცისა, ფეხმა იაროს მდუმარმა,
ზეციურს გეზი ზეცასა, მოიმკას თავისუფალმა.

ცხვარისა დუმა იზრდება, ხდება საცავი ქონისა,
პატრონის წინა მოხრილი, მიწა ხვედრია მონისა,
დუმა ქარაგმა კაცისა, დიდი საცავის მდომისა,
კაცთა მონობა ახარებს, კერპობა მონათ შორისა.

უფალმა შექმნა ადამი, ხატი დატოვა მიწასა,
თქვა: შენ ხარ თავისუფალი, მუდამ იარე წინასა,
არა ქმნა მსგავსი უფლის, არ დადგა კერპი ბინასა,
მამა ზეცასა მოგელის, ეცადე მისვლა შინასა.

მონას ბორკილი, ხუნდები, ნებასა ართმევს პატრონი,
თავისუფლება ბრძოლაა, მონისა კერპი ბატონი,
ვერ მოიშორა ბორკილი, არ გახდა კერპის დამყოლი,
თავისუფლება ფასია, იხდის სიცოცხლის პატრონი.

იგავი წინაპრის გვარისა

თურმე ქალდეა დედაა, დედაა ზიქურათისა,
ხეთეზის მამა მისულა, დარქმია დედა ზაქისა,
ქალი შეურთავს ხიზანსა, და ცოლი ხეთთა კაცისა,
ქამა ქარაგმა შერწყმისა, და-კავშირეზა ორისა.

ქა, მა, და ძველთა ძველია, ძველი ხეთეზის დროისა,
ისიდა ქალის სახელი, და ცოლი ზესთა სწორისა,
და ქარაგმაა ორისა, ქარაგმა ქალის, ცოლისა.
თურმე ზერძენთა ჰგონიათ, კავშირი „და-ძმას“ შორისა.

და კავშირია ქართველთა, ზაქმა დამალა ქარაგმას,
ქარსა ქართველი დაარქვა, და დრომ წაშალა, ალაგმა,
ისიდას ძველი ამზავი, შთანთქა მოსულთა ტალახმა,
ზაქმა დაიცვა სახელი, დაუმალია ქამადას.

იგავი უფლებისა

თურმე რქმევია სახელი, ძირი ჰქონია ნებასა,
უფალი გვაძლევს არჩევანს, გვაძლევს ათივე მცნებასა,
თავისუფლება ძალაა, აღვირი უნდა რწმენასა,
უფალმა ნება გვიბოძა, აღვირი არქვა თმენასა.

არჩევანია კაცისა, გზასა დგას შური ცხენითა,
გზას მიმავალსა მიჰყვება, საზურგე სავსე წყენითა,
კარავსა დასცემს ქარავანს, არ დაიღლება რბენითა,
მგზავრის გზა გასავლელია, გზასა აირჩევს ნებითა.

ხელსა აღვირი, მათრახი, თმენა და რბოლა ცხენისა,
შურსა გადაჰკრას საწილო, სამაგიერო წყენისა,
თუ მიეშველა ლაგამი, არჩია ნება თმენისა,
ძღვენსა მათრახი წაიღებს, დასცემს აღვირსა ნებისა.

თავისუფლება ნებაა, ნება აღვირის, ცხენისა,
არჩევანია კაცისა, ხელსა აღვირი ბრძენისა,
მსაჯული მაღლა უფალი, გზა ასპარეზი რწმენისა,
მგზავრობა კაცის სიცოცლე, ლოდინი განაჩენისა.

იგავი ბიზანტიისა

თურმე თქვა პეტრე იბერმა, თურმე იპოვა მცირემა,
ცი საზომია დროისა, გზათა მიგნება დილემა,
კაცი სიცოცხლის საზომი, გაზომა სახლმა, მღვიმემა,
გამოქვაბულსა გავიდა, თუ ქვაბი ამოიჩემა.

ასი სიცოცხლის საზომი, დაძლევა ბნელის, ნათელის,
გამოქვაბული არჩია, დღე და ღამ უნდა სანთელი,
სახლსა აირჩევს ველისა, დღეს გაუნათებს სარკმელი,
სარკმელ-სანთელი სიბრძნეა, დაძლევა გზისა დარცხვენის.

ბრმათა გზა ბნელი უკუნი, გზასა დაცემა წუწუნი,
ქურუმთა სახლი სიბრძნეა, სამრეკლოს ზარის გუგუნი,
ზანთა ტბა მარმარილოა, სახელი ხეთთა ქურუმის,
ბი გზაა ბრმათა სავალი, გამეორება უკუნის.

მარმარილოა იბერის, ბი-ზან-ტი ხეთთა ხელია,
მოსულა უცხო მომხვდური, საჯდომად აურჩევია,
თურმე გზა ბრმათა სავალი, პატრონსა დაურქმევია,
ბიზანტიონი გამქრალა, სახელსა დაუქცევია.

თურმე ცოდნია იბერსა, ქურუმსა ხეთთა მოდგმისა,
ბიზანტი ხეთთა ქარაგმა, ქვაბული ბრმათა დგომისა.
დამალა თავის ქარაგმას, ზღვა მარმარილო რომისა,
ბრმათა გზას ბრმანი ირჩევენ, ასპარეზია წყრომისა.

იგავი ლიბანიოსისა

ქორონიკონის სათვალავს, ვართე ქართული ქარაგმა,
მოვიხმე ხელი იბერის, ბაკური მამცნო ამაყმა,
დაუძლეველი სარდალის, ფასი დაიდოს ამაგმა,
გირჩევ დაიცვა სახელი, არჩიო მისი დამალვა.

დიდი ბაკურის სიდიდეს, ვერ გაუმკლავდა ასაკი,
ათასი წელი გავიდა, კიდევ ათასის მარაგი,
თვალუწვდენელი სიმაღლე, ამბავი ვითა არაკი,
მეფეთა შორის მეფეა, სარდალთა შორის მამაცი.

ძველი დიდება რომისა, დიდება მისი სარდალის,
დროთა ქარტეხილს გაუძლო, ჟამმა ვერ ჰპოვა ბადალი,
ცამდე აზიდა სახელი, ჰანიბალ ძებნა კარამდის,
ლიბანიოსი დავარქვი, ქარაგმასა ძევს მართალი.

თავსა ზის ვითა ქურუმი, იბერთა დიდი ბაკური,
იბერთა სახლი გადარჩა, მეფეთა გზაა ურუმი,
დალოცა ქველი, ვახტანგი, ეპისკოპოსი მაიუმის,
კაცებმა ამბად იციან, ქარაგმას გადამალული.

ვეცადე ასე დამეცვა, ვეცადე მეთქვა ამბავი,
თურმე იბერმა იპოვა, ცოდნია ვითა ზღაპარი,
იპოვა კვალი სარდალის, ზღაპარს გავიდა მართალი,
იბერის ხელმა დაიცვა, კარსა დაბრუნდა სარდალი.

იგავი ზაქარია ლაზისა

თქვეს, მოიტანეს ძველებმა, შავთას დამალეს ბერებმა,
კოლხას ეგრისი, ლაზიკე, დაწერეს მითის გმირებმა,
პროკოპის სცენა გაცოცხლდა, დაუძლეველი დილემა,
დაუკარგია მდინარე, პონტოს რომ მიედინება.

ვით უცხო თვალი სცენასა, ვით სდიოს წყალთა დენასა,
ჭოროხი ახლოს ყოფილა, პონტოს ასრულებს რბენასა,
თურმე ფაზისი დაარქვა, ლაზსა დასტური ენახა,
ბიზანტიონსა ყოფილა, ეგრისსა გამოემართა.

მობრუნდა ლაზი, ქართველი, მოჰყვა ციხეთა დევნასა.
პეტრა აფსაროსს გაიქცა, ტოლები მისწვდა პეტრასა,
როდოპოლისი დაიბნა, ლაზიკას სთხოვდა შველასა,
მთა მთასა შეხვდა ნატრულსა, სცენა რიტორთა ენასა.

რიტორნი აღმოსავლეთის, დასავლით ბურჯი რწმენასა,
ქურუმთა სკოლა ფაზისსა, თაბორს იბერი ელავდა,
ახალ ზიქურათს აგებდა, ვახტანგი ველსა თელავდა,
კირქუკსა ლაზი ქართველი, იბერი ანბანს კერავდა.

წმინდანთა წმინდა სახელით, იორდანეს ხელი რუსთველის,
ოთხი კარედის კრებული, ოცდაცამეტი სახელი,
რჩეულთა კრების ნათელი, სინას მთას ზაქი დამცველი,
წმინდა ბასილი დიდია, შვილია წმინდა ქართველის.

იგავი განზრახულისა და უხილავის ახდენისა

აღმოსავლეთი კაშკაშებს, დასავლით მეფობს ბნელია,
დასავლით მივა ნათდება, ამოსვლას დაუსვენია,
დასავლის დღისა ამბები, მისვლამდე დაუწერია,
გათენებამდე მისულა, დილასა გაუმხელია.

გარდაუვალი გადავა, წავა და ისევ ამოვა,
დაიბადება ბახალა, ზოგი არწივი გამოვა,
ბევრი ვარდება ბუდესა, მამამ გაზრდამდე დატოვა,
ასახდენია ახდება, უფალი მიწას ჩამოვა.

განზრახვა კაცის ნებაა, აღსრულდეს ნება უფლისა,
თუ მზის დაჭერა მოუნდა, ნებითა თავისუფლისა,
უფალი მბრძანებელია, დღე ღამეს მუდამ უცდისა,
აუხდენელი განზრახვა, ნება სარკეა მრუდისა,

რაც დაიწერა ახდება, ზღვარსა ვერავინ გასცდება,
ნება უფლების ზღვარია, ზღვარს შიგნით თხოვნა ახდება,
გასცდეს უფლისა ნებასა, ზღვართან მისვლამდე წახდება,
სიკვდილი ნება უფლისა, პატრონი ვერვინ გახდება.

თურმე ზეცასა ყოფილა, ზაქისა სახლი, ზესკნელი,
თუ დაეცემა ცოდვილი, აირჩევს სახლსა ქვესკნელის,
შუა გზა მიწა ყოფილა, ცოდვის და მადლის მძებნელის,
გარდაუვალი გადავა, ახდება აუხდენელი.

იგავი ერკათაგირისა

თურმე იბერი ქარაგმას, ხუთასი წელი მალავდა,
თაბორის მთამა დაიცვა, ვერავინ მოიპარავდა,
ზაქმა იპოვა, დაიცვა, შექმნა ახალი ქარაგმა,
ვითა იბერის შეგირდმა, ქარაგმა დადო სამალავს.

მეფე დავითმა ისურვა, თურმე კარები ჩარაზა,
ციხე ქალაქი ააგო, სახლი აუგო ქარაგმას,
შავთელმა წიგნი განავრცო, წმინდა მთას ბერნი დარაზმა,
ქარაგმა ზაქსა ელოდა, ელოდა ზაქის კაბალას.

მოვიდა ტბელი, რუსთველი, გაიგო ზაქი, იბერი,
ზაქის ნიშანი დაიცვა, ხელი ქართველი, ივერის,
ასომთავრული, ქართული, არქვა ახალსა ხნიერი,
ქარაგმა ვითა ერთისა, კვალის არევა ცბიერის.

ქართული ზიქურათია, თავსა ქურუმთა მოძღვარი,
მონოფიზიტნი შემუსრა, შეცბა მათივე მსტოვარი,
ასურეთს სკოლა რიტორთა, იბერთა დანატოვარი,
გირმა თქვა ზიქურათისა, მოიმკა მონაპოვარი.

ერკათაგირი დაარქვეს, სახელს ბეჭედი დაასვეს,
არიოზისა მოძღვრებას, წმინდა წერილი დაარქვეს,
დიონოს თაა იბერთა, დღემდე ნათელსა აფრქვევს,
იბერსა, კესარიელსა, ხელსა ვერავინ წაართმევს.

იგავი ქიშისა და შამათისა

შუამდინარეთ, ბაბილონს, ქალაქს შუმერთა მეფისა,
ციხე-ქალაქი ზღუდეა, მტერია ასურეთისა,
ზიქურათია ქალდეას, დამცველი ხეთთა ნებისა,
ქალაქის დაცვა დაერქვა, თამაშსა დაცვა წესისა.

დაფა ვაკეა, დაბლობი, შემოსაზღვრული მთებითა.
ორი მდინარე კარია, მოსვლა და გასვლა მხედრითა,
გარშემო დიდი ველია, შუა ქალაქი მეფითა,
ქალაქსა იცავს მხედრობა, დაცვა ქურუმთა გეგმითა.

ჭადრაკის დაფა ქარაგმა, დასაბამ-დასასრულისა,
შავი და თეთრი ფერია, ქარაგმა დამალულისა,
სამოცდაოთხი თავია, ბოლოა აღსასრულისა,
რვა და რვა ორი ხარია, თავი კაცია ურისა.

სამი და ორი ხუთია, თავ-ბოლო ეპაგომენი,
თამაში ასპარეზია, ქიშის, შამათის მპოვნელის,
ბაბილონს ჰქონდა გოდოლი, ძირი ზეცისა მგმობელი,
ქარაგმა წესი თამაშის, გოდოლის დამამხობელის.

იგავი ზაქის ხელისა

თუ ძალმოსილმა შემინდოს, დამძლიოს დაუძლეველმან,
მოვიდეს მაცნე ზაქისა, ამბად მიამბოს მთხრობელმან,
რუსთველის ხელის საზომსა, ტოლი დაუდოს რომელმან,
ვინ დადოს ფასი მოძღვარის, შრომათა შემომქცეველმან.

შემამკოს დიდი მადლითა, სიწმინდის შემამკობელმან.
ქარაგმის გზასა დამიცვას, მატაროს შეურყეველმან,
იბერთა ძველი დიდება, ისმინოს შეუსმენელმან,
გზას ჩირაღდანი მინათებს, იპოვოს გზისა მძებნელმან.

წმინდა იბერი თაღია, აღიღო მანათობელმან,
ცრუ მოძღვრებანი დაამხო, სიცრუის დამამხობელმან,
ადიდა ცოდნის ნათელი, იბერთა შემამკობელმან,
დგება დრო იბერიისა, შვილი იპოვოს მშობელმან.

№	სახელი	გვერ.
	შესავალი	3
1	იგავი მონისა და ბატონისა	6
2	იგავი შინაური ქათმის სახლისა	7
3	იგავი კაცის შვილისა	8
4	იგავი კაცის მოძმისა	10
5	იგავი უმეცარისა	12
6	იგავი ქრთამისა და ჯოჯოხეთისა	14
7	იგავი ორი მოკეთისა	16
8	იგავი ორი ზაქისა	18
9	იგავი მინდვრისა და ჭრიჭინასი	19
10	იგავი შაბათისა	20
11	იგავი კოშკისა და ღამისა	22
12	იგავი ზღვათა მეფისა	23
13	იგავი მთის და ბარისა	25
14	იგავი კავისა	28
15	იგავი ხილსისა	31
16	იგავი მომდურავი ძმისა	33
17	იგავი ცოდვისა	34
18	იგავი ზაქის ქარაგმისა	36
19	იგავი კაცის ხიბლისა	37
20	ქალმა თქვა	39
21	ძღვენი მადლიერებისა	40
22	იგავი შურისა და მოშურნისა	42
23	იგავი გაქცეულისა	44
24	იგავი მოღალატისა	46
25	იგავი შიშისა	48
26	იგავი სიბნელისა	49
27	იგავი პირველი მოკვდავისა	51
28	იგავი ცბიერთა ქალაქისა	52
29	დათმობა დასათმობისა	53
30	იგავი კაცის ბოლო გზისა	55

31	იგავი ზაქის ტანისა	56
32	იგავი პირისა	57
33	იგავი ბნელისა	59
34	იგავი ჩუმი კაცისა	60
35	იგავი შურისა ქარაგმისა	61
36	იგავი ხარისა მორკინალისა	63
37	იგავი კუზიანისა	64
38	იგავი ქალთა ბუნებისა	65
39	იგავი კაცის მცნებისა	67
40	იგავი პირისპირისა	68
41	იგავი ნდობისა	69
42	იგავი ხელკავისა	70
43	იგავი ორაგვესა	71
44	იგავი განკვეთილისა	73
45	იგავი შინაური ქურდისა	74
46	იგავი იბერიელისა	75
47	იგავი კოლხთა ქალისა	77
48	იგავი ქარაგმისა ზი	78
49	იგავი წითელი პარასკევისა	80
50	იგავი იბერთა ქურუმისა	82
51	იგავი შუა ყანისა	83
52	იგავი ურისა	85
53	იგავი კაცის მოცდენისა	86
54	იგავი შუა კაცისა	87
55	იგავი შინა გამცემისა	88
56	იგავი კაცთა ქომაგისა	90
57	იგავი სიხარბის დამძლევისა	92
58	იგავი კალმოსანისა	93
59	იგავი ქორბუდა ირმისა	94
60	იგავი ზეციური ხმისა	95
61	იგავი შვილის ბედისა	96
62	იგავი გაზრდილისა	97

63	იგავი ბეჩავის სახლისა	98
64	იგავი ზიქურათისა	99
65	იგავი კესარიელისა	100
66	იგავი იბერიელთა ქარაგმისა	101
67	იგავი ძღვენის ფასისა	102
68	ძუძუ დროისა	103
69	იგავი მკვდართა კრებისა	104
70	იგავი ზორბა ქალისა	105
71	იგავი კაცის შუკაკისა	106
72	იგავი ლოდების მოლოდინისა	107
73	იგავი ავგიას თავლისა	108
74	იგავი უქნარას ფიქრისა	109
75	იგავი კაცის მოლოდინისა	110
76	იგავი კაცის მოსავალისა	111
77	იგავი გზას შუა მდგომის	112
78	იგავი კაბის ქარგისა	113
79	იგავი კურტიზანისა	114
80	იგავი იეზიდი ქალისა	115
81	იგავი შავთის სანახისა	116
82	იგავი კაცის შეძლებისა	117
83	იგავი ბასილი კესარიელისა	118
84	იგავი შინა მღვდელისა	119
85	იგავი კაცის სენისა	120
86	იგავი ომის მოტანილისა	121
87	იგავი ქარბორბალ-ასი	122
88	იგავი ძველისა, დაკარგულისა	123
89	იგავი საზიდარისა	124
90	იგავი ქამარისა	125
91	იგავი კერპთა ქცევისა	126
92	იგავი წინაპრის გვარისა	127
93	იგავი უფლებისა	128
94	იგავი ბიზანტიისა	129

95	იგავი ლიბანიოსისა	130
96	იგავი ზაქარია ლაზისა	131
97	იგავი განზრახულისა და უხილავის ახდენისა	132
98	იგავი ერკათაგირისა	133
99	იგავი ქიშისა და შამათისა	134
100	იგავი ზაქის ხელისა	135
	დასასრული	

ბმული გორგასლიანი-სპერანი ხელია პეტრე იბერიისა.ძეგლი იბერიელთა ნეფის სახელისა. ტანა ეროვნული ეკალ(ტარი) ბმულისა. პირი ჩარეულია მიწასა,პატიოანი ნეკვდარია,ეკალ სახელია ნეფის ბმულისა.მარჯვენე სილეფტია ნეფე ვახტანგისა.თავი ქარაგმა ხსოვნისა.ტარის სიმაღლე ფეი ფოლი (411) ნეტრიანტარის ზევით ფეხოსანზღვრული გზა. სიმაღლე ძირიდან (463)წ. თავის სიმაღლე ნეფისა (442) ნეტრი. ნეფის ქუდი (100) ნეტრიქუდის ქარაგმა დიდი ქეროენი.ბმული ხელია ნეფისა. ტანა (**ტარი**)ა, ქარაგმატანა რიტორისა. ტარის ფოლნა ამოფანავრული (**ბ**) (რან)ია.იბერის ესრაგმით რიგები (43),კასალა (16),რიგებ. ფნიშ. 6 (600). ერთად (22),ტა(43), ერი(35), ჯანი (78),ძეული ზიეტრასთანი (35) ხელია, ესრაგმა ზაესრია ლაზისა. იბერის ხელისა.

ბმულის პირი ფიწასა, ესრაგმა ხელის ლუსწლისა და ასაკისა.(**ბერ**) ძეული ზიეტრასთანი (30),ფნიშენულოფა.პირი და პირველი. იბერის ესრაგმით.(**ბ**)22,კასალა (4),(პირ)33,ესრაგმა (433),თარიღია ირიოზის ფიძეურეფის დასაწყისისა.ბმულის პირი იბერია.ტარი (**ბ**)4.ასაკი ზაესრია ლაზისა.პირი დასლულია ფიწასა.ესრაგმა იბერის დასაფეფასფე (**ბერ**)30.თარიღი (463). ტარის პირი(30) ასაკი ზაესრიალაზისა.თარიღი (459).ესრაგმა იბერის დასაფეფასფე (**ბ**)4წ.

კვაის ბმულის პირი.ესრაგმა ხელისა დასფარულისა.დასაფეფიდან პირ(30) წლის ფერე (493) წელს ასაკი ნეფისა (51).ესრაგმა ორი (რ).რენ და რანასაკი ირიოზის ფიძეურეფისა (60).

ნეფე ვახტანგის ასაკი (პირ)30.თარიღი (472),ასაკი ზაესრია ლაზისა (**რან**)43.ფოფდეანი (30) წელი დასარხვა პირისა, სიკვდილი ნეფე ვახტანგისა.თარიღი (502),(პირ.რან)73.ფოფდეანი (30) გასოფენია პირისა (503)წ.თარიღი ასოფფავრულისა.

იბერთა ახალი ზიეტრასთანი (492) წელი.პირი (30). თარიღი (522). ესრაგმა დასარხვა ფიწასა,სიკვდილი კვაისა.ეფერთხეფა ვითთა ფწვალეფეთა ეპისკოპოსისა.(493)წლის ფოფდეანი პირი (523)წ.ასაკი იბერისა (60).ესრაგმა ორი პირია.

ნეფე ვახტანგის სიკვდილის (502) წლის ფერე გასოფენს ბმა.პის პირისა (532) წ.დასარხვა ირიოზის ფიძეურეფისა.

ტარის,ზაესრია ლაზის სიკვდილის (507)წლის ფერე პირი ბმულისა (537)წ.თარიღი ეკა-ოფეფის ტაპრისა.